სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ხელოვნების ისტორია და თეორია

ხელოვნებათმცოდნეობა

ჩაკვეტაძე ნელი

ხუჯაბის ეკლესიის ფრესკები

წარმოდგენილია ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მაია ჭიჭილეიშვილი

ხელ. მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

ბათუმი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო თემა „ხუჯაბის ეკლესიის ფრესკები“ მიზნად ისახავს სახელოვნებათმცოდნეო და საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი კვლევის საშუალებით ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული, შუა საუკუნეების (XII-XIII სს.) ხუჯაბის ეკლესიის სადიაკვნეს მოხატულობის შესწავლას. ხუჯაბის ეკლესიის ფერწერული შემკულობა კვლევის ობიექტად შეირჩა იმის გამო, რომ მხატვრობა შესწავლილი არ გახლავთ.

დღევანდელი ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ სამეცნიერო ინტერესი გასული საუკუნიდან მოყოლებული დიდია. სამეცნიერო ნაშრომთაგან არსებობს კვლევები, რომლებიც გარკვეული ტენდენციურობით გამოირჩევიან და ამ რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული იდენტობის საკითხს არასწორად განიხილავენ.

სამაგისტრო კვლევის ფარგლებში განხორციელდა ხუჯაბის სადიაკვნეს ფრესკული მხატვრობის სახელოვნებათმცოდნეო კუთხით შესწავლა. მისი კულტურულ-ისტორიული თავისებურებების განსაზღვრა რეგიონულ თუ ზოგადქრისტიანულ ხელოვნებასთან მიმართებით. ამასთანავე ნარკვევი არაერთი ფაქტორბივი სიახლის შემცველია, ვინაიდან შესრულდა მხატვრობის სრული დოკუმენტირება (მოხატულობის გრაფიკული ასლების შესრულება) და შემორჩენილი ფრესკული წარწერების სრული აღნუსხვა. ასევე, ახლებური სახითა ინტერპრეტირებული მოხატულობაში წარმოდგენილი ისტორიული პორტრეტის - საქტიტორო გამოსახულების იდენტიფიცირება. ამ და სხვა (მოხატულობის თეოლოგიური შინაარსისა და იკონოგრაფიული თავისებურებების, ასევე, მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლების გათვალისწინებით) ისტორიულ რეალიებზე დაყრდნობით განისაზღვრა ფრესკული დეკორის შესრულების სავარაუდო თარიღი.

დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი საინტერესო იქნება შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

წინამდებარე სამაგისტრო თემა „ხუჯაბის ეკლესიის ფრესკები“ შესრულდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (პროექტის შიფრი – MG-18-118), მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების ფარგლებში.

Abstract

(The Frescoes of Khujabi Church)

The subject of my MA study is the mural painting of Khujabi Church (dated to the 12th-13th cc. Located in historical Kvemo Kartli region, now it is part of Northern Armenia). The main reason why the study of the painting was chosen is that the mural of this church has not been studied so far in depth.

The interest towards the Georgian cultural heritage in this region emerged in the previous century and since then a lot of articles have been published. Some of these publications are distinguished with some kind of tendency and interpret the issue of national identity of the monuments in a wrong way. The proposed research is an endeavor to study the mural painting of Khujabi church from different sides where the history and religious identity of the region will be discussed.

The project requires a multidisciplinary approach that is why the painting will be studied using different subjects: art history, history. Thus, the study will be based both on the study of primary and secondary sources and on fieldwork. During the fieldwork I will make complete documentation of the painting, including not only photography but what is more important I will make copies and schemes of the painting and inscriptions. I expect that my study will shed more light on the personality of the donor of the church who is depicted in Khujabi church. Based on stylistic background and iconography of the scenes, as well as theological content and the history of the region, the approximate date of the creation of mural painting will be defined. The wall painting will be discussed within the wide regional and Christian context.

The research will be useful for different scientific communities, including art historians and historians specialized in medieval Georgian art and history, as well as for the students and general public who want to know more about the medieval Georgia.

N. Chakvetadze

შესავალი

ა). კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა.

სამაგისტორ კვლევითი თემა შეეხება ისტორიულ ქვემო ქართლში, დღეს სომხეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე, შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლს – ხუჯაბის ეკლესიის ფრესკებს; კვლევის მთავარი მიზანია შესწავლილ იქნას XII-XIII საუკუნის ხუჯაბის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სათავსი-ეგვტერის (სადიაკვნეს) მოხატულობა. ხუჯაბის ფრესკები კვლევის ობიექტად შეირჩა იმის გამო, რომ მოხატულობა დღემდე მეცნიერულად შესწავლილი არ ყოფილა. თემის ძირითადი ნაწილი ეთმობა მოხატულობის იკონოგრაფიულ და მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს, პროგრამული შინაარსის თეოლოგიური ასპექტით შესწავლას. ხუჯაბის მოხატულობის თავისებურებების გამოვლენა, განსაზღვრული იქნა შუა საუკუნეების ბიზანტიური და ქართული მონუმენტური მხატვრობის ნიმუშებთან მიმართებით. ნაშრომში ჯეროვანი ყურადღება დაეთმო მოხატულობაში გამოსახული საქტიტორო ისტორიული პორტრეტის ვინაობის საკითხს. საერო პირის იდენტიფიკაცია საკითხის ისტორიულ ჭრილში განხილვის, მოხატულობის შესრულების სავარაუდო პერიოდის განსაზღვრის საფუძველს იძლევა.

სამაგისტრო თემის აქტუალობა მასში განხილული საკითხების მნიშვენლობითაა განპირობებული. გასული საუკუნიდან მოყოლებული დღემდე არ ცხრება სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ-სომხურ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხებისადმი ინტერესი. სამეცნიერო ნაშრომთაგან არსებობს კვლევები, რომლებიც გარკვეული ტენდენციურობით გამოირჩევიან და ამ რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული იდენტობის საკითხს არასწორად განიხილავენ. განსაკუთრებით აქტუალურია ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების შესახებ კვლევები, სადაც ერთმნიშვნელოვნად ქართული ძეგლების წარმომავლობა მიჩნეულია სომხური კულტურის ნაწილად მაგ:

(Лидов, 2014; Лидов, 1990, ц. 75-87; Акопян, 2009, ц. 167-185; Մուրադյան, 1977; Дурново, 1957, ц. 32-33; Дурново, 1979, ц. 152-153) და სხვ.

ბოლო პერიოდში ქართულ სინამდვილეში განხორციელდა ქართველი მეცნიერების მიერ ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების ფუნდამენტური კვლევა (გაგოშიძე, ჯოჯუა, ბულია, ჯანჯალია,აბაშიძე, 2017), სადაც ერთ-ერთი თავი ხუჯაბის ეკლესიის მხოლოდ არქიტექტურის დეკორის კვლევას მიეძღვნა. შესაბამისად, ხუჯაბის ეკლესიის მოხატულობის შესწავლა ქართულ-სომხური ურთიერთობის მხრივაც აქტუალურია.

ბ). კვლევის მიზნები, ამოცანები და მეთოდოლოგია

სამაგისტრო კვლევის მთავარი მიზანია საკვლევი თემის ფარგლებში მოხდეს ხუჯაბის ეკლესიაში არსებული ფრესკული მხატვრობის სახელოვნებათმცოდნეო კუთხით შესწავლა, მისი კულტურულ-ისტორიული თავისებურებების განსაზღვრა რეგიონალურ თუ ზოგადქრისტიანულ ხელოვნებასთან მიმართებით. მთავარი ამოცანაა ხელოვნებათმცოდნეობითი სიზუსტით (დოკუმენტირებული მასალის გამოყენებით) იქნას შესწავლილი ხუჯაბის კედლის მხატვრობა, რაც ხელს შეუწყობს ძეგლის შესრულების თარიღისა და მისი ადგილის განსაზღვრას ქართულ კედლის მხატვრობის განვითარების ისტორიაში.

სამაგისტრო კვლევა რამოდენიმე ეტაპად განხორციელდა; სააქრივო მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებასთან ერთად მოხდა ძეგლის მეთოდოლოგიური კვლევა; ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული შუა საუკუნეების მოხატულობების გაცნობა/დოკუმენტირება (ფოტოფიქსაცია, საველე ჩანახატების შესრულება) და შედარებითი ანალიზისთვის არაერთხელ განხორციელდა ექსპდიციები. სამაგისტრო თემის დამასრულებელ ეტაპზე მოხდა შეგროვებული მასალის შეჯამება, საკვლევი ძეგლის პარალელური მასალების მოპოვების მიზნით შეიქმნა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული მოხატული ძეგლების ანოტირებული ნუსხა, შესრულდა საერთო ანალიზი და საკვლევი ძეგლის

ზოგადქრისტიანულ ხელოვნებასთან მიმართებით ფართო კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში ვრცელი განხილვა.

გ). კვლევის ინტერდისიპლინურობა

საკვლევი თემა თავისი ხასიათით ინტერდისიპლინურია, ვინაიდან, სამაგისტო თემა შეეხება ქვემო ქართლში საზღვრისპირა ტერიტორიაზე მდებარე შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ნაკლებად ცნობილ ძეგლს – ხუჯაბის ეკლესიის ფრესკებს. თემა უკავშირდება ფართო საკითხებს და აქედან გამომდინარე ის მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული ტაძრის კედლის მხატვრობის სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიურ კვლევას, არამედ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროების, საქართველოს ეკლესიის ისტორიული გეოგრაფიის, სომხეთის საეკლესიო იურისდიქციაში შემავალი საეკლესიო ტერიტორიების ფართო კონტექსტში განხილვას.[1]

აკადემიური კომპონენტის თვალსაზრისით მიღებული ჩემი მცირე გამოცდილება შეესაბამება საკვლევი თემის განსახორციელებლად გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს: 2015 წელს ვმონაწილეობდი მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ინვენტარიზაციის პროექტში, რომლის ფარგლებში მოვახერხე ხუჯაბის ეკლესიის მონახულება და დეტალური ფოტოფიქსაცია. აღნიშნული მასალის საფუძველზე განხორციელდა ხუჯაბის ფრესკების პირველადი დამუშავება, რომელიც თემის სახით (რომლის სათაური გახლდათ `XII-XIII საუკუნეების მიჯნის სამეფისკარო მოხატულობები სამხრეთ საქართველოში: ხუჯაბის ეკლესიის ფრესკები) ამავე წელსვე წარვადგინე ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე `ძველი და თანამედროვე ხელოვნება – ახალი ხედვა~.[2]

---

[1] ზემოთქმულიდან გამომდინარე საკვლევი თემა მოიცავს ჰუმანიტარული მეცნიერებების შემდეგ მიმართულებებს: ხელოვნებას; რელიგიის ისტორიას და თეოლოგიას; ისტორიას და საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებს.

[2] სამაგისტრო კვლევის სრულყოფისათვის დამეხმარა შუა საუკუნეების საეკლესიო ხელოვნების კვლევის მიმართულებით წლების მანძილზე დაგროვილი მცირედი გამოცდილება: საერთაშრისო და

ნარკვევის ბოლოში თანდართული გრაფიკული სქემები ჩემი შესრულებულია. ასევე, წარმოდგენილი ფოტოები, რომელთა ქვეშ სახელდებასთან ერთად ავტორი მითითებული არაა, ყველა მათგანი სხვადასხვა წლებში ჩემს მიერაა გადაღებული.

და ბოლოს, უდიდესი მადლიერება მინდა გამოვთქვა ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც დახმარება გამიწია ჩემი სამაგისტრო ნაშრომის იმ სახით ფორმირებაში, რა სახითაც ის საბოლოოდ მომზადდა და წარმოდგენილია სამაგისტრო ხარისხის მოსაპოველბლად.

ადგილობრივ კონფერენციებში, ასევე სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობა. გამოქვეყნებული მაქვს სახელოვნებათმცოდნეო მიმართულებით შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის შესახებ რამოდენიმე პუბლიკაცია.

I თავი

ძეგლის შესწავლის ისტორია[3]

ქართულენოვან ისტორიოგრაფიაში ხუჯაბის ეკლესიის შესახებ ყველაზე ადრეული ცნობები დასტურდება XVIII საუკუნეში მოღვაწე, ცნობილი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის აღწერებში (ბატონიშვილი, 1941, გვ. 37). სამეცნიერო თვალსაზრისით მონასტრის ხუროთმოძღვრებისა და წარწერების შესახებ პირველად ინტერესდებიან XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიმიტრი ბაქრაძე და ექვთიმე თაყაიშვილი (დაწვრილებით იხ: ხარაძე, 2012, გვ. 30).

ხუროთმოძღვული თუ ისტორიული თვალსაზრისით გასული საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ძეგლის შესახებ შედარებით მეტ ცნობებსა და მასალებს ვხვდებით[4]. ვახტანგ ბერიძის (ბერიძე, 1948, გვ. 148), გიორგი ჩუბინაშვილის, რენე შმერლინგის, დავით მუსხელიშვილის, ციალა გაბაშვილის, იგორ გილგენდორფის, ვახტანგ ცინცაძის, რუსუდან მეფისაშვილისა და სხვ. (უფრო ვრცლად ჩამოთვლილი პირები და პუბლიკაციები იხ: ხარაძე, 2012, გვ. 32-35) ნაშრომებში ხუჯაბის ეკლესია სხვადასხვა კუთხითაა წარმოჩენილი. შედარებით ვრცელი ადრეული ხანის პუბლიკაციებიდან ზემოთ დასახელებულ ავტორთაგან გამოირჩევიან ლევან

---

[3] ქართულ ისტორიოგრაფიაში ხუჯაბის მონასტრის შესწავლის ეტაპები შეძლებისდაგვარი სისრულით პირველად შესრულებული აქვს კობა ხარაძეს თავის მონოგრაფიაში, სადაც ხუჯაბის შესახებ მანამდე არსებულ გამოცემებს ერთ წიგნში მოუყარა თავი: ხარაძე, 2012, გვ. 30-38. ისტორიულ-სახელოვნებათმოცდნეო ისტორიოგრაფიული მიმოხილვის თვალსაზრისით უფრო ადრე ეს წარმოდგენილია გიო გორდაძისა და გულიკო გუჯაბიძის სტატაშია (გორდაძე, გუჯაბიძე, 1989, გვ. 5-11); ბოლოდროინდელი გამოცემებიდან გამოირჩევა ქეთევან აბაშიძის პუბლიკაცია `ჰუჯაბის ტაძრის არქიტექტურული დეკორი~ წიგნში: ქართული კულტურული მემკვიდრეობა ჩდილოეთ სომხეთში (თბილისი, 2017, გვ, 59-75; წინამდებარე ისტორიოგრაფიული მოკლე მიმოხილვა მცირედი სიახლით მეტწილად ითვალისწინებს ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში შემოთავაზებულ თანმიმდევრობას.

[4] ძეგლის წყაროების დეტალური ჩამონათვალი ასევე შესულია ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკის `საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ბიბლიოგრაფიული ლექსიკონის~ ელექტრონულ რესურში. იხ: http://www.nplg.gov.ge/publishers/monument/index.php?do=search.

მუსხელიშვილისა და ვახტანგ ცინცაძის კვლევები (სრული ჩამონათვალი იხ: ხარაძე, 2012, გვ. 32). ამ მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული ნიშნით განხორციელებული კვლევებიდან აღსანიშნავია დევი ბერძენიშვილის პუბლიკაციებია (ბერძენიშვილი, 1988, გვ. 5-8; ბერძენიშვილი, 2015).

ფასდაუდებელი შრომა აქვს გაწეული ძეგლის ირგვლივ არსებული მასალებისა და ცნობების ერთ წიგნად გაერთიანებაში კობა ხარაძეს, სადაც ხუჯაბის შესახებ ყველა ადრე არსებული ფასეული ცნობაა თავმოყრილი (ხარაძე, 2012). ხუჯაბთან დაკავშირებული საარქივო მასალებისა და საბუთების შესახებ, რომლებიც მრავლად იყო დაცული ეროვნული და საისტორიო არქივის ფონდებში (სადაც, ძირითადად ასახულია XIX-XX საუკუნეების სოფელ ახკერპისა და მისი შემოგარენის სოციალურ-ყოფითი საკითხები),[5] ამავე მონოგრაფიაშია გამოქვეყნებული (იხ: ხარაძე, 2012).

აქვე უნდა აღინიშნოს, ჰუჯაბის ძეგლისთვის საგანგებოდ შემუშვაბეული რესტავრაციის პროექტი, რომელიც 1978-1979 წლებში იქნა შედგენილი არქიტექტორ-რესტავრატორ აკაკი შავერდაშვილის მიერ (იხ: ხარაძე, 2012, გვ. 35, 178).

XX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული დღემდე, ხუჯაბის ხუროთმოძღვრული ძეგლის შესწავლას პერიოდულად საგანგებო კვლევები მიუძღვნა ქეთევან აბაშიძე-დადიანმა (აბაშიძე, 1989, გვ. 10-11; აბაშიძე, 2009, გვ. 70-83; აბაშიძე, 2010, გვ. 103-114; აბაშიძე, 2017, გვ, 59-75)[6].

არაქართველმა სიძველეთმოყვარულებმაც ხუჯაბის ეკლესიის არქიტექტურას არაერთხელ მიაქციეს ყურადღება; მონასტრის არსებობის ისტორიის მანძილზე ბოლო ეტაპზე იქ მოღვაწეთა (საბერმონაზვნო) პირების შესახებ უაღრესად ფასეულ ცნობას ვხვდებით ვ. პიგარიოვის მცირე, მაგრამ ინფორმაციულად მრავლისმომცემ სტატიაში (Пигаревъ, 1913, გვ. 54-56). მანვე გამოაქვეყნა ძეგლის ყველაზე ადრეული ფოტო (Пигаревъ, 1913, გვ. 55), (სურ: 1)

---

[5] ამ მიმართულებით სამომავლოდ კვლავ ბევრია გასაკეთებელი, ვინაიდან, დღემე ჩნდება ხუჯაბისა და მარნეულის რაიონის სოფელ ახკერპის შემოგარენის ისტორიასთან დაკავშირებული უცნობი საარქივო მასალები; მაგ: 1913 წლის ერთ-ერთი ასეთი უცნობი საარქივო ხელნაწერი ხუჯაბის დედათა მონასტრისთვის მიწის ნასყიდობის შესახებ, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში (#1487), მომაწოდა ბატონმა ზაზა სხირტლაძემ, რისთვისაც მას უდიდეს მოდლობას მოვახსენებთ

[6] თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ქალბატონი ქეთევან აბაშიძე ხუჯაბის ხუროთმოძღვრული ძეგლის შესახებ, ირინე ელიზბარაშვილის ხელმძღვანელებით, გეგმავს ახლო მომავალში დაიცვას სადოქტორო დისერტაცია.

ხუჯაბის ტაძარს სომხური არქიტექტურის ძეგლთა სიაში, როგორც სომხური კულტურის ნიმუშად, პირველად 1929 წელს პარიზში გამოცემულ იურგის ბალტრუშაიტისის კვლევაში წარმოდგენილ ძეგლთა ნუსხაში ვაწყდებით (Валтрусаитис, 1929, გვ. 35). სომხურ ხუროთმოძღვრულ ნიმუშადაა წარმოდგენილი ლორეს ტერიტორიაზე არსებულ ძეგლთა შესახებ გარნიკ შახიკიანის ავტორობით 1986 წლეს გამოცემულ წიგნში (წიგნი სომხურ ენაზეა გამოცემული. ამის შესახებ უფრო ვრცლაც იხ: ხარაძე, 2012, გვ. 36).

პატრიკ დონაბედიანმა 2017 წელს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე `ანისი გზაჯვარედნიზე~ წაიკითხა მოხსენება სომხეთში თამარ მეფის ეპოქაში შექმნილი სომხური ძეგლების შესახებ, სადაც ხუჯაბის ეკლესიის არქიტექტურა ორაზროვნად იყო წარმოჩენილი ქართულ-სომხური კულტურის ურთიერთობის კონტექსტში. მოგვიანებით ეს ნაშრომი შევიდა ამავე სახელწოდების კონფერენციის მოხსენებათა კრებულში (Donabédian, 2019, პ. 121-152).

სოციალურ ინტერნეტსივრცეში არსებულ ინგლისურენოვან ვიკიპედიაშიც ხუჯაბის მონასტერი სომხურ ქალკედონურ ძეგლადაა მოხსენიებული (https://fr.wikipedia.org/wiki/Khuchap). შენიშვნების სახით იქვე თანდართული ბოლოდროინდელი არასამეცნიერო პუბლიკაციებიც მიანიშნებს იმაზე, რომ ხუჯაბის ძეგლის მიმართ ტენდენციური ინტერესები მეზობელი ერის ყველა სოციალური ფენის მხრიდან არ ცხრება და დღემდე აქტუალურია https://fr.wikipedia.org/wiki/Khuchap).[7]

[7] სამწუხაროდ, სოციალურ ქსელში უხვად მოიძებნება პოპულარული ხასიათის გამოცემებში (ბუკლეტები, გზამკვლევები, ალბომები) ხუჯაბის მონასტრის ფოტოები თუ მოკლე ინფორმაცია, სადაც ძეგლი მუდამ წარმოდგენილი სომხური კულტურის ნიმუშად.

ხუჯაბის ტაძრის არქიტექტურა

ქვემო ქართლის ტერიტორია შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრულ ძეგლთა და ისტორიულ ციხესიმაგრეთა სიმარავლით გამოირჩევა. მათ შორის მარნეულის რაიონის სოფელ ახკერპიდან 1 კილომეტრის მანძილზე, ლალვარის მთის ძირში, წყლისკენ დაქანებული ფერდობის ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე გაშენებული ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლთაგანია. სომხეთის საზღვრებში მოქცეული მონასტრის ტერიტორიაზე, მთავარ ტაძართან ერთად, სხვადასხვა პერიოდში ნაგები გალავნის, დარბაზული ეკლესიის, სატრაპეზოსა და სამეურნეო ნაგებობების კვალი ერთიანდება. [აბაშიძე, 2009, გვ. 70-83].

კომპლექსის თითეული ნაგებობა, როგორც მიიჩნევა, სხვადასხვა დონეზე შექმნილ ხელოვნურად მოსწორებულ ბაქანზეა აშენებული (სურ: 2); სამონასტრო კომპლექსს ორი ტაძარი ჰქონია. ყველაზე ადრეული ნაგებობა მთავარი ტაძრიდან ჩრდილოეთით მდებარე, მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიაა მინაშენებით, რომელთაგან პირველი სამშენებლო ფენა X საუკუნის ადრეული ხანითაა განსაზღვრული[8] (აბაშიძე, 1989, გვ. 10-11) (სურ: 3).

მონასტრის მთავარ ეკლესიას ლანდშაფტს მორგებული და ხაზგასმულად ფერადოვანი, სწორკუთხედში მოქცეული `ჩახაზული ჯვრის~ ტიპის

[8] მონასტრის მთავარი გუმბათიანი ტაძრის ჩრდილოეთით, გალავნის შესასვლელთან დარბაზული ტიპის ეკლესია დგას. ეკლესია ადგილობრივი შირიმის საშუალო ზომის თანაბარი ქვებით, ჰორიზონტალური რიგის დაცვითაა ნაგები. აფსიდალურ საკურთხეველში ფართო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩამოსწვრივ, ორსავ მხარეს თაღოვანი ფართო და ღრმა ნიშაა განთავსებული. ნაგებობას სამხრეთ და ჩრდილოეთ მინაშენები აქვს მიდგმული. სამხრეთ მინაშენი დარბაზს კარით უკავშირდება. ხოლო ჩრდილოეთ მინაშენი ყრუ კედლით გამოიყოფა და ფასადის მთელს სიგრძეზეა მიშენებული. მინაშენების კამაროვანი გადახურვები გარედან ცალფერდა გადახურვაშია მოქცეული და შიგნიდან კედლით ორ არათანაბარ სივრცედაა გაყოფილი. ოთახები ერთმანეთს კედელში დატანებული თაღოვანი კარით უკავშირდებოდა. მინაშენების კამარებს სუფთად ნათალი ქვებით, კონსოლებზე დაყრდნობილი გამბჯენი თაღები აქვს შერჩენილი. სადგომები მცირე თაღოვანი სარკმლებით ნათდებოდა.
მინაშენიანი ეკლესიის ჩრდილოეთით, კამარაჩაქცეული და პერანგშემოცლილი მცირე ზომის მართკუთხა გეგმარების ნანგრევი დგას. გეგმის დონეზე შენობის კვალი ჩანს გალავნის შესასვლელის დასავლეთით, ასევე მთავარი ტაძრის დასავლეთით ორსართულიანი შენობის ნანგრევია, რომლისგანაც მხოლოდ კედლებია დარჩენილი: (გურჯიძე, ჩაკვეტაძე, ხაბულიანი, 2015ა).

ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა წარმოადგენს.[9] ტაძრის სხეული აგურითაა ნაგები და თლილი საპერანგო სხვადასხვა ფერის (ჭარბობს ღვინისფერი) ტუფითაა შემკული (სურ: 4). ტაძრის სამი შესასვლელისგან, გადახურვის გარეშე დარჩენილი, თაღებით გახსნილი სამნაწილიანი დასავლეთ და სამხრეთ პორტალები გამოირჩევა. ფასადები მუქი მოიისფრო ქვის ფილებთან ერთად, მხატვრულ აქცენტებად მოყვითალო ქვის ფილებიცაა ჩართული, რომლითაც ძირითადად ტაძრის, ასევე კარიბჭეების სამკაულია ნაკვეთი. უხვად მოჩუქურთმებულ კარ-სარკმელთან ერთად, კედლებზე გემოვნებით შესრულებული ჯვრების ერთიანი და მეტყველი კომპოზიციებია ასახული, რაც მთლიანობაში არაჩვეულებრივად მკვეთრ საფასადო მხატვრულ გაფორმებას ქმნის (აბაშიძე, 1989, გვ. 10-11; აბაშიძე, 2010, გვ. 103-114) (სურ: 5, 6).

ტაძრის ინტერიერი ხალვათი და აზიდული პროპორციებით ხასიათდება (სურ: 7). გუმბათი დასავლეთით ეყრდნობა ოქტოგონური ფორმის ორ თავისუფლად მდგომ მასიურ ბურჯს და აღმოსავლეთით საკურთხევლის ბემის კედლებს. სამ სარკმლიანი ფართე საკურთხეველი დარბაზის მხარეს გახნსილ სამკვეთლოს უერთდება გასასვლელით, რომელსაც სადიაკვნეს მხარეს ცვლის იგივე ზომის ნიშა. ტაძრის ნათელი ინტერიერი სრულად ყოფილა შელესილი, მაგრამ დარჩენილ ბათქაშზე მოხატულობის კვალი არ შეინიშნება[10] (სურ: 8, 9).

---

[9] მისი აშენების პერიოდი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღრების ერთ-ერთი აყვავების პერიოდში X-XIII საუკუნეებს შორის ისაზღვრება. უფრო ვრცლად ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

[10] წარმოგიდგენთ შედარებით ვრცელ აღწერას: ჯვარგუმბათოვანი ტაძრის მასების განლაგებით შექმნილი ჯვარი თავსდება სწორკუთხედში. დასავლეთით გუმბათი ეყრდნობა ოქტოგონური ფორმის ორ თავსიუფლად მდგომ ბურჯს, ხოლო აღმოსავლეთით საკურთხევლის ბემის კედლებს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხორციელდება. აფსიდალური საკურთხეველი, დარბაზის მხარეს გახნსილ სამკვეთლოს უერთდება გასასვლელით, რომელსაც სადიაკვნეს მხარეს ცვლის იგივე ზომის ნიშა. სადიაკვნეც, რომელიც თავდაპირველად სამკვეთლოს დარად გახსნილი უნდა ყოფილიყო, ორსართულიანია. სადიაკვენს პირველი სართული დარბაზიდან გამოიყოფა ნატეხი ქვითა და სიპით ამოყვანილი კედლით, რომლის შესასვლელი კიდეები ორნამენტირებულია. მეორე სართულზე ასასვლელი სადიაკვნე-ეგვტერის საკურთხევლის სამხრეთ ნიშიდანაა. სადიაკვნეს კარის ნახევარწრიული თაღის გარდა, ტაძარში ყველა საბჯენი, ნიშების და შესასვლელების შიგნიდან მომფარგვლელი თაღი შეისრულია. ტაძრის ინტერიერის შელესილობა ნაწილობრივ ჩამოცვენილია და ჩანს აგურის წყობა.

ტაძარი დგას წყლისკენ დაქანებული ფერდობის ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე, რომლის აღმოსაველთ ფასადი ებჯინება მკვეთრად დახრილ კლდოვან ზედაპირს. ტაძრის სამსაფეხუროვანო ცოკოლის ზედა საფეხური ლილვოვანია, ხოლო ქვედა ორი სწორკუთხაა. მხოლოდ აღმოსავლეთ ფასადის ხარისხი, ლანდშაფტის გამო, ერთ სწორკუთხა საფეხურს შეიცავს.

ფასადები ძირითადად შემკულია მუქი მოიისფრო ქვის ფილებით, სადაც მხატვრულ აქცენტებად მოყვითალო ქვის ფილებიცაა ჩართული. აღმოსავლეთ ფასადზე მცირე სიღრმის სამკუთხა ნიშებია, რომლის თაღი ფესტონებითაა შემკული. ნიშების შორის სამი სარკმელია გაჭრილი, რომლეთაგან

ხუჯაბის მონასტრის მთავარი ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, როგორც ცნობილია, მშენებლობის ხასიათით და მხატვრული გაფორმების თავისებურებებით, ე.წ. `ბეთანია-ქვათახევის~ ჯგუფში ერთიანდება და ამ ეტაპზე, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ხუროთმოძღვრულ ძეგლადაა მიჩნეული (ბერძენიშვილი, 1988, გვ. 5-9; აბაშიძე, 2009, გვ. 70-83; აბაშიძე, 2010, გვ. 103-114).[11]

ცენტრალური მაღალია. მის ზემოთ დამატებითი მრგვალი სარკმელია მოთავსებული. სარკმლებს მოჩუქურთმებული საპირეები და ლილვები ევლებათ. სამხრეთ ფასადის მკლავის არეში გაჭრილ წყვილ სარკმელს შორის მოყვითალო ქვებისგან ნაწყობი ჯვრის კომპოზიციაა, რომლის ორნამენტით მორთული მკლავები ფასადის მუქ მოოისფრო ფონზე, არაჩვეულებრივად მეტყველია. ჩრდილოეთის სადა ფასადი მის მკლავში გაჭრილი ერთი სარკმელი, სხვა ფასადის სარკმლეთა მსგავსადაა მორთული.
ტაძარს სამი შესასვლელი აქვს, მათგან დასავლეთისა და სამხრეთ პორტალებს აქვთ სარკმლების შესატყვისი მორთულობა. ჩრდილოეთ შესასვლელი სადაა და მისი ტიმპანის ქვა გლუვია. დასავლეთ ფასადის წინ ხელოვნური ბაქანის ვიწრო ზოლზე, თაღებით გახსნილი სამნაწილიანი კარიბჭეა მიშენებული, რომლის გვერდითა გადახურვები აღარ არსებობს.
გუმბათის ყელის თორმეტი სარკმელი მოთავსებულია გარე წყვილი ლილვებით შექმნილ წყვილი მოხაზულობის თაღედში. გუმბათის ლავგარდანსა და თაღედს შორის ჩასმულია რელიეფური (სახედრის, ვერძის თავის) გამოსახულებები. გუმბათის ერთ-ერთი სარკმლის ღიობში შემორჩენილია წრიული მოხაზულობის კერამიკული ალათის ფრაგმენტი. ფასადები და გუმბათი განსრულებულია ორნაწილიანი კარნიზით: (გურჯიძე, ჩაკვეტაძე, ხაბულიანი, 2015ბ).
მონასტრის ტერიტორიაზე, როგორც ძირითად ტექსტში აღინიშნა, შემორჩენილია გალავნის, დარბაზული ეკლესიის, სატრაპეზოსა და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობების კვალიც.

[11] ქალბატონი ქეთევან აბაშიძე, ხუჯაბის მშენებლობის პერიოდთან დაკავშირებით, ბოლოდროინდელ კვლევებზე დაყრდნოთბით, ვარაუდობს, რომ ძეგლის აშენების თარიღი, შესაძლოა, უფრო ადრეული ხანით განისაზღვროს. აღნიშნული მოსაზრება სადღეისოდ გამოქვეყნებული არ არის.

ხუჯაბის ეკლესიის სადიაკვნეს მოხატულობა

(აღწერა, მხატვრულ-სტილისტური დახასიათება, იკონოგრაფიულ-თეოლოგიური პროგრამა)

მარნეულის რაიონში სოფელ ახკერპთან ახლოს, ლალვარის მთის ძირში გაშენებული ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე, სხვადასხვა დროის ნაგებობები – გალავნის, დარბაზული სამლოცველოს, სატრაპეზოსა და სამეურნეო სათავსებს შორის, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, მკაფიოდ გამოირჩევა დიდი გუმბათიანი ეკლესია (ნახ. 10) (აბაშიძე, 2009, გვ. 70-83; აბაშიძე, 1989, 10-11; აბაშიძე, 2010, გვ. 103-114).

გუმბათიანი ტაძრის ფართე და ნათელი ინტერიერი[12] აშენებისთანავე აგურით ყოფილა მოპირკეთებული. როგორც ჩანს, ამის გამოც ტაძარის შიდა კედლები, ადრეული ხანიდანვე სრულად შეილესა; შერჩენილ ბათქაშზე (დღესდღეობით შელესილობა ნაწილობრივ ჩამოცვენილია და ალაგ-ალაგ ჩანს აგურის წყობა) მოხატულიბის კვალი არ შეინიშნება.

მთავარი ტაძრის სადიაკვნე, რომელიც თავდაპირველად სამკვეთლოს დარად გახსნილი უნდა ყოფილიყო, მცირე სამწირველოდაა მოწყობილი[13] (ნახ. 11). სათავსი ნათდება საკურთხეველში გამავალი ღიობით და დასავლეთი კედლის კარ-სარკმლიდან შემომავალი მეორადი სინათლით. ამის გამო, სამლოცველოს მოკრძალებული სივრცე საკმაოდ ბნელია. მიუხედავად ამისა, სადიაკვნეს სამწირველოდ გადაკეთებისთანავე, მისი კედლები ერთიანად იქნა მოხატული[14] (სურ. 12).

---

[12] ვრცელი დახასიათება იხილეთ წინა თავში: ხუჯაბის ტაძრის არქიტექტურა.

[13] სადიაკვნეს თავზე სამწირველოდ გადაკეთებამდე, ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო მცირე სათავსო მოწყობილი, რომელშიც მოხვედრა აფსიდის სამხრეთ ნიშაში განთავსებული კიბით შეიძლებოდა. ზედა ოთახი ნათდებოდა დასავლეთით გაჭრილი პატარა მრგვალი სარკმლით. როცა სადიაკვნე ტაძრის მთავარი სივრციდან გამოიყო და ნატეხი ქვით ამოაშენეს, ზემოთ მოწყობილი ოთახი სადიაკვენს თავზე მოექცა, რის გამოც ტაძრის ეს კუთხე ორსართული გახდა (გუჯაბიძე, 1989, გვ. 14).

[14] მთავარი ტაძრის ინტერიერი, როგორც ძირითად ტექსტში ვახსენეთ, აგებისთანავე ერთიანად იყო შელესილი, მაგრამ სავარაუდოდ, მოხატული არ ყოფილა (ბათქაშის ვარდისფერი სოკო მოხატულობის

საკურთხევლის კონქში, კამარის კეხში და კედლების ქვედა მონაკვეთებზე ბათქაში მთლიანადაა აცვენილი. საღებავის ფენა ჩამორეცხილია და გამოსახულებათა ფერით მოდელირების კვალი აღარ შემორჩა. მოხატულობის თავდაპირველი სახის აღდგენა და სტილზე დაკვირვება, მისი არათანაგვარი დაცულობის გამო შეუძლებელია. ბათქაშზე დარჩენილი ფერადოვანი ლაქების მიხედვით, მოხატულობის კოლორიტის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ სათავსის ფერწერა ღია ტონალობებში და შუქმნათ (მომწვანო, მოწითალო, მოყვითალო და გაღიადებული ლაჯვარდით) ფერებში იქნებოდა გადაწყვეტილი.

სამწირველოს საკურთხევლის მხატვრობა ყველაზე მეტადაა დაზიანებული (სურ. 13); კონქში გამოსახულება ფაქტობრივად მთლიანადაა წარხოცილი, მაგრამ დარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით (ანგელოზის ფეხის ტერფები, ფრთების დაბოლოება, ტახტის კიდე, ტახტზე მჯდომარე ფიგურის ტერფის მოხაზულობა), კვლევის ამ ეტაპზე, შესაძლებელია, აქ ანგელოზებით გარემოცული აღსაყდრებული მაცხოვრის ან ღვთისმშობლის გამოსახულება ვიგულისხმოთ. დანამდვილებით მხოლოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონქში არ იქნებოდა ვედრება გამოსახული, ვინაიდან კონქის კიდეებში ჩანს ლოროანი სამოსით შემოსილნი ანგელოზთა ფიგურების ფრაგმენტები: სამოსის ქობის ქვედა ნაწილი და ფრთების დაბოლოება.

აფსიდის სარკმლის ორსავ მხარეს, მეორე რეგისტრში გაშლილი გრაგნილებით ხელში, სამი მეოთხედით ცენტრისკენ მიმართული წმინდა მღვდელმთავრის სამ-სამი სრული ფიგურაა (სურ. 14). აფსიდის ქვედა ნაწილში, ნიშებს შორის და მათ გასწვრივ დარჩენილ არეებზე, სავარაუდოდ ფერწერის მესამე რეგისტრი უნდა არსებულიყო (ჩანს ქვედა რეგისტრის ხაზი), მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად გამოსახულებები აღარ იკითხება. აფსიდის ერთადერთ ფართო სარკმელში სახარებისეული სიუჟეტი – `ხარებაა~ წარმოდგენილი; [15] ჩრდილოეთ წირთხლზე არქიტექტურის ფონზე

კვალის მხოლოდ შთაბეჭდილებას ტოვებს). სადიაკვნეს ეკვდერად გადაკეთებისას ძველი შელესილობა, როგორც ჩანს, მხატვრობის საფუძვლად გამოიყენეს (ამით უნდა აიხსნა ბათქაშის `შესვლა~ დასავლეთ კედლის კუთხეებში) და ახალი შელესილობა მხოლოდ ახალ აღმართულ _ დასავლეთ კედელს გაუკეთდა (შენიშვნისთვის გულითადი მადლობა ქალბატონ ქეთევან აბაშიძეს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ქალბატონი ქეთი ამ მოვლენას მოხატულობის ორფენიანობას უკავშირებს).

[15] ამ სცენასთან დაკავშირებით მკვლევართა მიერ ზეპირად გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ გამოსახული ფიგურის იკონოგრაფიული ტიპის მსგავსება (სამოსი, სახის ოვალი, ფერი და ა.შ.) ამავე მოხატულობის ჯვარცმის სცენაში გამოსახული ღვთისმშობლის ფიგურასთან

ღვთისმშობლის მჯდომარე ფიგურა გამოუსახავთ, რომლის მიმართ სარკმლის ცენტრიდან დაშვებული სხივის გამოსახულება ბუნდოვნად იკითხება. ღვთისმშობლის გამოსახულებიდან კარგად იკითხება სახის ოვალისა და ფიგურის ზედა ნახევრის გარშემომწერი ხაზი, რომელიც ცენტრისკენ ორიენტირებული სხეულის სიულეტს მკვეთრად გამოკვეთს. სარკმლის სამხრეთ წირთხლზე ანგელოზის გამოსახულება უნდა იყოს მოსალოდნელი; არსებული ფრაგმენტიდან მხოლოდ მოწითალო-მოთეთრო ფერის ლაქების გარჩევაა შესაძლებელი (ნახ. 15).

ეკვდერის[16] დარბაზში ორ რეგისტრად მხოლოდ საუფლო სცენებია განთავსებული. საკურთხევლის მიმდებარედ, ჩრდილოეთი კედლის კამარის ფერდზე `ფერისცვალებაა~ (ნახ. 16),[17] რომლის დასავლეთით ყველაზე უკეთ შემორჩენილი `ნათლისღების~ სცენა გაირჩევა. `ნათლისღების~ კომპოზიცია, შეიძლება ითქვა, რომ მოხატულობაში ყველაზე უკეთ შემორჩენილი სცენაა. ნათლისმცემლისა და ანგელოზთა ფიგურებს, შორის ცენტრალურ ფიგურად გამოირჩევა მაცხოვრის ფეხზემდგომი გამოსახულება, რომლესაც წითელი ფერის კონტურული ხაზითაა გარშემოწერილი. აღსანიშნია, მაცხოვრის სხეულის ზემოდან მდინარე იორდანეს ტალღების მონახაზები, რომელიც მაღალი ოსტატობითაა შესრულებული და ძალზედ შთამბეჭდავია (სურ. 18. ნახ. 16). იმავე კედლის პირველი რეგისტრის აღმოსავლეთ

მიმართებით მსგავსება თვალსაჩინოა. ამასთანავე, სახარებისეულ სცენებს შორის მსგავსი ტიპის ღვთისმშობლის მჯდომარე ფიგურა მხოლოდ ხარების სცენაში შეიძლება შეგვხვდეს (კომპოზიციური ქარგიდან გამომდინარე, აქ არ უნდა ვიგულისხმოთ მაცხოვრის შობის სცენა, სადაც იშვიათად, მაგრამ ღვთისმშობელი მჯდომარედაც გამოისახებოდა ხოლმე (მაგ: ატენი, ჰადიში და ა.შ). სარკმელში გამოსახული სცენა ასევე არ უნდა წარმოადგენდეს აბრაამის წიაღის (სადაც ზოგჯერ ღვთისმშობელიცაა ჩართული, მაგ: ახტალა, ცხავატი, ანისის წმ. გრიგოლ პართეველის ეკლესია, ნაბახტევი და ა.შ.), ასევე რისამე სიმბოლურ გამოსახულება-პერსონიფიკაციას; მხატვრული ქარგა მიესადაგება ხარების სცენის ტიპიურ რედაქციას, სადაც ფიგურის პოზა აშკარად, ხარების სიუჟეტური სცენისთვის თვისობრივს _ სხვა ფიგურის (ანგელოზის) მიმართ გარკვეულ ჟესტით `დიალოგს~ გულისხმობს.

[16] ზოგადად ცნობილია, რომ ტერმინი `ეკვდერი~ მეტ წილად გამოიყენება ისეთ საეკლესიო-ხუროთმოძღვრულ სივრცესთან მიმართებით, სადაც პიროვნების სამარხია (ან სამარხები) განთავსებული (პაპუაშვილი, 1985, გვ. 89-94). ვინაიდან ხუჯაბის აღნიშნული სათავსი არქეოლოგიურად შეუსწავლელია, ჩვენ არ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, იყო თუ არა ამ სივრცეში ვინმეს დასაკრძალავი მოწყობილი. ტერმინი `ეკვდერი~ ჩვენს შემთხვევაში გამოიყენება როგორც მცირე სივრცის აღმნიშვნელ სიტყვად და მას დასაკრძალავის ფართო მნიშვნელობით ტექსტში არ ვგულისხმობ. არ გამოვრიცხავთ, რომ ხუჯაბის სამწირველოში გათხრების შედეგად, სამომავლოდ, სამარხიც დადასტურდეს.

[17] ფერისცვალების სცენიდან გაირჩევა თითოეული ფიგურის სილუეტები. ამათგან კომპოზიციის ქვედა მონაკვეთზე მკრთალად გაირჩევა ცენტრიდან სამი რადიალურად გამომავალი სხივები დაჩოქილი მოციქულების ფიგურების გასწვრივ.

მონაკვეთში `ჯოჯოხეთად შთასვლის სცენა[18] უნდა იყოს ასახული. ხოლო მის დასავლეთით `ჯვარცმის~ დიდი კომპოზიციაა[19] (ნახ. 19). `ჯვარცმის~ სცენას ფრაგემნტულად შემორჩენილი აქვს ქართული და ბერძნული შავი ფერის წარწერები ((💣☎♒♦♒◑□ ✈☎♏□◑◆- დედა ღმრთისა; ჯ[ვარ]ც[მა [ქ(რისტე)სი]).[20]

სამწირველოს ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ კუთხეში, სრული ტანით ქტიტორის საერო პირის ფიგურა[21] გამოუსახავთ (სურ. 20.). აღმოსავლეთისკენ ორიენტირებული პორტრეტი, სახიანი სამოსით ე.წ. კაბით და გვირგვინითაა წარმოდგენილი (ნახ. 21). საქტიტორო გამოსახულება, ცის სეგმენტის – საქტიტორო სქემისთვის დამახასიათებელი ნიშნის გარეშე, სადა ფონზეა გამოსახული.

სამხრეთ კედელსა და კამარაზე მხოლოდ გაფერმკრთალებული რეგისტრების გარჩევა ხერხდება – მოპირდაპირე კედლის მსგავსად, აქაც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ოთხი სიუჟეტი, რომელთა იდენტიფიცირება ძნელად ხერხდება;[22] სამხრეთ აღმოსავლეთ ფერდზე კვლავ `ხარებაა~ გამოსახული; `ხარების~ სცენის იდენტიფიცირებისას ვიზიარებ ქალბატონ ქეთევან აბაშიძის მოსაზრებას. ერთ-ერთ უფრო ადრეულ ფოტოზე (რომელიც მომაწოდა ქალბატონმა ქეთევან აბაშიძემ), ჩანს ღვთისმშობლის გამოსახულება ტახტის ფონზე და მის წინაშე წარმდგარი მთავარანგელოზ გაბრიელის მოზრდილი ფიგურა (ნახ. 22).[23]

---

[18] სცენა ძლიერაა დაზიანებული. კომპოზიციიდან ჯვრით ხელში გამოსახული მაცხოვრის, ასევე რამოდენიმე თავისა და კლდოვანი მასის კონტურული მონახაზების გარჩევა ხერხდება.

[19] ჯვარცმის სცენა მოზრდილი კომპოზიცია იქნებოდა, რომლიდანაც გამოსახულების მხოლოდ ზედა ნახევარი შემორჩა. კომპოზიციის ღერძად გაირჩევა ჯვრისა და მაცხოვრის ჯვარცმული ფიგურის ფრაგმენტი, რომლის ორსავ მხარეს მკრთალად მოჩანს ფეხზემდგომი ღვთისმშობლისა და წმ. იოანე ღვთისმეტყველის სილუეტები. სცენის ზედა მარცხენა კუთხეში, ასევე შემორჩენილია ანგელოზის პატარა ფიგურა. კომპოზიციას ახლავს განმატებითი წარწერებიც (იხ: დამატება: ხუჯაბის ფრესკული წარწერები, #1, 2).

[20] წარწერების აღწერილობა იხ: მომდევნო ქვე-თავი: ხუჯაბის ფრესკული წარწერები, #1, 2.

[21] საქტიტორო გამოსახულების აღწერა ვრცლად იხ: ქვემოთ.

[22] სამწირველოს სამხრეთ კედელი დაზიანებული სახურავიდან ჩამომავალი წვიმის წყლით პერიოდულად სველდება (ეს კარგად დასტურდება სხვადასხვა წლებში გადაღებული ფოტომასალითაც), რის შედეგადაც ტენიანდება კედლის ბათქაშიც და ფრესკული საღებავიც. ამ მიზეზით `გამუქებული~ მხატვრობა თვალისთვის უკეთ აღქმადია და სამხრეთი კედლის სცენებიც სწორედ ამ დასველების მომენტში, შედარებით უკეთ ჩანს. სამწუხაროდ, სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ კედლის გაშრობის შემდეგ აღნიშნული კედლი, ეგვტერის სხვა დანარჩენ მონაკვეთებთან შედარებით, წლების მანძილზე საგრძნობლად გაუფერულებულია.

[23] აქვე უნდა ითქვას, რომ ეს `მიზეზი~ გახლავთ მკვლევარის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იმისა, რომ საკურთხევლის სარკმელში გამოსახული სცენა არ იგივდებოდეს ხარებასათან. უნდა ითქვას, რომ ხუჯაბის სადიაკვნის მოხატულობაში შინაარსის გაძლიერების მიზნით ორი ხარების თანაარსებობა,

`ხარების~ კომპოზიციის დასავლეთით `შობის~[24] სცენის ძლიერ დაზიანებული კომპოზიცია იკითხება (ნახ. 23). პირველ რეგისტრის აღმოსავლეთ მონაკვეთი დაღუპულია. ხოლო მის გვერთით ფრაგმენტულად დარჩენილ ადგილზე არანაირი მხტვრობის კვალი აღარ იკითხება. მაგრამ ამ ადგილზე, როგორც ქვემოთ აღწერიდან დავინახავთ, ბზობის სცენის პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო გამოსახული.

სამწირველოს დასავლეთი კედლის ზედა რეგისტრში, სარკმლის ორსავ მხარეს, `ლაზარეს აღდგინების~[25] სცენის გავრცობილი რედაქციაა განთავსებული. მის ქვემოთ, კარის ირგვლივ, წარწერის თანახმად ((huriaTa krebuli (ჰურიათა კრებული) ierusalimi (იერუსალიმი))[26] `ბზობის~ (იგივე `უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში~) კომპოზიციის მეორე ნაწილია სავარაუდებელი[27] (ნახ. 24).

ორნამენტული მოტივები სამწირველოში მცირედაა გამოყენებული. ტალღოვანი ორნამენტით[28] მორთული დასავლეთ სარკმლისა და ფოთლოვანი დეკორით შემკული საკურთხევლის აფსიდის კედლის საფეხურის გარდა, დეკორატიული ორნამენტი ყოფილა გამოსახული შესასვლელი კარგის ტიპანშიც, რომლის სახე დღეს ძნელად თუ გაირჩევა. სამწირველოს კამარის კეხში, სცენების გამყოფ რეგისტრად, ფართე ორნამენტული მოტივია გამოხატული, სადაც მეანდრის ტიპის დეკორატიული სახე უნდა არსებულიყო (დღეს ძლიერ დაზიანებული ორნამეტის სახე კამარის აღმოსავლეთ მონაკვეთზე ფრაგმენულად ჩანს).

ერთ სივრცეში მოხატულობის ერთფენიანობის შემთხვევაშიც სრულიად დასაშვები ჩანს, რომლის არგუმენტირება წინამდებარე ტექსტში ქვემოთ იქნება განხილული.

[24] ისევე როგორც `ხარების~ სცენა, `შობის~ სცენის გარჩევა კვლავ ადრეულ ფოტოზეა შესაძლებელი. კომპოზიციის ცენტრში მკრთალად გაირჩევა მღვიმის ფონზე ღვთისმშობლის მწოლიარე ფიგურა და მსახური ქალის მიერ ემბაზში გამოსახული ჩვილი მაცხოვრის განბანვის სიუჟეტი.

[25] ლაზარეს აღდგინების სცენიდან თითქმის არაფერია შემორჩენილი. კომპოზიციური ქარგიდან გამომდინარე, სცენის მარჯვენა ქვედა მონაკვეთში შერმოჩენილი საფლავის სარქველი მიანიშნებს იმაზე, რომ აქ ლაზარეს აღდგინების სცენა უნდა ყოფილიყო გამოსახული.

[26] წარწერების სრული აღწერილობა და ადგილმდებარეობა იხ: მომდევნო ქვე-თავი: ხუჯაბის ფრესკული წარწერები, # 3, 4.

[27] ბზობის ტრადიციული სქემისთვის, კარის ღიობის გამო, ეს ადგილი მცირე და უჩვეულოა; სავარაუდოდ, ბზობის სცენის გავრცობილი რედაქცია იყო წარმოდგენილი, რომელიც სამხრეთ კედელზე იწყებოდა (კვიცზე მჯდომარე მაცხოვარი მოციქულთა გუნდთან ერთად) და დასავლეთით ვრცელდებოდა.

[28] მსგავსი ტალღოვანი ორნამენტული სახე ტიპიურია შუა საუკუნეების მოხატულობებში (იხ: ბოსლების სამება (XII-XIII სს.), მაღალაანთ ეკლესიის პირველი ფენა (XII-XIII სს.), და სხვ. მსგავსი ორნამენტული რეპერტუარი ასევე ხშირად დასტურდება რუსულ და სერბულ მოხატულობებშიც)

ჩვეულებისამებრ, ქართულ სახვით ხელოვნებაში `ხარების~ სცენა, ჩართულია საუფლო დღესასწაულთა ციკლის ისტორიულ თანმიმდევრობაში და როგორც წესი, არ გამოიყოფა თავისი ადგილმდებარეობით. მიჩნეულია, რომ მოხატულობის სისტემაში ამ სცენის გამოყოფა ბიზანტიური მოხატულობებისთვის ხდება დამახასიათებელი[29], თუმცა `ხარების~ კომპოზიციის აქცენტირების შემთხვევები ქრისტიანულ აღმოსავლეთში (სურ. 25, 26, 27)[30] და ქართულ ფერწერაშიც დასტურდება. მაგ: საბერეები (სხირტლაძე, 1985, გვ. ¿126-139); გარეჯის დოდოს რქის ახლადაღმოჩენილი მოხატულობა (ბულია, 2015, გვ. 52-71); გარეჯის უდაბნოს ჩიჩხიტურის მოხატულობა (XIII ს.)[31], ზემო კრიხი (XI ს.), წალენჯიხა (XIV ს.), გარეჯის უდაბნოს სატრაპეზო (XIII ს.), გრემი (XVI ს.) და სხვ.[32] (სურ. 28, 29, 30). მისი გამოყოფა ისტორიული თანმიმდევრობით წარმოდგენილი სახარებისეული ციკლიდან და განთავსება საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული თეოლოგიური წანამძღვრებით აიხსნება[33]. არქიტექტურულად რთული ტაძრებისგან განსხვავებით, დარბაზულ სივრცეებში, ტრადიციისამებრ, `ხარების~ სცენა საკურთხევლის მიმდებარედ, კამარის კალთებზე თავსდება ხოლმე (სურ. 31, 32).[34]

`ხარების~ სცენის იკონოგრაფიასთან მიმართებით ნიშნეულია, რომ ქრისტიანულ ხელოვნებაში არსებობს ღვთისმშობლის დაუჯდომლის გამოსახვის ტრადიციაც, სადაც ღვთისმშობლის ჰიმნის შესაბამისი სტროფების ილუსტრირებისას კომპოზიციის იკონოგრაფიებს საფუძვლად უდევს ქრისტოლოგიური ციკლის ტრადიციული გამოსახულებები. მონუმენტურ მხატვრობაში (და არა მხოლოდ) დაუჯდომლის ციკლის ილუსტრირებისას `ხარების~ სცენის ტრადიციული

---

[29] მაგ: წმ. ქრისტინეს და მარინეს საძვალე (იტალია, X-XI სს.); დიდი ნოვგოროდი (რუსეთი, XII ს.); პეჩის საპატრიარქო. წმ. ნიკოლოზის ეკლესია (სერბეთი, XIV საუკუნე) და სხვ.

[30] მაგ: დეირ ალ-სურიანის მონასტერი (ეგვიპტე, VIII და X სს.); ბალი ქილისე (კაპადოკია, X ს.); კარაბას ქილისე (კაპადოკია, XI ს.); Aაბუნა აბრაამის (წმ. Aაბრაამის) ეკლესია (ეთიოპია, XIV-XV სს.) და სხვ; ასევე, ხარების სცენის ადგილზე ბიზანტიურ არქიტექტურაში და მათ თავისებურებებზე ვრცალდ იხ: (Bორნოვალი, 2008).

[31] http://www.saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1052%3A2011-09-04-00-18-52&catid=1%3A2010-01-24-19-54-07&Itemid=1&lang=ka

[32] დასახელებულ ძეგლთა სრული ბიბლიოგრაფიისთვის იხ: (ჭიჭილეიშვილი, 2010, გვ.49).

[33] ხარებასთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიისთვის იხ: (ჭიჭილეიშვილი, 2010, გვ.49; Jolivet-Lévy, 1991, pp. 266-270, Fig. 148/1; Βαραλής, (1996-1997), Σελ. 201-220).

[34] ხარების სცენის იკონოგრაფიული თავისებურებების (ტრადიციული მხატვრული სქემების თუ სახესხვაობების) შესახებ ვრცლად იხ: (Schiller, 1971, pp. 33-52).

იკონოგრაფიული სქემით[35] (მცირედი სხვაობებით), `ხარების~ სახარებისეული თხრობის სხვადასხვა მომენტის აღსანიშნავად (I – მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ხარება, სულიწმინდის გარდამოსვლა და ღვთისმშობლის, როგორც დაუტევნელის დამტევნელის განდიდება. II – ღვთისმშბლის გაკვირვება `უთესლოდ მიდგომილობისა~ გამო. III – ღვთისმშობლის მიერ უფლის განგების მიმღებლობა), ერთი მხატვრული ქარგით (იგივე იკონოგრაფიით) სამ სცენად მაინც გამოისახება (Peltoma, 2001). ამათგან, ქრისტიანულ მხატვრობაში იშვიათად, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როცა `ხარების~ კომპოზიცია აკათისტოს ვრცელი ციკლის გარეშეც – გამორჩეული სახით გვხვდება: კასტორიის წმ. უვერცხლოთა ტაძარში (XII ს. მხატვრობის II ფენა) `ხარება~ ორჯერ – საკურთხევლის შუბლზე და სამხრეთ კედელზეა გამოსახული (Maguire , 2012, პპ. 58-74; Maguire , 1994, პ. 47, ფიგ. 31-32). `ხარების~ სიუჟეტი განსხვავებული იკონოგრაფიით არის ქორეთისა და ბუგეულის მოხატულობებში წარმოდგენილი (ხუსკივაძე, 2003, გვ. 175-176; სურ. 34, 35). ამ მოვლენებს სხვადასხვაგვარი კონტექსტით და გარკვეული ტექსტების შინაარსთან კავშირში ეძებნება ახსნა (Peppard , 2016, პ. 158-183; Maguire , 1994, პ. 42-52).

ხუჯაბის მოხატულობის შემთხვევაში, ორივე `ხარების~ სცენა ისე ფრაგმენტულად შემორჩა, რომ მათი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ რომელიმე კონკრეტულ ტექსტთან კავშირში განხილვა და სახარებისეულ თხრობასთან მიმართებით დღესასწაულის შინაარსის რომელიმე მომენტის ამოცნობა მიმართებით დღესასწაულის შინაარსის რომელიმე მომენტის ამოცნობა შეუძლებელია. ხუჯაბის მოხატულობაში ორი `ხარების~ არსებობის დადასტურება სხვაგვარი წანამძღვებით აიხნება.[36]

---

[35] ტრადიციულ იკონოგრაფიულ სქემაში იგულისხმება ორფიგურიანი (ღვთისმშობლისა და მთავარანგელოზების გამოსახულებები) ხარების სცენის მოკლე რედაქცია. მაგალითები იხ: (Schiller 1971, pp. 33-52).

[36] არსებობს მოსაზრება, რომ ხუჯაბის ტაძარი დაარსებისთანავე წმ. ნინოს სახელობის მონასტერი იყო (ვარაზაშვილი, 1988, გვ. 9-12). თუ ეს მოსაზრება ისტორიული წყაროებით ოდესმე დადასტურდება, მაშინ შესაძლებელია, რომ ხარების გამორჩევა ხუჯაბის ეკვდერის მოხატულობის პროგრამაში ქართლის მოქცევაში მოთხრობილი, ხარების დღეს აღსრულებულ სასწაულებთან იყოს დაკავშირებული, რაც სამომალო კვლევის საგნად შეიძლება იქცეს.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, `ხარების~ სიუჟეტური კომპოზიცია ტრადიციული სამხრეთ აღმოსავლეთი ფერდის გარდა[37], ჰუჯაბში აფსიდის სარკმელშიც გამოისახა და არა მხოლოდ შინაარსის საინტერესოდ განაწილებისთვის – ამ სცენის ხელმეორედ გამოსახვა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოხატულობის მთავარი ლიტურგიკული საზრისის სწორედ საკურთხეველში გაცხადების მიზნით უნდა ყოფილიყო განპირობებული.[38]

ხუჯაბის ეკლესიის სამლოცველოს მოხატულობაში წამოდგენილი `ხარების~ სცენასთან დაკავშირებით, აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ტრადიცია სარკმელთა მორთულობის შესახებ, რომელიც ადგილობრივ მხატვრულ მახასიათებლადაც კი იქცა (გედევანიშვილი, 2012, გვ. 186-198).[39] ქართული სახვითი ტრადიცია სარკმლების დეკორში ცალკეულ ფიგურებს და სიუჟეტურ კომპოზიციებს ანიჭებს უპირატესობას. როგორც ცნობილია, საქართველოში სარკმელთა კედლებზე სიუჟეტური სცენების განთავსება X საუკუნიდან არსებობს (ოთხთა, სურ. 36) და XII-XIII საუკუნეების ძეგლებში[40], უმეტესწილად ტაძრის მთავარ სივრცეში, ბიბლიურ სიუჟეტებთან ერთად, უკვე რთული კომპოზიციებიც გამოისახება (გედევანიშვილი, 2012, გვ. 186-187). სარკმელთა მორთულობის ამგვარი ტენდენცია, ერთგვარად საკრალური სივრცის[41] ახლებურ და ყოვლისმომცველობით განცდას უკავშირდება

---

[37] ამ შემთხვევაში იგულისხმება დარბაზული ტაძრების მოხატვის ტრადიცია (თუ შეიძლება ასე ითქვას), სადაც `ხარება~ ხშირად გამოისახებოდა საკურთხევლის მიმდებარედ _ სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე (მაგალითები იხილეთ ტექსტში).

[38] საკურთხევლის ცენტრალურის სარკმლის _ არქიტექტურული ფორმის გამოყენება, მოხატულობის პროგრამაში როგორც იდეურ საზრისად, ქრისტიანულ ხელოვნებაში ხშირად დასტურდება. ამის თვალნათლივ ნიმუშს, ადრეული ხანიდანვე, ოთხთა ეკლესიის (X ს.) საკურთხევლის სარკმლის მოხატულობის მაგალითზე ვხვდებით. იხ: (სხირტლაძე, 2009, გვ. 166-176).

[39] ზოგადად მიჩნეულია, რომ XII საუკუნიდან მოყოლებული, სარკმლის კედლების შესამკობად ბიზანტიური ხელოვნებისათვის ტრადიციულია ორნამენტული დეკორის განთავსება, თუმცა არსეობს ერთეული გამონაკლისები სერბულ ((დეჩანი, (XIV ს.); მორაჩას მონასტერი (XIII ს.)), რუსულ (იაროსლავლის წმ. ილია წინასწარმეტყველის ეკლესია, XVII ს.) და რომანულ მხატვრობებში: ქარდვორთის (დიდი ბრიტანეთი, XIIIს.), სანტა მარია დე მურის ეკლესია (კატალონია, XIII ს.); სან ჯუსტოს ეკლესია (კატალონია, XII ს.) და სხვ. ვრცელი ჩამონათვალისთვის იხ: (გედევანიშვილი, 2012, გვ. 187).

[40] გელათის მონასტრის მთავარი ეკლესიის ნართექსი, სამშვილდე, ვარძია, გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ეკლესია, უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნე, ტიმოთესუბანი, ბეთანია, ახტალა, რკონის ციხის ეკლესია, ბიეთი, სხალთა, ტიგრან ჰონენცის ეკელსია (სხირტლაძე, 2019 (იბეჭდება)).

[41] არსებულ კონტექსტში ტერმინ `საკრალურ სივრცეში~ იგულისხმება ტაძრის ლიტურგიკული სივრცე.

(გედევანიშვილი, 2012, გვ. 191) და როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში მეტწილად, სამეფო რიგის მოხატულობებს ახასიათებდათ (სურ. 37, 38, 39).[42]

ხუჯაბის ეკლესიის სამლოცველოს საკურთხევლის უჩვეულო სქემა, არსობრივად, ასევე სარკმლისა და საკურთხევლის სქემათა გარკვეულ სინთეზს უნდა ასახავდეს და საკურთხევლის მოხატულობათა სქემებში სიუჟეტთა ჩართვის ტრადიციასაც უნდა უკავშირდებოდეს.

მიიჩნევა, რომ საკურთხეველში, სცენების გამოსახვა ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით, ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში თითქმის ყველა ეტაპზე გვხვდება (სურ. 40, 41, 42, 43)[43]. დროით ნაკარნახევ ცვლილებებთან და კანონზომიერებებთან ერთად, საკურთხევლის ფარგლებში სცენების ჩართვა, საზოგადოდ, ტაძრის საერთო შინაარსობრივ კონტექსტში გარკვეული მახვილების დასმის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი (სხირტლაძე, 2009, გვ. 166-176). მიჩნეულია რომ, ფერწერული დეკორის სისტემის ჩამოყალიბების პროცესთან ერთად, საკურთხეველში სცენების გამოსახვით იდეური აქცენტების განაწილება, მოგვიანო ხანაში (XIII საუკუნიდან) განსხვავებულ წანამძღვრებთან – ხშირ შემთხვევაში, ნარატიულობის ზრდის საზოგადო ტენდენციასთან – უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (სხირტლაძე, 2009, გვ. 171-174) (სურ. 44, 45)[44]. ხუჯაბის ტაძრის საკურთხევლის ფერწერული შემკულობის

---

[42] საქართველოში შემორჩენილი ძეგლების უმრავლესობა, სადაც სარკმელთა სიუჟეტით მორთვის მაგალითები გვაქს, სამეფო რიგის მოხატულობებს განეკუთვნებიან, იხ: სქოლიო, 38.

[43] მაგ: თეთრი უდაბნო, ოთხთა ეკლესია, ბოჭორმა, ყინწვისი, ჰაღბატი, კირანცი, საფარა, ზარზმა, ლიხნე, ბიეთი, ახალი შუამთა, ხობი, ერკეთი, გრემი და ა.შ. ძეგლთა სრული ბიბლიოგრაფიისთვის იხ: (სხირტლაძე, 2009, გვ. 166-176).

[44] საკურთხევლის ბემისა და სატრიუმფო თაღის სქემებისგან განსხვავებით, საკურთხევლის აფსიდში სცენების ჩართვას, შუა საუკუნეების დასავლურ (რომანულ) ხელოვნებაში ტრადიციული სახე ჰქონდა (მაგ: წმ. Qქაირზის ეკლესია (ესპანეთი, XI-XII სს.); წმ. მიქაელის ეკლესია (ესპანეთი, XII ს.); სან ჯუსტოს ეკლესია (ესპანეთი XII ს.); სანტა ეულალის ეკლესია (ესპანეთი XII ს.); ბერზე-ლა-ვილის ტაძარი (საფრანგეთი, XII ს.); სან პედროს ეკლესია (ესპანეთი XII-XIII სს.) და სხვ.) და სიუჟეტები უმრავლესწილად თეოფანიის სქემასთან კონტექსტში არსებობდა, იხ: (Sureda, 1995). დასავლეთთან შედარებით, ქრისტიანული აღმოსავლეთისთვის ბიბლიური სიუჟეტების განთავსებას არატრადიციული სახე აქვს (მაგ: ჩავუშინი. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (კაპადოკია, XI ს.). იხ: (Jolivet-Lévy, 1991, 23-26) და გვხვდება როგორც თეოფანიის, ასევე ღვთისმშობლის დიდების აფსიდალურ პროგრამებში. საკურთხევლის ნებისმიერი სქემის შემთხვევაში, აფსიდში წარმოდგენილი ხარება შედარებით იშვიათობას წარმოადგენს და ძირითადად ისტორიულ რიგშია ხოლმე ჩართული (მაგ: ოთხთა (X ს.); კასტელსეპრიო (იტალია, VII-VIII სს.); სანტა მარია დე მური (ესპანეთი XIII ს.); წმ. სალვადორის ეკლესია (ესპანეთი XII ს.) და ა.შ.). თუმცა არსებობს ძალიან საინტერესო გამონაკლისები რამოდენიმე მოხატულობის სახით ((მაგ: ბალი ქილისე, სადაც საკურთხეველში მხოლოდ ხარებაა გამოსახული

თავისებურება თავისი გამორჩეულობით შუა საუკუნეების ამ საერთო მოვლენათა რიგში თავსდება.

ხუჯაბის ეკლესიის სადიაკვნის სარკმელში გამოსახული `ხარების~ სიუჟეტური სცენა, არქიტექტურული ფორმისა და გამოსახული სიუჟეტის ურთიერთმიმართების მხრივ ჩანს მნიშვნელოვანი. ფართო წირთხლები სცენის განსაკუთრებულად აღქმის საშუალებას იძლევა, ამასთან სიუჟეტის მხატვრულ და თეოლოგიურ მნიშვნელობას სიღრმისეულად ათვალსაჩინოებს და როგორც ზემოთ ვახსენეთ, საკურთხევლის მოხატულობაში შინაარსის გაძლიერების მხრივ უნდა ჩანდეს საგულისხმო. სარკმელს, როგორც ორი სამყაროს ერთიანობის ზღვარზე მყოფ ფორმას, მხატვარმა მასზე ასახული სცენით, თითქოს `ეგზეგეტური~ ფუნქციაც კი დააკისრა. ეს შესაძლოა, ემყარებოდეს ხარებასთან დაკავშირებულ გარკვეულ საღვთისმეტყველო სწავლების წარმოჩენის სურვილსაც. `ხარების~ დღესასწაულის საკითხავებისა და საგალობლების მიხედვით, ეს დღე მიჩნეულია, როგორც მესიანური მისიის – მაცხოვრის განკაცების უპირველესი გაცხადება – გამოჩინებად `საუკუნოითგან დამალულისა საიდუმლოისა~ და ღვთის მიერ კაცობრიობის ცოდვის სამუდამო ტყვეობისაგან გამოხსნის – `ჩვენი ცხონების~ უწყებად. ამ სწავლებასთან ერთად, ხარება დღე ღვთისმშობლის მისიის დასაბამსაც – მისი მეოხებითა და შუამდგომელობით ხსნის იდეასაც ტვირთულობს (ძქმძ, 1980, გვ. 7-9). ხუჯაბის ეკლესიის მოხატულობაში ცხადი ხდება, რომ არქიტექტურული ნაწილის მხატვრულ

(კაპადოკია, X ს.). (Βαραλής, 1996-1997, Σελ. 201-220; Jolivet-Lévy, 1991,. 311-313, F. 172/1); საბერეების VIII ეკლესია, სადაც ხარება მომცრო ზომის საკურთხევლის მიმდებარე აღმოსავლეთ თაღის ფერდს სრულად იკავებს და ფაქტიურად საკურთხეველთან მიმართებით ერთ მთლიანობაში აღიქმება (გარეჯის უდაბნო, X ს.). (სხირტლაძე, 1985, გვ. ¿126-139); დოდოს რქის ახლადაღმოჩენილი ეკლესია (XIII ს.), სადაც ხარება, მართალია, უშუალოდ საკურთხეველში გამოსახული არ არის, მაგრამ მოხატულობის პროგრამაში საუფლო სცენებიდან ხარება მხოლოდ ერთადერთია (სხვა სახარებისეული სიუჟეტი ამ სამლოცველოში გამოსახული არაა, იხ: (ბულია, 2015, გვ. 52-71); და ა.შ.)), სადაც ხარება განსაკუთრებულად არის წარმოჩენილი. ასეთვიე გამორჩევას ვხვდებით წედისის (გორის რაიონი) ციხის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობაშიც, სადაც ხარება დასავლეთ კედელზეა გამოსახულია და დარჩენილი მოხატულობის მიხედვით, სავარაუდებელია, რომ ხარება, ისევე როგორც გარეჯის დოდსრქის წმ. დემეტრეს სამწირველოს მოხატულობაშია, წედისშიც ერთადერთი საუფლო სცენა ყოფილიყო წარმოდგენილი (მოხატულობა შესწავლილი არ გახლავთ, პირველადი მონაცმემებით მხატვრულ-სტილისტური თავლსაზრისით წედისის ციხის ეკლესიის მოხატულობა XII საუკუნით შეიძლება განისაზღვროს). ამათგან ხუჯაბის ეკლესიის სამლოცველოს საკურთხევლის მოხატულობის სქემის კონტექსტი შედარებით მაინც უჩვეულოა და თავისი მნიშვნელოვანებით რამდენადმე განცალკევებითაც დგას; ეს საკითხი ფართო სპექტრს მოიცავს და ვრცელი მასალის სისტემურ _ არგუმენტირებულ დასაბუთებას მოითხოვს, რაც სამომავლოდ ვრცელი განხილვის საკითხად მოიაზრება.

ხერხად გარდასახვის `წყალობით~, სარკმელი უკვე გარკვეულ იდეურ მახვილადაც განიცდება; სახისმეტყველებითად აღმოსავლეთიდან შემომავალი ფიზიკური სინათლე თითქოს რეალიზდება, როგორც `უჟამო ჟამი~, `მზე სიმართლისა~, და `ღვთისმშობლის~ პატივით განდიდებული ორი სამყაროს ზღუდეზე აღბეჭდილი `მხევალი უფლისა~, როგორც `უჟამო ჟამის~ დამტევნელი და `სამოთხის ბჭეთა გამღებელი~,[45] ნათლის მომლოდინე მთელი კაცობრიობის სახესაც ასახავს. ნიშნეულია, რომ მართლმადიდებლური სწავლებით, მარიამის ღვთისმშობლად წოდების წინაპირობა, სწორედ ხარების მომენტიდან იწყება და ამ კონტექსტით საკურთხეველში დედა ღვთისას სარკმელში გამოსახვა საკრამენტულობის მნიშვნელობასაც იძენს და საქართველოში მის განსაკუთრებულ თაყვანისცემის ტრადიციაზე უნდა მიუთითებდეს.[46]

ხუროთმოძღვრული აღნაგობითაც გამორჩეული სარკმელი, მოხატულობის კომპოზიციურ ქარგაში, აფსიდის რეგისტრებთან მიმართებით ყველაზე ძლიერ აქცენტად ჩნდება; სარკმლის სახით მკაფიოდ გამოყოფილი კომპოზიციურ-იდეური ღერძი, თავის თავში მხატვრულად გარდასახულ სხვა აფსიდალური სქემების სახეებსაც `შეინივთებს~ და კონქის ქვედა რეგისტრში განლაგებულ მღვდელმთავართა ფიგურებთან მიმართებით ჩანს საგულისხმო; აფსიდის ცენტრისკენ ორიენტირებული წმინდა მამათა რიგი, XII საუკუნის დასასრულიდან ჩენილი ტრადიციის თანახმად (ვარძია, XII ს.) გამოუსახავთ. თუმცა, სამი-მეოთხედით გამოსახული სამღვდელმთავრო რიგი ცენტრისკენ მიმართული – თაყვანისცემის ობიექტისკენ ლიტურგიკულ მსვლელობასაც ასახავს და `მსხვერპლი გამზადებულის~ ტრადიციულ სქემას გვახსენებს (სურ. 47, 48)[47]. მღვდელმთავართა კრებულის შუა ღერძად მდებარე სარკმელი, გარკვეული სახით `ტრაპეზი გამზადებული~-ს გამოსახულების შემცველადაც კი გვევლინება და მსხვერლის

---

[45] ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოთა შესახებ იხ: ვრცლად (გრიგოლია, 2012, გვ. 26-145); იერუსალიმის ახალი ტაძრის კარიბჭის სიმბოლური გააზრებისათვის იხ: (მეგრელიშვილი, 2011, გვ. 177; Сирин, Кирский, Стридонский, Лопухин, , http://azbyka.ru/otechnik/Efrem_Sirin/tolkovanie-na-knigu-proroka-iezekiilja/1), (გადამოწმებულია 2016.05.25); ღვთისმშობელთან დაკავშირებით ასევე: ΒΑΡΑΛΗΣ, 1996-1997, Σελ. 201-220).

[46] ხუჯაბის საკურხევლის სქემას ქართულ ხელოვნებაში ღვთისმშობლის საკურთხეველში აქცენტირების შემთხვევებთანაც ევლება პარალელი, იხ: (დიდებულიძე, 2014, გვ. 224-231).

[47] მაგ: ბერთუბანი (XIII ს.), გარეჯის უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესია (XIII ს.), მორაჩას მონასტერი (XIII ს.) და სხვ.

თემის თავისებურ ილუსტრირებას ახდენს. წმინდა ტრაპეზსა და მსხვერპლის მიმანიშნებელ გამოსახულებებს აქ სარკმელში წარმოდგენილი სახე ღვთისმშობლისა და ხარების სცენის საღვთისმეტყველო საზრისი – `ტარიგი გამზადებულის~ უპირველესი გაცხადება ცვლის. დეტალურად თუ ჩავუღრმავდებით, საკურთხევლის მხატვრობის კონტექსტში `ხარება~ დოგმატურ სწავლებასთან შეწყვილებული განკაცების ხატის ლიტურგიკულ სახეს იძენს. ამასთან მიმართებით საგულისხმო ჩანს, `ხარებასთან~ დაკავშირებული სწავლება – პარალელიზმი საღვთო ლიტურგიასთან, სადაც ხარება მართლმადიდებლური ზიარების ლიტურგიაში მსახურების კულმინაციურ მომენტთან – ეპიკლეზასთან ახლო კავშირში განიხილება[48]. თეოტოკოსის ევქარისტიულ ლოცვასთან – ანაფორის შემადგენელ ერთ-ერთ უმთავრეს მომენტთან დაკავშირება ცხადჰყოფს, რომ საკურთხევლის სარკმლეში ამ სცენის შერჩევა შემთხვევითი არ გახლავთ – საკურთხევლის მოხატულობის სქემას ევქარისტიულ მნიშვნელობას სძენს და ლიტურგიკული თვალსაზრისითაც ამდიდრებს.[49] სამწუხაროდ, ფრესკის ცუდი დაცულობის გამო, მღვდელმთავართა ვინაობისა და გრაგნილების ტექსტების დადგენა ვერ ხერხდება, რაც ამ მხრივ უცილობლად შეამტკიცებდა მოხატულობის შინაარსს.

ხუჯაბის ეკლესიის სამლოცველოში წარმოდგენილი აფსიდის იკონოგრაფიული სქემის ზუსტი ანალოგი უცნობია და სქემის თავისებურება, ძიების პროცესით და რეგიონული მხატვრული ტენდენციით შეიძლება აიხსნას. ლიტურგიკული და იკონოგრაფიული თვალსაზრისით, საკურთხევლის შემამკობელი კომპოზიცია `მსხვერლის თაყვანისცემის~ იმ სპეციფიკური ხასიათის იკონოგრაფიულ რედაქციათა შორის შეიძლება დასახელდეს, რაც ისტორიულ ქვემო ქართლში, სამხრეთ საქართველოს კიდევ ორ ძეგლში – კაზრეთისა და ქობაირის XIII საუკუნის მოხატულობებშიც დასტურდება (სხირტლაძე, 1981, გვ. 85-98). სამლოცველოს საკურთხევლის მოხატულობის პროგრამაში გაცხადებული, მაცხოვრის ან

[48] ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ: (ხალიფე, 2014, გვ. 35-39).

[49] ტრაპეზის თავზე, სარკმლის სივრცეში გაცხადებული სემანტიკური საზრისი, გარკვეულწილად, ქართულ იკონოგრაფიაში ასახული ქრისტე-ევმანუელისა და მანდილიონის თემებსაც ეხმიანება და შუა საუკუნეებში საღვთისმეტყველო პოლემიკის საკითხებთან დაკავშირებულ მალულ გამოძახილადაც შეიძლება აღვიქვათ. მოხატულობათა პროგრამებში საღვთისმეტყველო საკითხების ასახვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხ: (Вирсаладзе, 1959, ц. 163-204; დიდებულიძე, 2004, გვ. 116-146; გედევანიშვილი, 2004, გვ. 105-115); სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური ლიტერატურის შესახებ ვრცლად შეგიძლიათ იხ: (რაფავა, 2012, გვ. 365-379).

ღვთისმშობლის დიდებისკენ მიმართული უმთავრესი საზრისი, რომელიც `ხარების~ სცენიდან – საკურთხევლიდან აითვლება, სამლოცველოს კედელ-კამარაზე წარმოდგენილ გამომხსნელი მსხვერპლის ჟამიერი ისტორიითა და აღდგომასთან დაკავშირებული სახეებით, ჩრდილოეთ კედელზე სრულდება. ამ თვალსაზრისით, ხუჯაბის ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის იკონოგრაფიული სქემა ზოგადად სცილდება ეკლესიათა მოხატულობების პროგრამების შინაარსს და მას საძვალე-ეკვდერთა მოხატულობების ინდივიდუალიზმით გამორჩეულ პროგრამათა სპეციფიკასთან აახლოვებს (მიქელაძე, 1999, გვ. 28-35). თუმცა, ნიშანდობლივია, რომ მათგან განსხვავებით, ხუჯაბის სამლოცველოს დარბაზში, პროგრამა მხოლოდ საუფლო სცენებით შემოიფარგლება და ამ პროგრამაში გამჟღავნებულ იდეაში, ესქატოლოგიური ასპექტები არ იკვეთება (არაა მეორედ მოსვლის შემცველი ხასიათის სცენები და არაა ცალკე მდგომი წმინდანთა გამოსახულებები). ეს თავის მხრივ, როგორც მხატვრული, ისე ეპოქალური ნიშნებით და ქტიტორთან მიმართებით შეიძლება აიხსნას.

ეპოქის ნიშნებმა ხუჯაბის ეკლესიის სამლოცველოს მოხატულობაში თავისებური ასახვა ჰპოვა, რაც საკურთხევლის მოხატულობასთან ერთად, ბევრ სხვა სახვით დეტალებშიც გამჟღავნდა და ფერწერული შემკულობის საერთო სახის ჩამოყალიბებისას, ცალკეულ სცენათა თუ ფიგურათა პროპორციების შეფარდებაშია გამოვლენილი. ტაძრის კედელ-კამარაზე მონუმენტური კომპოზიციების გამოსახვა, რომელთა შორის საგულისხმო ჩანს, `ჯვარცმისა~ და `აღდგომის~ (ჩვენს შემთხვევაში `ჯოჯოხეთად შთასვლის~ იკონოგრაფიული სქემაა წარმოდგენილი და არა `მენელსაცხებლე დედები მაცხოვრის საფლავთან,~ რომელიც ასევე სახისმეტყველებითად აღდგომის ხატად მიიჩნევა) მასშტაბური სცენების პირველ რეგისტრში `ჩამოტანა~, სივრცის გაერთიანებისა და სულიერი სარგებელისთვის – ჯვარცმის გახსენებით და აღდგომის უფრო ახლოს განცდის სურვილსაც გულისხმობდა. მცირე სივრცეში `ჯვარცმის~ სცენის გამოსახვა იდეური დატვირთვის მინიჭების თვალსაზრისით, მრავალმხრივ შეიძლება აიხსნას. პროგრამული ქარგის აშკარა სხვაობების მიუხედავად, ამ მოვლენას (იგულისხმება ქრისტეს ვნების ციკლის წარმოდგენა) ზოგჯერ უკავშირებენ შუა საუკუნეების საძვალე-ეგვტერთა, ასევე ბიზანტიური წრის ძეგლებში არსებულ მემორიალური სათავსების პროგრამებში

გამჟღავნებულ თემებს (სურ. 49, 50).[50] ეს ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს ჯვრის რელიქვიის თაყვანისცემის ტრადიციას (სურ. 51)[51] და ზოგადად, ეპოქისეულ ნიშნებთან ერთად, შეიძლება სხვა მრავალი წანამძღვრითაც აიხსნას. [52] ხუჯაბის მოხატულობაში ამ `ჯვარცმის~ სცენის გამორჩევა, შინაარსიდან გამომდინარე, უპირველესად, საქტიტორო სქემასთან და მასთან დაკავშირებული საზრისით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.

აშკარაა, რომ ხუჯაბის სადიაკნის მოხატულობის პროგრამა, მსხვერპლისა და გამოხსნის თეოლოგიური იდეით, საერთო ჯამში ერთი სულის ხსნის თემას უკავშირდება და მვედრებელი ქტიტორის ჯვარცმული მაცხოვრის წინაშე გამოსახვით არის გაცხადებული. კონქში გამოსახული `დიდება~ (უფლის ან ღვთისმშობლის), მვედრებელი მღვდელმთავრებითა და `ხარების~ სცენით, უპირველესად განკაცების დოგმატს განასახიერებს, ამასთან მას, ხსნის მნიშვნელობაც ეკისრება და ღვთისმშობლის განსაკუთრებულ მისიას – მეოხებასაც წარმოაჩენს.[53] ამ საზრისს აძლიერებს ტაძრის სივრცეში გამოსახულ ჯვარცმაში უშუალო მონაწილე, ამავე დროს ქტიტორის წინაშე შუამდგომელი ღვთისმშობლის ფიგურა, რომელიც არსებულ კონტექსტში უპირველეს მეოხად წარმოგვიდგება და საკურთხეველში გაცხადებული დიდების თემის გაღრმავებას – მეოხების უშუალო გაგრძელებას უნდა ემსახურებოდეს.

მოხატულობის პროგრამაში სულის ხსნის იდეის წინ წამოწევასთან დაკავშირებით, საგულისხმო ჩანს. დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში წარმოდგენილი ბზობის სცენაში გამოსახული არქიტექტურული ფონიც, რომელიც წარწერის თადახმად იერუსალიმის – წმინდა ქალაქის კრებით სახეს განასახიერებს.

---

[50] მაგ: სანტა მარია ანტიკვას თეოდორეს სამლოცველო (იტალია, VIII ს.), თოქალის ეკლესია (კაპადოკია, X ს.), სოპოჩანი (სერბეთი, XIII ს.), საბერეები, VII ეკლესია (გარეჯის უდაბნო, X ს.); მადონა დელ ვირტუ (იტალია, XIII-XIV სს.) და ა.შ.; ვრცელი ბიბლიოგრაფიისთვის იხილეთ: (ბულია, 2010, გვ. 95-97).

[51] მაგ: წმ. ნეოფიტეს კელია (კვიპროსი, XII ს.) (Teteriatnikov, 2006, პ. 409-433).

[52] ეს შეიძლება იყოს არქიტექტურული თავისებურებებით განპირობებული, მაგ: თანღილის მოხატულობა (XIII ს.) და სხვ. ასევე განსხვავებული ეროვნული მსოფლგანცდით, მაგ: აბუნა აბრაამის ეთიოპიური მოხატულობა (XIII-XIV სს.), სადაც ჯვარცმა ტაძრის ერთ-ერთი სვეტის პირებზეა `გაშლილი~ და ა.შ.

[53] კვეთის (პროსკომიდიის) დროს ღვთისმშობლის მიმართ საკითხავის შინაარსში, როცა ღვთისმშობლის სახელზე ხდება სეფისკვერიდან ნაწილის ამოღება, ხაზგასმულად მითითებულია ღვთისმშობლის მეოხების მისიაზე. იხ: (სამღვდელო კონდაკი, წესი სამღვდელოისა წირვისა (ხუცურად)).

ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთზე, კამარის თაღზე ასევე არქიტექტურული მოტივია გამოსახული, რაც `ბზობის~ სცენაში ასახული იერუსალიმის `გაგრძელებას~ უნდა გულისხმობდეს. მოხატულობაში კედლის სხვადასხვა სიბრტყეზე შენობათა ასე (ნაწილ-ნაწილ) `განფენა~, სამლოცველოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში[54] ფრესკული სახეების მხატვრულ გამთლიანებასთან ერთად, შენობათა ორიენტირში მოქცეულ ქტიტორის ფიგურას აშკარად მიემართება – ეს კი სიმბოლურად ქტიტორის სულის ახალ იერუსალიმში წარმოჩენა-დამკვიდრების ჩვენების სურვილით უნდა ყოფილიყო განპირობებული.[55]

`ჯვარცმის~ სცენის წინაშე საერო პირის წარმოდგენა და ვნების ციკლში `თანამონაწილედ~ ჩვენება – პორტრეტის ისტორიასთან მიმართებით, ხუჯაბის ეკლესიის მხატვრობის სხვა კუთხით განხილვის საშულებასაც იძლევა. ქრისტიანულ კედლის მხატვრობაში ისტორიულ პირთა გამოსახულებების მრავალი იკონოგრაფიული სახესხვაობაა ცნობილი (ორანტა, მოდელიანი, მვედრებელი, ფრონტალური, დაჩოქილი და ა.შ.)[56]. ამ მრავალგვარობის მიუხედავად, უშუალოდ `ჯვარცმის~ წინაშე წარმდგარი საერო პირის გამოსახულებები მაინც დიდ იშვიათობას წარმოადგენდა (სურ. 52);[57] ამასთან მიმართებით, საბერეების VI ეკლესიის IX საუკუნით დათარიღებულ (სხირტლაძე, 1985, გვ. 36) მხატვრობაში დადასტურებული სქემა, გარკვეულწილად საგულისხმო ჩანს: გამოქვაბული ეკლესიის მხატვრობაში საერო პირი, ჩრდილოეთ უბის ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილი `ჯვარცმის~ კომპოზიციის მომიჯნავედ, უბის აღმოსავლეთ კედელზე, ქტიტორისთვის არატრადიციულ ადგილზეა გამოსახული (სურ. 53); ამასთან იგი ხელის

---

[54] ქალბატონი ქ. აბაშიძე თაღის სამხრეთ კუთხეშიც ვარაუდობს ბალდახინის გამოსახულების და ამავე კუთხის თაღის პირზე საქტიტორი წარწერის არსებობასაც (იხ: მომდევნო ქვე-თავი: ხუჯაბის ფრესკული წარწერები, #, 5), რაც ახალ იერუსალიმთან დაკავშირებით განამტკიცებს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

[55] დასავლეთ კედლის ჩრდილოეთით, შენობათა ქვემოთ (კარის გასწვრივ) წითელი ფერის შესამოსლით გამოსახულია უშარავანდო ქალის ფიგურა, რომელიც იერუსალიმის პერსონიფიკაციას უნდა წარმოადგენდეს. იერუსალიმის კარიბჭესთან მდგომი სიმბოლური ფიგურა, არა იერუსალიმისკენ მომავალი მაცხოვრისკენ, რომელიც სამხეთ კედლის ქვედა რიგში უნდა ყოფილიყო გამოსახული, არამედ ქტიტორის გამოსახულებისკენაა ორიენტირებული, რაც ჩვენს მოსაზრებას კიდევ მეტად აძლიერებს.

[56] საქტიტორო სქემებზე და მათ გამოსახულებებზე, ვრცელი ბიბლიოგრაფიისათვის იხ: (Алибегашвили, 1979, ც. 30-73; Преображенский, 2010).

[57] რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ერთი შემთხვევა დასავლეთის მოხატულობაში (ეპიფანეს კრიპტა, სან ვინჩენსო, იტალია. IX საუკუნე), ხოლო მეორე შემთხვევა კვიპროსულ (წმ. ეკატერინეს ეკლესია, პირგა, XIV-XV სს.) მხატვრობაში მოგვეპოვება.

მიმართულებით მაინც `ჯვარცმის~ სცენისკენაა ორიენტირებული. ამ მხრივ, ჰუჯაბის ეკლესიაში მხატვრობის შემსრულებელი ოსტატი, როგორც ჩანს, გარკვეულწილად ადრეულ ეტაპზე არსებულ, ადგილობრივ სახვით ფორმულირებას უნდა ემყარებოდეს. მოგვიანო ხანის ქართულ კედლის მხატვრობაში `ჯვარცმის~ წინაშე გამოსახული საერო პირის პორტრეტი დასტურდება ხარაგაულის ვანის XVI საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობაშიც (ხუსკივაძე, 2003, გვ. 335-350). საერო პირთა გარკვეულ ორიენტირად ვნების ციკლის შემცველ სიუჟეტთა გარემოცვაში წარმოდგენა,[58] ქრისტიანულ სამყაროში იშვითობას არ წარმოადგენდა. საქართველოში კი არსებული მასალის მიხედვით, ამგვარი ტენდენცია მაღალი რანგის ხელოვნებაში ასახულ პორტრეტულ სქემებს ახასიათებდათ – იგი როგორც წესი, სამეფო რიგის მოხატულობებში გვხვდება (სურ. 54, 55)[59]. მხატვრული გემოვნებისა და შესრულების დონის მხრივ, ხუჯაბის ეკლესიის სამლოცველოს მოხატულობაც მაღალი წრის მოხატულობათა შორის შეიძლება გაერთიანდეს.

მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ხუჯაბის მხატვრობა საინტერესო ნიმუშად თვალსაჩინოვდება. შუა საუკუნეების პერიოდისთვის დამახასიათებელი მცირე სათავსთა მოხატულობის სისტემის თანახმად, ხუჯაბის სამწირველოს შიდა სივრცეც, როგორ არა ერთხელ აღინიშნა, სრულად იქნა მოხატული. ხუჯაბის ოსტატმა სივრცის მაორგანიზებლად სრულად გამოიყენა არქიტექტურული ელემენტები; მოხატულობაში არსებული ცალკეული ფიგურები თუ კომპოზიციები იდეურ მახვილებლად ხუროთმოძღვეულ ელემეტებზე განთავსებით `აამეტყველა~ (`ხარების~ სცენის განთავსება საკურთხეველის სარკმელში, ქტიტორის განთავსება ჩრდილოეთ კედლის შვერილზე). მოხატულობის მთავარი საზრისის ერთიან თეოლოგიური პროგრამაში ძირითად მახვილად წარმოჩენა, სიუჟეტური კომპოზიციების რეგისტრებად დალაგებამ შეუწყო ხელი; სამწირველოს კელდებზე სცენები თანაბარი ზომის შვეული და ჰორიზონტალური რეგისტრებითაა დაყოფილი, სადაც იერარქიული თანმიმდევრობით (კადრირების პრინციპით) მოხატულობის შინაარსიც ერთ მწკრივეზე თვალის გადევნებით იკითხება. ისტორიული თანმიმდევრობით გამოსახულ ქრისტოლოგიურ სცენებს შორის,

[58] მაგალითისთვის შეგიძლიათ იხ: საქტიტორო სქემების შემცველი სერბული, ბულგარული მოხატულობები და სხვ.
[59] ზემო კრიხი, ბეთანია, ვარძია, ყინცვისი, მხერი, გელათი და სხვ.

მოხატულობის ძირითადი თეოლოგიური მახვილები (საკურთხეველში გამოსაული `ხარება~, ჩრდილოეთ კედელზე გამოსხული ქტიტორი, `ჯვარცმა~, დასავლეთ კედელზე გამოსახული `ბზობის~ სცენის ნაწილი – `იერუსალიმი~) მხატვრული (ამ შემთხვევეაში არქიტექტურული) ხერხის გამოყენებით, გამორჩეული მნიშვნელობით ჩნდება. ეს მით უფრო მძაფრად შესაგრძნობია, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მოხატულობაში არაა გამოსახული ცალკეულ წმინდანთა ფიგურები და შესამამისად, სეგმენტებად ნაკლებად დანაწევრებულია მოხატულობის პროგრამაც. მომხატველისთვის ესეც ერთგვარ ხერხად იქცა მოხატულობის შინაარსის გადანაწილებითვის თუ გაძლიერების მიზნისთვის. რეალურად, პრაქტიკული ასპექტით, ხუჯაბის სამწირველოს კედლებზე ყველა დიდ ადგილს სცენები ამკობს, რომელთა შორის განსხვავებული არქიტექტურული ელემენტები – ჩრდილოეთ კედლის შვერილი (ქტიტორისთვის), სარკმლები (აღმოსავლეთი – `ხარების~ სცენისა და დასავლეთი – ორნამენტისთვის), ტიმპანი და თაღის პერები (ორნამენტებისთვის) ცალკეული დეტალებისთვისაა გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ მოხატულობის საერთო სისტემაში ოსტატი არქიტექტურულ დანაწევრებას ითვალისწინებს და რეგისტრის ჰორიზონტალები დარვეული არაა ((რაც თამარის ხანის ძეგლებს და მის შემდგომ ახასიათებთ (ლორთქიფანიძე, 1982, გვ. 72-73)), `პროფესიული~ თავისუფელბა სხვა მხრივ გამოავლინდა. ეპოქისეული ახალი ნიშნები მომხატველმა კედლებზე სცენათა სხვაგვარად გადანაწილბაში გამოამჟღავნა; `ბზობის~ სცენის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ სამხრეთ კედელზე დაწყებული სიუჟეტი დასავლეთ კედელზე ორ სეგმენტად წარმოადგინა და თხრობითი ელემენტი ბევრად გააძლიერა. ამასთანავე, განსაკუთრებით `ბზობის~ სცენის მესამე სეგმენტი – `იერუსალიმი~, რომელიც დასავლეთ კარის ჩრდილოეთ მონაკვეთზეა წარმოდგენილი, სრულიად `ავტონომიურ~ სცენის ფუნქციასაც ითავსებს. ვინაიდან, იერუსალიმის პერსონიფიკაციის (რომელიც ტრადიციულად ქალის ფიგურის სახითაა ნაჩვენები) ჟესტითი მიმართება ორიენტირებულია არა სამხრეთისკენ, საიდანაც კვიცზე მჯდომარე მომავალი ქრისტეს გამოსახულება უნდა არსებულიყო, არამედ საპირისპიროდ, ჩრდილოეთ კედლისკენაა მიპყრობილი. აღნიშნული მხატვრული ხერხი, როგორც შინაარსობრივი `უწყევტობის~ გარანტად

გამოყენებული, სამწირველოს სივრცეში მოხატულობის ერთიანი სისტემის ერთმთლიანობას განაპირობებს.

ხუჯაბის მოხატულობის სტილური მოდელირება თუ ფერადოვანი გამა, მისი დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, აღარ აღიქმება. თავდაპირველად, მონუმენტური ხასიათით წარმოდგენილ სიუჟეტურ კომპოზიციებში მცირედ იქნებოდა არქიტექტურული ელემენტები გამოყენებული, ისევე როგორც ნაკლებად იქნებოდა ჩართული პერსონაჟთა რიცხვი კომპოზიციებში (ბზობის სცენა, შობა). ასევე, ჰარმონიული მთლიანობის შენარჩუნებისვის, ნაკლებ მაორგანიზებელი ფუნქცია მიანიჭეს ორნამეტულ მოტივებსაც; ის ისე მცირე რაოდენობითაა გამოყენებული დეკორში, რომ მოხატულობის სისტემაში კედლის `სამკაულად~ აღიქმება მხოლოდ (ცხადია, დღეს ეს ნაკლებად იგრძნობა). ჯვარცმული მაცხოვრის ფრაგმენტულად შემოჩენილი გამოსახულებიდან კარგად ჩანს, რომ მოხატულობაში არსებული ფიგურები პროპორციული და პლასტიკური ფორმებით ხასიათდებოდა. მათი სილუეტები შინაგანი ემოციით აღბეჭდილი დახვეწილი ჟესტებით გამოირჩეოდა.

ხუჯაბის მოხატულობის მაღალმხატვრულ ხასიათში დამკვეთის სოციალური წარმომავლობაა გამჟღავნებული; საქართველოში მრავლად არსებული, სამეფო კარის მიერ დაფინანსებული მოხატულობებისადმი აშკარა მსგავსება ხუჯაბის ფრესკებს მაღალი წრის ტადიციასთან აახლოვებს. ამავე ტრადიციის შედეგით უნდა განპირობებულიყო მცირე სამწირველოში სახვითი ენის თვალსაზრისით, მაღალი რანგით (ამასთანავე სამეფო ნიშნებით)[60] შესრულებული ისტორიული პორტრეტის გამოსახვაც.

ტაძრის სივრცეში მოწყობილ მცირე სამლოცველოთა უმთავრესი ფუნქციის განსაზღვრისას და მათ მოხატულობების შინაარსზე დაკვირვებისას, საგულისხმო ჩანს რუის-ურბნისის კრების (1105 წ.) ძეგლისწერის ლიტურგიკულ-ტიპიკალური ხასიათის XIV კანონი, სადაც ერთ-ერთ მითითებაში იკრძალება კათედრალური ეკლესია-მონასტრების დიდ საკურთხევლებში ერთი პირის სულის მოსახსენებელი ჟამისწირვის ჩატარება. განჩინების მიხედვით დადგინდა, რომ ჟამისწირვა ერთი

[60] აქ იგულისხმება ისტორიული პორტრეტის სამეფო ინსიგნიებით გამოსახვა.

პირისათვის შეიძლებოდა ჩატარებულიყო მხოლოდ ეკლესიის სტოაში ან ეგვტერში (გაბიძაშვილი, 1978, გვ. 135-136). მართალია, აღნიშნული დადგენილების გამოტანა იმ დროისთვის გარკვეული სოციალური საფუძვლებით იყო განპირობებული,[61] მაგრამ ეს მოვლენა, როგორც ხუჯაბის ეკლესიის მაგალითიდან ჩანს, მცირე სამწირველოთა მოხატულობების პროგრამებში უნდა ასახულიყო. გარკვეული ტაძრების მაგალითებიდან ჩანს (ბოლნისის სიონი, წრომი, საბერეები, ოშკი, სვეტიცხოველი და ა.შ.), რომ საეკლესიო მსახურებაში ეს წეს-განგება ადრევე უნდა არსებულიყო, მაგრამ XII საუკუნიდან, რუის-ურბნისის ძეგლისწერის მიღების შემდეგ, ამ პრაქტიკამ, როგორც ჩანს, საყოველთაო სახე მიიღო. ნიშნეულია, რომ ტაძრის ძირითადი სივრცის ირგვლივ ეკვდერთა მოწყობა[62] და ამ სადგომთა ფერწერით შემკობა და, მათ შორის, ბერების ქვაბების მორთვაც, აქტიურად სწორედ XII-XIII საუკუნეებიდან იწყება (მიქელაძე, 1999, გვ. 28-35; ბულია, 2009, გვ. 57-69; ბულია, 2010, გვ. 89-102) და გვიან შუა საუკუნეებამდე გრძელდება (Шервашидзе, 1980, сс. 172-190) (სურ. 56, 57, 58, 59).

ხუჯაბის სამწირველოს მოხატულობა, როგორც ცნობილია, საგანგებოდ შესაწავლილი არ ყოფილა. მის შესახებ ძირითადად არადოკუმენტირებული (არაზუსტი) აღწერითი ხასიათის ცნობებია შემონახული; ძეგლის ფერწერის თარიღთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ცალსახად XIII საუკუნის მეორე ნახევარია ნავარაუდევი (აბაშიძე, 2009, გვ. 79; გუჯაბიძე, 1989, გვ. 21; Andguladze, Devdariani, pp 1-7).[63]

ხუჯაბის მონასტრის მთავარი ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, როგორც არქიტექტურის შესახებ თავში ზემოთ აღვნიშნეთ, მშენებლობის ხასიათით და მხატვრული გაფორმების თავისებურებებით, ე.წ. `ბეთანია-ქვათახევის~ ჯგუფში ერთიანდება და არაერთ მკვლევართაგან XII-XIII საუკუნეების მიჯნის

---

[61] ვინაიდან დიდ საკურთხეველში ერთი სულის მოსახსენებლად დაყენებული წირვა პრესტიჟად ითვლებოდა, ამის გამო იყო მღვდელმსახურთა მოქრთამვის ფაქტები. დაწვრილებით იხ: (გაბიძაშვილი, 1978, გვ. 136).

[62] ამ გარემოებით უნდა აიხსნას კათედრალური ეკლესიებისა და მონასტრების ირგვლივ აგებული პატარა დარბაზული ტაძრების სიმრავლე და სამრეკლოებში მსახურებითვის განკუთვნილი სივრცეების მოწყობაც. ასევე შემთხვევითი არ უნდა იყოს, სამწირველოთა მოხატულობების უმრავლესობაში ისტორიულ პირთა პორტრეტების არსებობასაც (რასაც სწორედ ამ მხრივ ეძებნება ახსნა).

[63] ერთ-ერთ სტატიაში ფრესკის ორი გრაფიკული სქემაცაა წარმოდგენილი (გუჯაბიძე, 1989, გვ. 22).

ხუროთმოძღვრულ ძეგლადაა მიჩნეული (ბერძენიშვილი, 1988, გვ. 5-9; აბაშიძე, 2009, გვ. 70-83; აბაშიძე, 2010, გვ. 103-114)[64]. ხოლო საკურთხევლის სამხრეთით სადიაკვნის ამოშენება და მისი სამლოცველოდ გადაკეთება XIII საუკუნის პირველ მეოთხედში ივარაუდება (აბაშიძე, 2009, გვ. 78-79). შესაბამისად, ფერწერის ქრონოლოგიური ჩარჩო XII და XIII საუკუნეების შორის შუალედში მოიაზრება.

ხუჯაბის ეკლესიის სამლოცველოს მხატვრობა, ფერწერის ძლიერ დაზიანების გამო, სტილისტური (იგულისხმება ფერწერის მოდელირება) მახასიათებლებით ვერ თარიღდება. ამასთანავე, გამორჩეული თეოლოგიური პროგრამით და ზემოთ განხილული მთელი რიგი თავისებურებებით, იგი ქართული მონუმენტური ფერწერის საინტერესო ნიმუშად აშკარავდება და XII-XIII საუკუნეების მიჯნის მოხატულობებს უკავშირდება.

ამას ემატება ცალკეული მახასიათებელები – ხაზის ხასიათი, წარწერების პალეოგრაფია, ქტიტორის პორტრეტის სქემის სტრუქტურა და ა.შ. რომელთა ერთობლიობითაც ხუჯაბის ეკლესიის ფრესკების შესრულების პერიოდი, სადიაკვნეს ეკვდერად გადაკეთებისთანავე – XIII საუკუნის პირველი მეოთხედით შეიძლება განისაზღვროს. ისტორიულ კონტექსტში, შექმნის დროიდან გამომდინარე მამაკაცის პორტრეტის ვინაობის გარკვევა, ლაშა-გიორგის პიროვნებასთან გაიგივებით ხერხდება და მისი გამოსახულების შესრულება, ერთპიროვნული მართველობის (1213-1223 წწ.) ბოლო წლებში ჩანს საგულვებელი. ხუჯაბის ეკლესიის მოხატულობაში მისი პორტრეტის არსებობის ვარაუდის საფუძველი, ბერთუბნის ტაძრის ლაშა-გიორგის პორტრეტთან აშკარა მსგავსებამაც განაპირობა (სახის ტიპი,[65] სამეფო სამოსი, გვირგვინი[66]); მიუხედავად იმისა, რომ ორივე პორტრეტი ძლიერ

---

[64] სრული ბიბლიოგრაფიისთვის იხ: (ხარაძე, 2012).

[65] ოდნავ ჟღალი ფართე წვერითა და სახის დიდი ოვალით, რომელზეც კარგად გაირჩევა რკალისებურად მოხაზული წარბებისა და თვალის კონტურები.

[66] სამწუხაროდ, გვირგვინის ფორმაზე ვერ ვიმსჯელებთ, ვინაიდან დღეს უკვე მკრთალად ჩანს მისი მონახაზები. რადგანაც პორტრეტი გამოსახული იყო გვირგვინით ((ისტორიული პირი გვრიგვინითაა წარმოდგენილი ადრეულ გრაფიკულ სქემაზეც, იხ: (გუჯაბიძე, 1989, გვ. 22), პენდილიების კვალი ახლაც გაირჩევა)), აქ არ უნდა იგულისხმებოდეს შუა საუკუნეების ამ მხარის მმართველების (გაგელების, მხარგრძელების) გამოსახულებები. აღმსარებლობით დიოფიზიტი მხარგრძელების ისტორიული პორტრეტები დაცულია ქობაირის, ანისის წმ. გრიგოლ პართეველისა და თეჟარიუქის ეკლესიებში. თითოეულ მათგანში მათი უფლება-გავლენების თუ მდგომარეობის შესაბამისად, შუა საუკუნეების ეტიკეტის თანახმად, გვრიგვინისა და შარავანდის გარეშე არიან წარმოდგენილნი (იხ: სხირტლაძე, 2019, იბეჭდება). საქმე ისაა, რომ საერო პორტრეტის გამოსახვისას, განსაკუთრებით შუა

დაზიანებულია, გამოსახული ფიგურების იკონოგრაფიული მსგავსება ზოგადი სქემით, როგორც სახის (ჟღალი თმა-წვერი), ასევე სამოსის (სამეფო ინსიგნიებიანი კაბა) მიხედვით, მაინც თვალსაჩინოა[67] (სურ. 60, 61). გამოთქმული ვარაუდის სასარგებლოდ, ამ რეგიონის ისტორიულ-კულტურული რეალობაც – ქვემო ქართლში ლაშა-გიორგის აღმშნებლობით მოღვაწეობასთან და მის სახელთან დაკავშირებული ძეგლების (მიქელაძე, 2005, გვ. 254-255) სიმრავლეც ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს.[68]

ეკვდერის მოკრძალებულ სივრცეში მეფის პორტრეტის გამოსახვა, თითქოს უნდა ეწინააღმდეგებდოს სამეფო პორტრეტის გამოსახვის ტრადიციას საქართველში,[69] მაგრამ ქართულ სინამდვილეში ხუჯაბის მხატვრობა ამ მხრივ გამონაკლისი არ გახლავთ; ეგვტერში მეფეთა პორტრეტების განთავსებას შუა საუკუნეების საქართველოში არაერთ მაგალითს გაედევნება თვალი და როგორც ჩანს, მათ მეფეთა სულის მოსახსენიებელი სამწირველოების ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული მაგ: გელათის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერი თამარისა და დავით ნარინის პორტრეტები (სხირტლაძე, 2012, გვ. 223-255). გარეჯის ხარების ეკლესიაში დემეტრე მეორეს (თავდადებული) პორტრეტი (ბულია, 1993; ბულია, 1990, გვ. 2-7), ვარძიის ანანაურის ეგვტერში ლაშა-გიორგის პორტრეტი (კლდიაშვილი, 1994, 3-25) (სურ. 56, 58, 59).

ისტორიულ ქვემო ქართლში მდებარე, 1921 წლიდან ქვეყნის საზღვრებიდან რამდენიმე ათეული მეტრის მიღმა დარჩენილი ხუჯაბის მონასტერი და მისი სადიაკვნეს მოხატულობა რთული პოლიტიკური და კულტურული ვითარების

საუკუნეების ქრისტიანულ (ბიზანტიურ თუ ქართულ) ხელოვნებაში, ნებისმიერი ინსიგნიისა თუ პატივის აღმნიშვნელ ფორმას თავისი მნიშვნელობა გააჩნდა, იქნებოდა ეს სამეფო თუ უმაღლეს ოფიციალურ პირთა (სამხედრო, სასულიერო) გამოსახულებებში. იხ: (Parani, 2003, pp. 11-141; ჩოფიკაშვილი, 1964, გვ. 5-8).

[67] ხუჯაბის ქტიტორის მოსასხამის ნაწილზე გაირჩევა მოსამზადებელ ნახატზევე შესრულებული სამოსის ორნამენტული მოტივისა და მარგალიტების კვალი, რაც შესაძლოა გულისხმობდეს მსგავს მხატვრულ მიდგომას _ დაუფერავი ფონის გამოყენებას სამოსის ტონად, როგორც ბერთუბნის საქტიტორო სამოსზე გვხვდება.

[68] წუღრუღაშენი, განძანი, ბარალეთი, დმანისი და სხვ. იხ: (ოთხმეზური, 1981, გვ. 72, 74, 105, 109, 111; მიქელაძე, 2005, გვ. 254-255). იხ: დანართი: ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული მოხატული ეკლესიების ანოტირებული ნუსხა.

[69] საქართველოში მეფეთა პორტრეტები, ხშირ შემთხვევაში, სამეფო კარის მფარველობის ქვეშ მყოფი, მთავარ ეკლესია-მონასტრებში გამოისახებოდა ხოლმე (Алибегашвили, 1979).

ფონზე იქმნებოდა. თავისი ეპოქისეული და რეგიონალური ნიშნით [70], ხუჯაბის ეკლესიის მხატვრობა ისტორიული ქვემო ქართლის თანადროულ მოხატულობათა ჯგუფში ერთიანდება[71]. შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის ისტორიაში მისი ადგილი სამეფო მოხატულობათა რიგში თავსდება და მისი მნიშვნელოვანება, მხატვრულ-იკონოგრაფიულ ღირებულებებთან ერთად, ჩემი აზრით, მეფე გიორგი IV-ლაშას პერსონალური პორტრეტის არსებობითაც განისაზღვრება.

[70] აქვე უნდა ითქვას ქვემო ქართლის მოხატულობების სახასიათო ნიშნის შესახებ ისტორიულ პორტრეტებთან მიმართებით; საეკლესიო ხელოვნებაში არსებული ფრესკული პორტრეტები, ეპოქებით მოტანილი ცვლილებების მიუხედავად, სახვითი ენის თვალსაზრისით, ერთდაგვარად პირობითობის ფარგლებში სრულდებოდა. თუმცა, XII-XIII საუკუნეების საქტიტორო გამოსახულებები, ყველაზე პორტრეტული ნიშნებით გამოირჩევა. ამათგან ჰუჯაბისა და ქობაირის საქტიტორო პორტრეტები (იხ: სხირტლაძე, 1981, გვ. 31-33;) გამომსახველობის მხრივ, მართალია, კვლავ პირობითობის ფარგლებში რჩება, მაგრამ ნამდვილობისკენ სწრაფვის ნიშნები ყველაზე მეტად სწორედ მათში ვლინდება. შესაბამისად, საქტიტორო პორტრეტის ისტორიაში სახვითი ენის თვალსაზრისით ისინი გამოირჩევიან, რაც ქვემო ქართლის მოხატულობათა პორტრეტებში ასახულ ადგილობრივ ნიშნადაც კი შეიძლება დასახელდეს.

[71] დმანისის სიონი (მიქელაძე, 2005, გვ. 239-260), სათხე (დანართი, # 19), ახტალა (Ерископ Кирион, 2005, сс. 44-63; ბულია, ჯანჯალია, 2017, გვ. 124-158), ქობაირი (სხირტლაძე, 1983, გვ. 175-198); კირანცი (ბულია, ჯანჯალია, 2017, გვ. 160-202), თევდორეწმინდა, კაზრეთი და ა.შ. იხ: დანართი, # 12, 14, 16; ქვემო ქართლის მოხატულობათა საკითხისათვის იხ: მიქელაძე, 2005, გვ. 239-260;

ხუჯაბის ფრესკული წარწერები[72]

ხუჯაბის ტაძარს არაერთი ქართული წარწერა ჰქონია, მაგრამ მათი კვალი, სამწუხაროდ, უკვალოდ გაქრა (ხარაძე, 2012, გვ. 30). ექვთიმე თაყაიშვილს ხუჯაბის მონასტრის მონახულების დროს, ეკლესიის სამხრეთი კარის თავზე არსებული ლაპიდარული წარწერა უკვე ჩამომტვრეული დახვედრია (ხარაძე, 2012, გვ. 30). დღეს ეკლესიას არც ერთი წარწერა აღარ აქვს, გარდა ფრესკული წარწერებისა.

ხუჯაბის მოხატულობაში ფრესკული წარწერები ძალიან მცირე რაოდენობით შემოგვრჩა,[73] მაგრამ მათი არსებობა მონასტირს კუთვნილების შესწავლის ისტორიისთვის ძალიან დიდია.[74]

მონასტრის მთავარი ტაძრის ეგვტერად გადაკეთებული სადიაკვნე, როგორც არაერთხელ აღინიშნა, სრულად მოხატულია; სამწირველოში წარმოდგენილ საუფლო დღესასწაულებს, სახელდების აღმნიშვნელი ქართული ასომთავრული წარწრები ჰქონია. ქართული ასომთავრული და ბერძნული მთავრული წარწერები შესრულებული ყოფილა შავი ფერით. მათგან დღეს მხოლოდ ორ სცენას შემორჩა საიდენტიფიკაციო წარწერები.

ჯვარცმის სცენა

---

[72] მთავრი ტექსტიდან ხუჯაბის ფრესკული წარწერების გამოტანა ცალკე ქვე-თავის სახით, განპირობდა მათი სიმცირს გამო, რათა მოხატულობის შესწავლის პროცესში უკეთ წარმოგვეჩინა ქართული წარწერების მნიშვნელოვანებაც.

[73] ქართული წარწერები აქვს საკურთხევლის მეორე რიგში წარმოდგენილ მღვდელმთავართა ფიგურებს, თავის გასწვრივ. სამწუხაროდ, ფოტოებიდან მათი ამოკითხვა დაბალი რეზოლუციის გამო ვერ მოხერხდა. წარწერების დაცულობა მიანიშნებს იმაზე, რომ მათი ამოკითხვა შესაძლებელია, რაც სამომავლოდ უნდა განხორციელდეს.

[74] უნდა აღინიშნოს, რომ ხუჯაბის მონასტრის ტერიტორიაზე დასტურდება გვიანი ხანის სომხური საფლავის ქვა, რომლის გაჩენას აღნიშნულ მონასტერში ლ. მუსხელიშვილი XV-XVI საუკუეებსში სომეთა მიგრაციის პერიოდს უკავშირებს (მუსხელიშვილი, 1941, გვ. 83).

1. ბერძნული ასომთავრული, ერთი სტრიქონი; შესრულებულია ჩრდილოეთი კედლის ქვედა რეგისტრში, დასავლეთ მონაკვეთზე განთავსებულ ჯვარცმის სცენაში გამოსახული ღმრთისმშობლის თავს ზემოთ, შავი ფერის საღებავით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს (სურ. 62).

💣~☼ ✈~✞

💣☎♒♦♒◑□ ✈☎♏□◑◆ - დედა ღმრთისა

გამოცემა: წარწერა გამოცემული არ ყოფილა.

2. ქართული ასომთავრული, ერთი სტრიქონი; შავი ფერით შესრულებული წარწერა გამოსახულია ჯვარცმული ქრისტეს თავს ზემოთ, მარცხენა ჯვრის მკლავის გასწვრის ზედა მონაკევთზე. წარწერა იქნებოდა მახცოვრის მარჯვნივ, ჯვრის მკლავს ზემოთაც (სურ. 62).

j[- -]rc[- -] || [- - -]

ჯ[ვარ]ც[მა || [ქ(რისტე)სი]

გამოცემა: წარწერა გამოცემული არ ყოფილა.

იერუსალიმად შესვლის სცენა

2. ქართული ასომთავრული, ორი სტრიქონი; შავი ფერით შესრულებული წარწერა განთავსებულია დასავლეთი კედლის სამხრეთ მონაკვეთზე, ქვედა რეგისტრში გამოსახული ბზობის სცენაში, წარმოდგენილი ებრაელთა გუნდის თავს ზემოთ. ო და უ გრაფემას, როგორც ჩანს, კალიგრაფი ფეხის მიმართულებით განასხვავებდა. გრაფემის ზემოთკენ მოკაუჭებული ფეხი როგორც უ ისე უნდა ამოვიკითხოთ (სურ. 63).

huriaTa kre

buli

ჰურიათა კრე || ბული[75]

3. ქართული ასომთავრული, ერთი სტრიქონი; შავი ფერით შესრულებული წარწერა განთავსებულია დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, ქვედა რეგისტრში გამოსახული ბზობის სცენაში, წარმოდგენილი იერუსალიმის არქიტექტურის ფონზე (სურ. 64).

i erusalimi :

იერუსალიმი

გამოცემა: წარწერა გამოცემული არ ყოფილა.

დასავლეთ კედლის თაღი

4. ქართული ასომთავრული, ერთი სტრიქონი; შავი ფერით შესრულებული ვრცელი წარწერა განთავსებული იყო დასავლეთი კედლის კამარის თაღის შიდა პირის მთელს გაყოლებაზე. წარწერის ფრაგმენტი იკითხება მხოლოდ თაღის სამხრეთ მონაკვეთზე. წარწერის ცუდი დაცულობის გამო ვერ დგინდება, წარწერა ისტორიული ხასიათის იყო თუ საღვთისმეტყველი შინაარსის შემცველი ტექსტი (სურ. 65).

[. . . .]na[. . . .]Td[. . .]

[. .]na [. .]Td[..][76]

გამოცემა: (ხარაძე, 2012, გვ. 38.

[75] ჰურიათაკრებოლი (ხარაძე, 38)

[76] შნ _ შ(ეიწყალე)ნ (ხარაძე, 38).

III თავი

მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

საისტორიო ლიტერატურაში ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიად მიიჩნევა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო მხარე, რომელიც რამოდენიმე იტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს აერთიანდებდა (ლორე-ტაშირის,[77] ბოლნის-დმანისის, მარნეული-გარდაბანი, თეთრიწყაროსა და წალკის რაიონები). დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მდგომარეობით ქვემო ქართლის საზღვრისპირა სამხრეთ მონაკვეთს აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების ჩრდილოეთ საზღვრები ემიჯნება (სურ. 66).

ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიებზე[78] თავისი გეოგრფიული ადგიმლდებარეობის გამო მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი მნიშვენლოვანი ისოტრიული გზებიც გადიოდა. ისტორიის მანძილზე პერიოდულად სტრატეგიულ მდებარეობას უნდა განეპირობებინა ამ მხარის გაძლიერება-დაწინაურება თუ დამპყრობელთა დაინტერესებაც. შესაბამისად, მეზობელ ქრისტიანულ და მუსლიმურ ქვეყნებთან სიახლოვის გამო, საქართველოს ეს რეგიონი, ჩვენი ქვეყნის შიდა მხარეებისგან განსხვავებით, უფრო ხშირად განიცდიდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ ეთნიკურ ცვლილებებს (ბერძენიშვილი, 1979; ნარიმანაშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე, 2018, გვ. 40-84).

ისტორიული გეოგრაფიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მნიშვნელოვანწილად, ამას უნდა განესაზღვრა ქვემო ქართლის საბოლოო ისტორიული ხვედრიც (ბერძენიშვილი, 1979).

საქართველოს ძლიერი სამეფო ხელისუფლების მართველობის ხანაში, ისტორიული ქვემო ქართლის ყველა რეგიონი ყოვლეთვის სამეფო კონტროლს ექვემდებარებოდა და აქ არსებულ კულტურ მემკვიდრეობაზე ზრუნვა-პატრონობა მუდამ სამეფო

---

[77] ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ნიშნის ტერმინი `ტაშირის~ ერთეულის შეცვლასა და ამ მხარის დამახასიათებელ ახალი სახელის _ `სომხითი~-ს, როგორც ეთნიკურ-გეოგრაფიული ნიშნით აღნიშვნასთან დაკავშირებით ვრცალ იხ: (ბერძენიშვილი, 1968, გვ. 94-108).

[78] იგულისხმება ძირითადი ხეობები მათი შენაკადებით: მაშავერას (ისტორიული გუგარქი), შულავრის, ხოჟორნის, ხრამის, დებედასა, ფოლადაურისა და ალგეთის ხეობები.

ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა; ამას მოწმობს ამ ხეობებში მრავლად შემორჩენილი ქართული ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და ისტორიული წარწერების სიმრავლეც (მუსხელიშვილი, 1941; ბერძენიშვილი, 1979; ოთხმეზური, 1981).

აღნიშნულ რეგიონში ქართული მონუმენტური ძეგლები ადრე ქრისტიანულ ხანაში V-VI საუკუნეებშივე ჩნდება (მუსხელიშვილი, 1941, გვ. 82). VII-IX საუკუნეებში ქართული აღმშენებლოს კვალი კვლავ წყდება, რასაც არაბთა ხანგრძივ მფლობელობას უკავშირებენ.[79] X-XI საუკუნეებშიც ქართული ძეგლების სიმთვალით არ გამოირჩევა, მაგრამ მათი კვალი ამ რეგიონში დადასტურებულია (მუსხელიშვილი, 1941, გვ. 82). ცნობილია, რომ X საუკუნისა და XI საუკუნის დასაწყისში სომხეთა მმართველნი ციხე-ქალაქ სამშვილდეში ისხდნენ, მაგრამ მათაც ისტორიულ ქვემო ქართლში აღმშენებლობის კვალი არ დაუტოვებიათ (მუსხელიშვილი, 1941, გვ. 82). XII საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XIV საუკუნეების ჩათვლით, არაბთა განდევნის შემდგომ თემურ ლენგის შემოსევამდე ისტორიული ქვემო ქართლის რეგიონში ისევ ქართული აღმშენებლობის პერიოდი დგება; ამ ხანას განეკუთვნება ათეულობით ხუროთმოძღვულ-ისტორიული ძეგლისა (წუღრუღაშენი, დმანისის სიონის კარიბჭე, ბოსლების სამება, კიანეთი, თევდორეწმინდა, ხუჯაბი და სხვ.) თუ წარწერის (ლაპიდარული, საფლავის ქვების და სხვ.) ნაშთები 2-83. მუსხელიშვილი, 1938 გვ. 371-389).

XV-XVI საუკუნეებში ქვემო ქართლის ეთნიკური მოსახლეობა ცვლილებებს განიცდის და სწორედ მაშინ იწყება ძლიერი სომხური მოსახლეობის მიგრაციაც[80], რასაც ამ რეგიონში, ქართული აღმშენებლობის კვალდაკვალ (ალექსანდრე I მეფობის დროს) ამავე პერიოდში სომხური ძეგლების გაჩენასაც უკავშირებენ (მუსხელიშვილი, 1941, გვ. 83, მუსხელიშვილი, 1938ა, 328; მუსხელიშვილი, 1938ბ, 319-320; გაგოშიძე, ჩანტლაძე, 2009, გვ. 5-24). უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თუU დადასტურებული ადრე შუა საუკუნეების მატერიალურ-

[79] ლ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ არაბობას, მიუხედავად ამ რეგიონში მათი ხანგრძლივი არსებობისა, კულტურული კვალი არც არაბებს არ დაუტოვებიათ, გარდა დმანისში დადასტურებული მეჩეთისა და აბანოებისა. იხ: (მუსხელიშვილი, 1941, გვ. 82). ამ `კვალსაც~ მეცნიერი დმანისში მათი ამირების ხანგრძლივ მყოფობას უკავშირებს, იხ: იქვე, გვ. 82.

[80] ქვემო ქართლში სომხური მოსახლების შემოსვლასთან დაკავშირებული თითოეული ეტაპი თუ ლიტერატურული პირველწყაროები დაწვრილებით განხილული აქვს გ. გაგოშიძეს წიგნში: (გაგოშიძე, ჩანტლაძე, 2009).

კულტურული ძეგლები სომეხთა ცხოვრების კვალს არ ადასტურებს (გაგოშიძე, ჩანტლაძე, 2009, გვ. 9-14). უფრო მეტიც, შუა საუკუნეების სომხური საისტორიო წყაროები ქვემო ქართლის ერთ-ერთ – გუგარქის ტერიტორიას გეოგრაფიული ტერმინით `ვრაც-დაშტ~-ად (სომხ. ენაზე), რაც თარგმანით ნიშნავს `ქართველთა ველს~, მოიხსენიებენ (მუსხელიშვილი, 1979, გვ. 460-461).

ბოლოდროინდელი კვლევებით მიჩნეულია, რომ უძველესი მონოფიზიტური ეკლესიები ისტორიულ ქვემო ქართლში XI-XIII საუკუნეებით თარიღდება და ისინი მცირე რაოდენობით შემოგვენახა[81] (გაგოშიძე, ჩანტლაძე, 2009, გვ. 24). დღეს-დღეობით დადასტურებულია, რომ სომხური ძეგლების უმრავლესობა XVII-XIX საუკუეებს განეკუთვნება, რომლეთა შორის მნიშვენლოვანი ნაწილი ძველი ქართული ძეგლების გადაკეთების შედეგადაა `გაჩენილი~ და მისაკუთრებული (გაგოშიძე, ჩანტლაძე, 2009, გვ. 9-24). სამწუხაროდ, ამავე პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს ამ მხარეში მრავლად არსებული ეკლესიათა ფრესკებისა თუ ლაპიდარული წარწერების საგანგებოდ, მიზანმიმართულად განადგურება.

როსტომ მეფის ხელისუფლების დროიდან მოყოლებული, XVII-XVIII საუკუნეებში კვლავ ახლდება სამეფო ინტერესები ქვემო ქართლის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ; ამ პერიოდს უკავშირდება არაერთი მნიშველოვანი ძეგლების განახლება-რესტავრაციაც აღნიშნულ რეგიონში (ბოლნისის სიონი, ფიტარეთი და მრავალი სხვ.) (მუსხელიშვილი, 1941, გვ. 83).

ზემოთ ნახსენებ XII-XIV საუკუნეების ქართული აღმშენებლობის ხანაში ექცევა მარნეულის რაიონში მდებარე ხუჯაბის სამონასტრო ხუროთმოძღვული ძეგლის შექმნისა და ფერწერით შემკობის პერიოდიც. აღნიშნული რაიონი ისტორიულ ქვემო ქართლში ბოლნისის ხევად წოდებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში შედიოდა და მონასტერიც იმ ხანად, ფოლადაურის ხეობის ზემო წელზე, მის სათავეებთან მდებარეობდა (ბერძენიშვილი, 1988, გვ. 5). ძეგლის მიდამოებში მრავლად არსებულ ნასოფლარ-ნაეკლესიარებთა შორის, როგორც ჩანს, ადრეული ხანიდანვე ხუჯაბის მონასტერი, ადგილმდებარეობის გამო, ყველაზე მეტად დაწინაურებული იყო; აქ გამავალმა სავაჭრო გზებმა კულტურულ დაწინაურებასაც

[81] ქვემო ქართლში (დმანისი, სამშვილდე) სომხების არსებობას არქეოლოგიური მასალის მიხედვით უფრო ადრეც ვარაუდობენ (კახიანი, ჭანიშვილი, კოპალიანი, მაჩაბელი, ალექსიძე, ღლიღვაშვილი, პატარიძე, 2012, გვ. 86-87).

დიდად შეუწყო ხელი. მონასტრის შორიახლოს, ფოლადაურის გზის აყოლებით მდებარე მგლის კარის უღელტეხილი (ლალვარის მთის მიმდებარედ) ერთადერთ დამაკავშირებელ უმოკლეს გზას წარმოადგენდა ლორე-ტაშირის პროვინციებთან, რომლებიც თავის მხირვ, ასევე უმოკლესად, სომხეთის დედაქალ ანისსთან აკავშირებდა (ბერძენიშვილი, 1988, გვ. 5-6).

სამწუხაროდ, ხუჯაბის მონასტრის სახელი, ვიდრე XVIII საუკუნემდე, ძველ ისტორიულ წყაროებში არ დასტურდება (ბერძენიშვილი, 1988, გვ. 6-7). ასევე უცნობია შუა საუკუნეების შემდგომ როდის შეწყვიტა მონასტერმა არსებობა. ხუჯაბის მონასტრის არსებობის უკანასკნელი ისტორიიდან მხოლოდ ცნობილია, რომ 1905 წელს (ან 1910 წელს)[82] აქ რუსი მონაზვნები იწყებენ დამკვიდრებას, რომლებიც წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტერს[83] აარსებენ და ამავე სახელწოდების მონასტრის სახელით იხსენიებოდა (Пигаревъ, 1913, ц. 54-56; ვარაზაშვილი, 1988, გვ. 9-12). 1935 წელს დედათა მონასტრის ველურად დარბევის შემდგომ[84] მონასტრული ცხოვრება უშუალოდ ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსში აღარ განახლებულა.[85]

1921 წლიდან ეს ტერიტორია სადაო გახდა[86], რომლის შემდგომ საცილო გახდა ხუჯაბის ტაძრის ხუროთმოძღვრების ეროვნულ-კულტურული კუთვნილებაც (აბაშიძე, 2017, გვ. 59).

---

[82] ისტორიოგრაფიაში ორივე თარიღი გვხვდება.

[83] მიჩნეულია, რომ ხუჯაბის მონასტერი დაარსების დღიდანვე წმ. ნინოს სახელობისა უნდა ყოფილიყო (ვარაზაშვილი, 1988, გვ. 12).

[84] რუს მონაზვნებს ეს ტერიტორია აღარ დაუტოვებიათ. დარბევის შემგომ ისინი სოფელში მცირე სენაკში ცხოვრობდნენ (ეს ხის ფარდული დღესაც არსებობს). თითოეული მათგანი სოფელ აღქერფის სასაფლაოზეა დაკრძალული.

[85] 2013 წლიდან აღდგა მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია, რომლის თაოსნობით სოფელ აღქერფში დაარსდა წმ. სერაფიმ საროველის სახელობის მამათა მონასტერი. დღეს ეპარქიის სამხრეთი საზღვარი ემთხვევა აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოების საზღვრებს.

[86] საზღვარი სადაოა და ოფიციალურად დღესაც დაუდგენელია.

დასკვნა

საყოველთაოდ ცნობილია და კვლევებით მრავალმხრივაა დადასტურებულია, რომ ქართველთა განსახლების ისტორიული ტერიტორიები ქვემო ქართლის მონაკვეთში საქართველო-სომხეთის დღევანდელ საზღვარზე გაცილებით სამხრეთით იყო და ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიასაც მოიცავდა[87] (გაგოშიძე, ჩანტლაძე, 2009, გვ. 10). აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქართული პროვინცია – ისტორიული ქვემო ქართლი მუდამ სამეფო ინტერესს წარმოადგენდა, რასაც ამ ტერიტორიაზე არსებული ძეგლების სიმრავლე და მათზე გათავსებული მეფეთა მოსახსენიებელი ლაპიდარული წარწერები მოწმობენ (ოთხმეზური, 1981). მხარის მნიშველოვანებას სავაჭრო-სატრანზიტო გზაგასაყარზე მდებაროებაც ხელს უწყობდა, რის გამოც ისტორიულ სინამდვილეში აღზევება-დაწინაურებასთან ერთად, ისტორიული ქვემო ქართლის არსებობის მანძილზე ხშირად იყო დარბევა-შევიწროების პერიოდებიც. რეგონის განსაკუთრებულობაზე თამარ მეფის ზეობის ხანაში რეგიონისთვის მმართველად დადგინების წესიც მიანიშნებდა. თამარის მემკვიდრეებისთვის უკვე ისოტრიული ქვემო ქართლის დაწინაურებული პროვინციები საუფლისულო მამულებად ითვლებოდა.[88]

ამ რეგიონით პოლიტიკური და ეკლესიური თვალსაზრისით დაინტერესება, განსაკუთრებით ლაშა-გიორგის მეფობის ხანაში, ცხადლივ გაედევნება თვალი. მოგვიანო ხანაშიც, ვახტანგ მეექვსეს ბრძანებით 1721 წელს შედგენილ სტატისტიკურ აღწერილობაში ჰუჯაბის მიმდებარე სოფლები მოხსენიებულია როგორც სამეფო (სადედოფლო) საკუთრება (გორდაძე, გუჯაბიძე, 1989, გვ. 5). ჰუჯაბის მონასტერზე ზრუნვაც, როგორც ჩანს, პერიოდულად, სამეფო კარი იჩემებდა, რაც სადიაკვნეს

[87] ქართულ-სომხურ ურთიერობების ისტორიის შესწავლას მრავალი მნიშვნელოვანი ნარკვევი მიეძღვნა; (აბდალაძე, 1988; აბდალაძე, 2005; აბულაძე, 1944; ალექსიძე, 2011, 2016 და მრავლი სხვ.); მათ შორისაა საქართველოს ეკლესიის ეპარქიებზე ისტორიკოსს გიორგი ჭეიშვილის პუბლიკაცია, სადაც ისტორიული გეოგრაფიის ფონზე მრავალმხრივაა მიმოხილული ქართული სახელმწიფოებრიობის გავლენის არეალი და შუა საუკუნეებში ისტორიულ სომხეთში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ეპარქიების შექმნის რელიგიურ-კონფესიური მნიშვნელოვანება (ჭეიშვილი, 2013, გვ. 246-255).

[88] http://patriarchate.ge/geo/eparqiebi/marneulisa-da-xujabis-eparqia/

მოხატულობაში სამეფო პორტრეტის (ჩვენი იდენტიფიკაციით – ლაშა-გიორგის) გამოსახვით დასტურდება. თავის დროზე მაღალი რანგით შესრულებული ხუჯაბის ეკვდერის მოხატულობა, ეჭვს არ იწვევს, რომ ის საგანგებო დაკვეთით შესრულდა. ეგვტერის მოხატულობის პროგრამული თავისებურებები, იმ პერიოდის რეგიონული თუ საქართველოს საეკლესიო ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ერთიანი მხატვრული გემოვნების გათვალისწინებითაა შესრულებული. ამასთანავე, მოხატულობაში ჩენილი XII-XIII საუკუნეებისთვის დამახაისათებელი მთელი რიგი სახვითი ენის თავისებურებები თუ სიახლეები, ქართული შუა საუკუნეების მოხატულ ეკვდერთა შორის, ხუჯაბის სამწირველოს ფრესკული დეკორი, ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშად გამოიკვეთა.

წარსულში, ისტორიულ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში – XII-XIII საუკუნეების მოხატულ ძეგლთა ერთგვარი სამეფისკარო წრე გამოიკვეთა, სადაც მაღალი რანგის მოხატულობების შექმნის ტენდენციის არსებობას გაედევნება თვალი[89]. ხუჯაბის სადიაკვნეს მოხატულობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ამ წრის მოხატულ ძეგლთა შორის გაერთიანებით განისაზღვრა.

[89] მთავარ ტექსტს ბოლოში დანართად ერთვის ისტორიული ქვემო ქართლის მოხატული ძეგლების ნუსხა, სადაც აღნიშნული ტენდენცია აშკარად გამოკვეთილია.

დანართი

ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული მოხატული ეკლესიების ანოტირებული ნუსხა

წინამდებარე დანართი წარმოადგენს ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული მოხატული ძეგლების შესახებ, შეძლებისდაგვარად სრულ ანოტირებულ ნუსხას. ფრესკული მხატვრობის ნიმუშები, ჩვენს მიერ, წლების მანძილზე არა ერთხელ განხორციელებული ექსპედიციის დროს შეგროვდა.

სამაგისტრო თემის `ხუჯაბის ეკლესიის ფრეკსები~-სთვის წინამდებარე დანართის წარმოდგენა გადაწყდა რამოდენიმე მიზეზით; უპირველეს ყოვლისა, ძეგლთა ანოტირებული ნუსხის თანდართვა განპირობდა ხუჯაბის ეკლესიის მოხატულობის მნიშვნელოვანების წარმოჩენისათვის აღნიშნულ ისოტრიულ მონაკვეთში, როგორც პარალელურ მასალად. ვინაიდან, კვლევის პროცესში შეიქმნა აუცილებლობა, პირველ რიგში, ჰუჯაბის ეკვდერის მოხატულობა წარმოჩენილიყო ისტორიული ქვემო ქართლის ფრესკული მემკვიდრეობის კულტურულ კონტექსტში.

მეორე მხრივ, ნუსხაში წარმოდგენილი ძეგლების ნაწილი შესწავლილი არ გახლავთ. ზოგიერთი მათგანი სამეცნიერო-სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში ცნობილიც არაა.[90] ამ რეგიონის კულტურულ-ისტორიული ფონის წარმოსაჩენად (ვინაიდან ეს მოხატულობები მთავარ ტექსტში პარალელურ მასალად და ზოგჯერ არგუმენტადაა მოყვანილი), მეტი სისრულისათვის ძეგლთა ნუსხაში წარმოვადგინე ის ძეგლებიც, სადაც მოხატულობის კვალი ოდნავ მაინც შერჩენილი იყო.

ქვემო ქართლში ადრეული შუა საუკუნეების ფრესკული მხატვრობის ნიმუშები შემორჩენილი არა. ჩვენამდე მოღწეული უადრესი მოხატულობის ნიმუში მხოლოდ

[90] დანართში წარმოდგენილი შეუსწავლელი ძეგლების მოხატულობათა თარიღები და მათი შექმნის საავრაუდო ქრონოლოგიური მონაკვეთები, მხოლოდ ჩემს მიერ პირველადი დაკვირვებების შედეგად, მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებითაა განსაზღვრული. შესაბამისად, ნუსხის ნუმერაცია და სია, თარიღთა მცდარობის დაშვების გათვალისწინებით, დალაგდა მხოლოდ ანბანური თანმიმდევრობით.

XI საუკუნისაა (მანგლისი). ამ დროიდან მოყოლებული შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ამ რეგიონში არსებულ ფრესკულ მემკვიდრეობას. ჩვენს მიერ ერთიანი სახით შეგროვებული მასალა საინტერესო მხატვრობის ჯგუფს წარმოდაგენს და ერთიანი სურათის უკეთ აღქმის საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში ამ რეგიონში მრავალი მხატვრობის ძეგლი დაზიანდა (ზოგიც უკვალოდ გაქრა), დარჩენილი ნიმუშები უთუოდ წარმოადგენს XII-XIII საუკუნეების ქართული მხატვრობის მაღალი რანგის ნიმუშებს (დმანისი, პირღებული, ლიპარიტისუბანი, ხუჯაბი, კირანცი), სადაც აშკარად ჩანს, ერთგვარი დამოუკიდებლობაც, და ამავე დროს, თვალნათლივ იკვეთება საქართველოს ამ პერიოდის (თამარის ხანის და მის შემდგომ) მონუმენტური მხატვრობისთვის დამახასიათებელი საზოგადო ტენდენციები თუ სახვითი ენის მაღალმხატვრული ნიშნები.

ნუსხის თავმოყრამ გამოავლინა კიდევ ერთი საინტერესო სურათი ამ რეგიონის მოხატულობათა სახვითი ენის თავისებურებათა შესახებ. საქართველოში ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშებში, თავისი არსებობის მანძილზე დასტურდება ყველა მხატვრული მიმდირარეობის მოხატულობები (იგულისხმება ანიკონური მოხატულობებიდან დაწყებული პოსტბიზანტიური მოხატულობების ჩათვლით, ყველა მხატვრული მიმდინარეობა). შეგროვებული მასალიდან გამოიკვეთა, რომ შუა საუკუნეებში ისტორიული ქვემო ქართლის მოხატულობებში, ძირითადად ე.წ. დედაქალაქური სტილის მიმდინარეობები ჭარბობდა (მანგლისი, დმანისი, ბოსლები, თევდორეწმინდა, ბინაძორი, იმერხევი, ფიტარეთის I ფენა, ახტალა, ქობაირი, კირანცი, ხუჯაბი, ლიპარიტისუბანი, პირღებული). შედარებით მოგიანო ხანაში დაფიქსირდა ე.წ. პროვინციული (ბოლნისის სიონი, ფიტარეთის II ფენა) და ხალხური მოხატულობების (დარბაზის წმ. გიორგის ეკლესია, დარბაზის უცნობი ეკლესია მთაზე) ნიმუშები. გამოიკვეთა ის, რომ ამ რეგიონისთვის უცხო დარჩა საქართველოს სხვა რეგიონებში გვიან შუა საუკუნეებში არსებული სხვა მხატვრული ნაკადები (პალეოლოგოსური და პოსტბიზანტიური მხატვრული მიმდინარეობები) . იკონოგრაფიული კუთხით საკონქო სქემის შესწავლის თვალსაზრისით გამონაკლისის სახით, გამოიკვეთა გვიან შუა საუკუნეებში ჩენილი ერთი თავისებურებაც; ბოლნისისა და დარბაზის უცნობი ეკლესიის კონქებში დაფიქსირდა იესეს ხის კომპოზიციური გამოსახულებები, რომელიც უჩვეულო დარჩა სხვა

ქართული მოხატულობებისთვის. ასევე, `მსხვერპლის თაყვანისცემის~ სპეციფიკური ხასიათის იკონოგრაფიული რედაქცია დასტურდება კაზრეთის, ქობაირისა და ხუჯაბის საკურთხეველთა პროგრამებში (სხირტლაძე, 1981ª, გვ. 85-99). მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ ქვემო ქართლში მრავლად არსებობდა მოხატული ძეგლები, ამ ეტაპისთვის, არანაირი ძირითადი თავისებურეები არ იკვეთება ქვემო ქართლის მხატვრული სკოლის არსებობის წინაპირობად. თითოეული მოხატულობა (ხსენებული ცალკეული გამონაკლისები მცირეა) შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის განვითარების ისტორიულ რიგში თავსდება.

ამ რეგიონში წარმოდგენილი ფრესკული ნიმუშების უმრავლესობა XII-XIII საუკუნეებში შექმნილ მოხატულობებს წარმოადგენს და მცირედ შემონახული მოხატულობები ავსებენ ქართული კედლის მხატვრობის უწყვეტი ტრადიციის სურათს (მეფისაშვილი, 1971, გვ. 17-31). ამ ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში, დროის მცირე მონაკვეთში, რამოდენიმე ათეული მაღალი რანგის მონუმენტური მხატვრობის შექმნა მაჩვენებელია ამ პერიოდის ისტორიული ქვემო ქართლის ეკონომიკური თუ შემოქმედებითი ძლიერებისა.

წინამდებარე ძეგლთა ნუსხას სისრულის პრეტენზია, თავისთავად ცხადია, არ აქვს.[91] ისტორიული ქვემო ქართლის რეგიონში კვლავ მრავლად რჩება უცნობი ძეგლები, რომელთა გამოვლენა-შესწავლა სახელოვნებათმცოდნეო კუთხით სამომავლო საფიქრალია. ჩვენს მიერ მოხატული ძეგლების შეგროვების მიზანიც, სამომავლოდ,

---

[91] მაგ: იყო ძეგლები, რომელთა მოხატულობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ შევძელით. ცნობილია, რომ მოხატული ყოფილა ბოლნისის რაიონში მდებარე სვეტიცხოვლის სახელით ცნობილი ეკლესია. ასევე, ამამლოს მიმდებარედ მდგარი სამლოცველო, სამღერეთის XII-XIII საუკუნეების ეკლესიები (საბერიო, ქვემოახაშენი), ამავე რაიონში მდებარე უბისის სახელით ცნობილი ნაეკლესიარი (ეს უკანასკნელი ძეგლთა ნუსხაში მაინც შევიტანით, ვინაიდან ერთი ფოტოს მოპოვება მაინც მოვახერხეთ). მოხატული ყოფილა დმანისის რაიონში ზურტაკეტის მიდამოებში ლარაძის ნასოფლარზე (იგივე ეგრისი) მდებარე ადრეული ხანის ტაძარი. ასევე ქციის საყდარი (იხ. თაყაიშვილი, ე., თხზულებანი, ტ. 5 (თბილისი, 2018), გვ. 284-285; 301-302. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით მოხატული უნდა ყოფილიყო დღეს სომხეთის ტერიტორიაზე არსებული, აღსრაფის ხეობაში (ისტორიული ლორეს პროვინცია) მდებარე ოსკიპარის ტაძარი (მას ჰქონია ქართული ფრესკული წარწერები): ჰტტპს://კა.წიკიპედია.ორგ/წიკი/%E1%83%A5%E1.
ნუსხაში არ მოხვდა საკუთრივ სომხური მონოფიზიტური ძეგლების ქართულწარწერიანი მოხატულობები _ სანაჰინი და აღპატი, რომლებიც ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე ქართული კულტურის გავლენას (სავარაუდოდ, ქართველები ხატავდნენ) განიცდიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოხატულობები (ფრესკული წარწერების უმრავლესობა ქართულია) შესრულებულია XII-XIII საუკუნეებში და მხოლოდ ქართული კედლის მხატვრობის განვითარების ხაზში თავსდებიან, აღნიშნული მონასტრები არსებობის მანძილზე მუდამ სომხური ეკლესიის კონფესიურ ინტერესებს იცავდნენ და მძლავრ მონოფიზიტურ კერებს წარმოადგენდნენ.

ამ რეგიონის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელოვანების წარმოჩენისთვის, მათი საფუძვლიანი შესწავლის პერსპექტივაცაა.

((თითოეული ძეგლის შესახებ ყველა დანართს ტექსტის ბოლოში დართულ გამოცემებში მითითებული აქვს სახელოვნებათმცოდეო თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ძირითადი ბიბლიოგრაფია)).

დანართი # 1.

არაქელოცვანქის (მოციქულთა) ეკლესია

(ტავუშის რაიონი)

(სურ: 63).

არაქელოცის სამონასტრო კომპლექსი ისტორიული გაგის – ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, დღეს ტავუშის პროვინციაში მდებარეობს. ის რაოდენიმე კილომეტრითაა მოცილებული ამ რაიონის ცნობილი ძეგლიდან – კირანცის ეკლესიისაგან. მონასტერის გუმბათიანი ტაძარი XIII საუკუნითაა დათარიღებული, რომლისთვისაც მოგვაინებით დასავლეთით გავიტი მიუშენებიათ.

ეკლესია სრულადაა მოხატული. ბათქაზე გაირჩევა წმინდანთა შარავანდები და ცალკეული დეტალები. განსაკუთრებით უკეთ ჩანს სამხრეთ კედელზე გამოსახული ფეხზე მგონი მხედრების გამოსახულებები. მოხატულობა დაზიანებული და მოსამზადებელ დონეზეა შემონახული. მოხატულობა შესწავლილი არ ყოფილა. მისი შესრულების სავარაუდო პერიოდი ტაძრის აშენების თარიღით XIII საუკუნით უნდა განისაზღვროს.

ბიბლიოგრაფია: (Дурново, 1979, ц. 154).

დანართი #2.

აღქერფის სასაფლაოს წმ. გიორგის ეკლესია

(მარნეულის რაიონი)

(სურ: 64).

ეკლესია მდებარეობს სოფლის შუაგულში, შემაღლებულ ბორცვზე, ძველ სასაფლაოზე. ცალეკვდერიანი დარბაზული ეკლესია სხვადასახვა ზომის რიყის ქვით XV-XVI საუკუნეშია ნაგები. აღმოსავლეთ-დასაველთ ღერძზე დაგრძელებულ დარბაზულ ეკლესიას ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს აფსიდიანი მცირე ეკვდერი და კარიბჭე.Eეკლესიისა და ეკვდრის შიდა კედლები შელესილი და მოხატული ყოფილა; მოხატულობის უმნიშვენლო კვალი შემორჩენილი ყოფილა ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთზე, სადაც გაირჩეოდა რამოდენიმე ფიგურის სამოსის დრაპირების კვალი. (ჩვენი დაკვირვებით ნალესობა და მოხატულბა აშენების თანადროული უნდა იყოს).

აღქერფის ეკლესია ძველი ქართული ტაძარია, რომელსაც XVIII საუკუნის ბოლოს ჩამოსული სომხური მოსახლეობა დაეუფლა და მონოფიზიტური საეკლესიო წესის შესაბამისად მოაწყო.

ბიბლიოგრაფია: (გაგოშიძე, ჩანტლაძე, 2009, გვ. 78; გურჯიძე, ჩაკვეტაძე, ხაბულიანი, 2015გ).

დანართი # 3.

ახტალა

(ლორეს პროვინცია)

(სურ: 65).

XIII საუკუნის ახტალის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც სხვადასხვა შენობებს აერთიანებს, მდ. დებედას შუა წელზე ლორეს პროვინციაში მდებარეობას და ამჟამად სამხეთის ტერიტორიაზეა მოქცეული. ჯვარგუმბათოვანი ტაძრის აშენება ივანე მხარგრძელის სახელს უკავშირდება. ქართულწარწერიანი საფლავის ქვები ტაძრის ინტერიერში მრავლადაა შემორჩენილი.

თლილი ქვით ნაგები ტაძარი მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული ფრესკებით სრულად ყოფილა დაფარული. საკურთხეველში კარგად შემონახული სამრეგისტრიანი საკურთხევლის სქემაა წარმოდგენილი. ტაძრის სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებში ქრისტოლოგიურ სცენებთან ერთად, მაცხოვრის ვნების ვრცელი ციკლია წარმოდგენილია. დასავლეთ მკლავში მეორედ მოსვლის გავრცობილი რედაქციაა განთავსებული. ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებებიდან აღსანიშნავია ქართველ წმინდანთა გამოსახულებები, რომლებიც დასავლეთ მკლავის დასავლეთ კედელზე, ქვედა რიგშია განთავსებულნი. მოხატულობაში მრავლად დასტურდება ქართული წარწერები. ასევე, შემორჩენილია ბერძნული განმარტებითი წარწერებიც. მოხატულობა ორფენიანი. ტაძრის მოხატულობის შესრულების შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში რამოდენიმე განსხვავებული თარიღია დაფიქსირებული, თუმცა ყველა მათგანი XIII საუკუნის ქრონოლოგიურ პერიოდში ექცევა.

ბიბლიოგრაფია: (გაგოშიძე, 2017, გვ. 10-56; ბულია, ჯანჯალია, 2017, გვ. 124-158).

დანართი # 4.

ბინაძორის ქართული ეკლესია

(მარნეულის რაიონი)

(სურ: 66).

ბინაძორის დარბაზული (ქართული) ეკლესია მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანიდან 6 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს და XII-XIII საუკუნით თარიღდება. ტყის ფერდზე მდებარე დარბაზული ტიპის ნაგებობა გეგმაში სწორკუთხედშია ჩაწერილი; აღმოსავლეთით აფსიდით განსრულებული მოზრდილი ზომის ეკლესიის პერანგიც სუფთად ნათალი ქვითაა ნაწყობი. ტაძარს ორი შესასვლელი – სამხრეთით შედარებით დიდი, ხოლო ჩრდილოეთით მცირე, გაჭრილი კარის ღიობები აქვს. აღმოსავლეთ სარკმლის ფართო ღიობს გარედან მოჩუქურთმებული საპირე და გრეხილი ლილვები ევლება. საკურთხევლის აფსიდში,

სარკმლის ჩამოსწვრივ სამღვდელმთავრო დასადგომელი ნიშაა გამოკვეთილი. ეკლესიის აფსიდის სარკმლის წირთხლებში და შერჩენილი, სადაც მოხატულობის ფრაგმენტები იხილვება. სარკმლის თავანებზე ფეხზემდგომი დიაკონთა ფიგურებია გმოსახული. ეკლესიას სამხრეთ და ჩრდილოეთით მინაშენები აქვს მიდგმული. სამხრეთ მინაშენის შესასვლელი ღიობის ფრაგმენტებზე ჩუქურთმიანი ქვებია დარჩენილი. ხოლო ჩრდილოეთ მინაშენის აფსიდშიც ნალესობაა, სადაც მოხატულობის კვალი აღინიშნება.

ბიბლიოგრაფია: (გურჯიძე, ჩაკვეტაძე, ხაბულიანი, 2015დ).

დანართი # 5.

ბოლნისის სიონი

(ბოლნისის რაიონი)

(სურ: 67).

V საუკუნის ბოლნისის სიონის ბაზილიკა ბოლნისის რაიონული ცენტრიდან 8 კილომეტრის მოშორებით მდებაროებს. ძეგლი რამოდენიმე სამშენებლო ფენას აერთიანებს. მასზე განთავსებულია უმნიშვენლოვანესი ადრეული ხანით დათარიღებული ისტორიული წარწერები და რელიეფები. სამეცნიერო ლიტერატურაში ძეგლი არა ერთხელ ყოფილა შესწავლილი და გამოცემული.

ძეგლმა XVII საუკუნეში განიცადა რამოდენიმე გადაკეთება. მრავალმხრივ რთული სამნავიანი ბაზილიკის შიდა კედლები, როგორც ჩანს, ამავე საუკუნის მიწურულს შელესეს და მოხატეს. ტაძრის მოხატვრის ინიციატორი ბოლნელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი იყო, რომელიც მოხატულობაში – ერთ-ერთი სამხრეთი ბურჯის ჩრდილოეთ პირზეა გამოსახული.

მოხატულობა ძირითადად საკურთხეველს ამკობს (ნაწილობრივ მოხატული ყოფილა აღმოსავლეთ ბურჯების პირებიც), სადაც კონქში იესეს ხის კომპოზიციაა

გამოსახული. ფართე ორნამენტული რეგისტრის ქვემოთ მედალიონებში გამოსახული წმინდანთა ნახევარფიგურები და მღვდელმთავრების რიგებია განთავსებული. მოხატულობა გვიანი ხანის დეკორატიულ-სიბრტყოვანი ხასაითის მქონე მხატვრულ-სტილისტურ ძლიერ მახასიათებლებს ამჟღავნებს და ამ პერიოდის პროვინციული მოხატულობების რიგს განეკუთვნება (მოხატულობა შესწავლილი არ ყოფილა).

ბიბლიოგრაფია: (ბერიძე, 1974, გვ. 88-89).

დანართი # 6.

ბოსლების სამება

(დმანისის რაიონი)

(სურ: 68).

ბოსლების სამების ეკლესია დაბა კაკლიანსა და სოფელ ბოსლებს შორის, მდინარე კაკლიანის მარჯვანა ნაპირზე, შემღლებულ მთის ფერდზე მდებარებობს. XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული თლილი ქვით ნაშენი დარბაზული ეკლესია უხვად ყოფილა მოჩუქურთმებული. დღეს ტაძარს პერანგი სანახევროდ შემოცლილი აქვს. დანგრეულია ტაძრის კამარა და კედლების (ჩრდილოეთი და დასავლეთი) ნაწილი. ასევე, ნახევრად დაქცეულია ტაძრის ჩრდილოეთი სათავსი, რომელიც გვიანი ხანის მინაშენს წარმოადგენდა.

ეკლესია მაღალი რანგის მხატვართა მიერ სრულად ყოფილა მოხატული; საკურთხევლის აფსიდში სამრეგისტრიანი სქემა გაირჩევა მოქიცულთა ზიარებითა და მღვდელმთავრების გამოსახულებებით. ტაძრის სხვა მონაკვეთებზე მხატვრობა გადასულია და წმინდანთა ფიგურებიდან უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. მოხატულობა თავისი მახასიათებლებით XII-XIII საუკუნეების კედლის მხატვრობის ნიმუშებთან ახლოს დგას. როგოც ჩანს, ბოსლების სამება ტაძრის აგებიდან მალევე შეილესა და მოიხატა.

ბიბლიოგრაფია: (მუსხელიშვილი, 1941, გვ. 44-51).

დანართი # 7.

გომარეთის (დიდი გომარეთის) ღვთისმშობლის (კუხის) ეკლესია

(დმანისის რაიონი)

(სურ: 69).

თლილი ქვით ნაგები დარბაზული ტიპის ეკლესია სოფელში დგას და წარწერის თანახმად 1012-1022 წლებით თარიღდება. ე. თაყაიშვილის ცნობით ეკლესია შიგნით შელესილი და მოხატული ყოფილა, მაგრამ ფრესკები ექვთიმეს დროსაც ცუდად ყოფილა დაცული. შელესილობის კვალი ეკლესიას საკურთხევლის აფსდიში დღესაც შერჩენია, რომელზეც მკრთალად გაირჩევა მოსამზადებელი ნახატის გაფერმკრთლაებული ხაზები. ძეგლის დაცულობის გამო მოხატულობის თარიღის დადგენა დღეს შეუძლებელია. ჩვენი აზრით, არაა გამორიცხული, ის ძეგლის აშენებისთანავე მოეხატათ.

ბიბლიოგრაფია: (ნარიმანაშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე, 2018, გვ. 207-209).

დანართი # 8.

გუდარეხი

(თეთრიწყაროს რაიონი)

(სურ: 70). ფოტოს წყარო ჰტტპ://მარტლმადიდებლობა.გე/გუდარეხი/იბ–ჰომე–0–7.ჯპგ

სამონასტრო კომპლექსი სოფელ გუდარეხიდან 8 კმ. მოცილებით, ბედების ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებაროებს და მასში რამოდენიმე ნაგებობა ერთიანდება. მონასტრის მთავარი ტაძარი XIII საუკუნეში თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესიაა, რომლისთვისაც მოგვიანებით სამხრეთ და ჩრდილოეთ მხრიდან ეგვტერები მიუშენებიათ. მონასტერმა აღმშენებლობა-განახლება XVII საუკუნეში განიცადა. როგორც მიიჩნევა, ამავე პერიოდის უნდა უკავშირდებოდეს ეკლესიის ფრესკებით შემკობაც. მოხატულობიდან ფრესკების კვალი მთავარ ტაძარსა და სამხრეთ მინაშენს შემორჩა (მხედრებისა და ანგელოზთა გამოსახულებები). ფრესკულ ფრაგმენტებზე შერჩენილი ბერძული წარწერების პალეოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით, ფრესკების შესრულების თარიღად XVI-XVII საუკუნეებია მიჩნეული.

ბიბლიოგრაფია: (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 245. მჭედლიძე, 1986, გვ. 53-63).

დანართი # 9.

დარბაზის წმ. გიორგის ეკლესია გეტისხევში

(ბოლნისის რაიონი)

(სურ: 71).

დარბაზის წმ. გიორგის ეკლესია სოფელ დარბაზიდან ჩრდილოეთით 4-5 კილომეტრში, ტყეში მდებარეობს და ის გეტისხეობის მთავარ სალოცავს წარმოადგენდა. თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია თავისი ჩუქურთმოვანი სამკაულით XII-XIII საუკუნეების ძეგლთა რიგში თავსდება. მას ორსავ მხარეს გვიანდელი მინაშენები აქვს; მათგან ჩრდილოეთის სამწირველო მოხატულია. ფრესკები ე.წ. ხალხური ნაკადის ჯგუფს მიეკუთვნება და XVII საუკუნეში ჩანს შესრულებული. ეკლესიის შიგნით დაცულია ამავე ხანის საფლავის ქვა იარალაშვილის ეპიტაფიით. იარალაშვილები და ყაფლანიშვილები გვიან შუა საუკუნეებში ამ ხეობის მფლობელები იყვნენ, და როგოც ჩანს, გვიანდელი ეგვტერიც, მათ დაკვეთით მოხატული საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. მოხატულობა

ეგვტერის კედლებს სრულად ამკობს; საკურთხეველში გაირჩევა მაცხოვრის წელსზემოთა გამოსხულება. დანარჩენ კედლებზე წმინდანთა ნახევარფიგურული და ფეხზემდგომი წმინდანებია გამოსახული. მოხატულობა შესწავლილი არ ყოფილა (აღნიშნული ნაგებობა სავარაუდოდ, უნდა იყოს რ. მეფისაშვილის მიერ მოხსენიებული დიდი დარბაზის `ლურჯი ეკლესია~).

ტაძარს 2018 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია და კეთილმოეწყო ღვთისმსახურებისთვის.

ბიბლიოგრაფია: (მეფისაშვილი, 1971, გვ. 17-31).

დანართი # 10.

დარბაზის უცნობი ეკლესია მთაზე

(ბოლნისის რაიონი)

(სურ: 71).

სოფელ დარბაზიდან ჩრდილო-დასავლეთით 3-4 კილომეტრის მანძილზე, მაღალ ბორცვზე ნახევრად დანგრეული დარბაზული ეკლესია დგას. მომცრო ზომის პერანგშემოცლილი ეკლესიიდან საკურთხევლისა და ჩრდილოეთის კედლებია შემორჩენილი. საკურთხეველში გაირჩევა მოხატულობის კვალი. კონქში მედალიონებში ჩაწერილი ნახევარფიგურული გამოსახულებები და ფოთლოვანი ორნამენტებია შემორჩენილი. მხატვრული სქემიდან გამომდინარე აქ იესეს ხე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. აფსიდის მეორე რეგისტრში ფრაგმენტულად ფეხზემდგომ წმინდანთა ფიგურული გამოსახულებები ჩანს. ღია ცის ქვეშ დარჩენილი ფრესკებიდან თვალს იპყრობს მოხატულობის ხასხასა ფერადოვნებაც (მოწითალო-ღვინისფერი, შაბიაბნისფერი). მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლებით ფრესკების შერულების საავრაუდო პერიოდი XVI-XVII საუკუნეებს შეიძლება განეკუთვნოს.

ბიბლიოგრაფია: გამოცემული არ ყოფილა.

დანართი # 11.

დმანისი

(დმანისის რაიონი)

(სურ: 73).

ნაქალაქარ დმანისის ტერიტორიაზე მრავალი ნაგებობა დგას, რომელთა შორის მკვეთრად გამოირჩევა ბაზიკილური ტიპის ტაძარი. დმანისის სიონი რამდენიმე სამშენებლო (VI-XIII სს.) ფენას აერთიანებს. ტაძარი სრულად ყოფილა მოხატული, რომლიდანაც ტაძრის სივრცეში მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. მოხატულობა ძირითადად ტაძრის საკურთხეველს შემორჩა, სადაც მღვდელმთავრების რიგის გარჩევა უკეთ ხერხდება. მაღალი ოსტატობით შესრულებული მოხატულობა ლაშა-გიორგის ზეობის პერიოდით თარიღდება. (ტაძარს დასავლეთ მხარეს კარიბჭის მიშენებაც, მასზე განთავსებული წარწერის თანახმად, მის სახელს უკავშირდება). მეფე ლაშა-გიორგის პორტრეტადაა მიჩნეული ტაძარში შემორჩენილი ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე პილასტირს პირზე არსებული საქტიტორო გამოსახულებაც.

ბიბლიოგრაფია: (მიქელაძე, 2009, გვ. 239-255).

დანართი # 12.

თევდორეწმინდა

(ბოლნისის რაიონი)

(სურ: 74).

XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული თევდორეწმინდის სამონასტრო კომპლექსი სოფელ ხატისოფლიდან 5 კილომეტრის მოცილებით ტყის სიღრმეში მდებარეობს.

თლილი ქვით ნაგებ დარბაზულ ეკლესიას ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს გვიანი ხანის მინაშენები ჰქონია. ჩუქურთმოვან სამკაულთან ერთად ტაძარს რამოდენიმე ლაპიდარული წარწერაც აქვს.

ტაძარი სრულად ყოფილა მოხატული. ფრესკებიდან საკურთხევლის აფსიდში გამოსახულნი მამათა რიგის ფრაგმენტებია შემორჩენილი. ივანე ბარტოლომეის ცნობით მოხატულობაში ქართული და ბერძნული წარწერებიც არსებულა. მათგან დღეს მღვდელმთავრის გრაგნილებზე ქართული ასმოთავრული წარწერების გარჩევა ხერხდება მხოლოდ. ფრესკების შესრულების სავარაუდო დრო, თავის მახასითებლებით, ტაძრის აშენების თანადროული (XII-XIII საუკუნეების) უნდა იყოს.

ბიბლიოგრაფია: (ბერძენიშვილი, 2015, გვ. 233-357).

დანართი # 13.

იმერხევის ცამეტი ასურელი მამის ეკლესია

(ბოლნისის რაიონი)

(სურ: 75).

იმერხევის ცამეთი ასურელი მამის ეკლესია ფოლადაურის ხეობაში, სოფელ ფოლადაურიდან 6-7 კილომეტრის მოშორებით, ტყის სიღრმეში მდებარეობს. ეკლესიას მითითებული სახელი ახალი შერქმეული აქვს (ბოლნელი მწყემსმთავრის ინიციატივით). მისი ისტორიული სახელწოდება დაკარგულია. ადგილობრივები მას ფორთი-ფორთად ეკლესიად მოიხსენიებდნენ. 2010-2015 წლებში ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა და მოეწყო მონასტრის მთავარ სამლოცველოდ. დარბაზული ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით. მას ორი შესასვლელი აქვს. ეკლესიის ინტერიერი სრულადაა შელესილი, მაგრამ მოხატულობის კვალი მხოლოდ საკურთხეველშია დარჩენილი. ფრესკული ფრაგმენტებიდან გაირჩევა ქვედა რეგსიტრში არსებული მღვდელმავრების ფრონტალური რიგი, რომლებიც თანაბარი ზომის თაღნარებში

არიან გამოსახულნი. საკურთხევლის სქემის გათვალისწინებით მოხატულობა XII საუკუნით შეიძლება განისაზღვროს.

ბიბლიოგრაფია: გამოცემული არ ყოფილა.

დანართი # 14.

კაზრეთი

(ბოლნისის რაიონი)

(სურ: 76).

კაზრეთის (იგივე ისპიანი) სამების ეკლესია (დაბა კაზრეთში, მდინარე კაზრეთულას მარჯვენა ნაპირზე მდებაროების და ბოლნისის რაიონში ერთიანდება. ძეგლი XIII საუკუნის პირველი მეოთხედითაა დათარიღებული. მოხატულობა ძირითადად საურთხეველში იყო შემორჩენილი, სადაც სამრეგისტრიანი სქემიდან უკეთ ზიარებისა და მღვდელმთავრების რიგები გაირჩეოდა. მოხატულობა შემორჩენილი ყოფილა სამხრეთისა და დასავლთის პორტალებში. როგორც ძეგლის აღწერებიდან დასტურდება, კაზრეთის მოხატულობაზე ყოფილა განთავსებული ისტორიული წარწერა ბოლნელი მთავარეპისკოპოსის ნიკოლოზის მოსახსენიებლით; წარწერა 1972 წლით იყო დათარიღებული (თაყაიშვილი ამ პერიოდს აკუთვნებდა მოხატულობის XIII საუკუნის ფენას).

XXI საუკუნის დასაწყისში კაზრეთის დარბაზულ ეკლესიას ჩაუტარდა რესტავრაცია და აღდგა ღვთისმსახურებაც. სამწუხაროდ, ძეგლის რეაბილიტაციის დროს, ტაძრის ინტერიერი ახალი შელესილობით დაიფარა, რის შედეგადაც სრულად გადანდგურდა XIII საუკუნით დათარიღებული მოხატულობა.

ბიბლიოგრაფია: (სხირტლაძე, 1981, გვ. 85-99; თაყაიშვილი, #553; გამყრელიძე, 2013, გვ. 169-175).

დანართი # 15.

კირანცი

(ტავუშის რაიონი)

(სურ: 77).

კირანცის სამონასტრო კომპლექსი ტავუშის რაიონში, ისტორიული გაგის ტერიტორიაზე, დასახლებული პუნქტიდან 12 კილომეტრის მოცილებით, ტყის სიღრმეში მდებარეობს. კომპლექსის ჯვარგუმბათოვანი მთავარი ნაგებობა XIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. აღნიშნული ტერიტორია საქართველოს, სომხეთისა და ისტორიული ალბანეთის გზაგასაყარზე მდებარეობდა და ადგილობრივებიც შერეულ მოსახელობას წარმოადგენდა. არქიტექტურული თვალსაზრისით, მხარეთა გზაჯვარედინზე მყოფი კირანცის ნაგებობა საინტერესო მხატვრულ-კულტურულ ნაზავს წარმოადგენს. კირანცის სამონასტრო კომპლექსის აშენებისა და მოხატვრის პერიოდი ამ მხარის ქართველების მიერ პოლიტიკურად მართვის პერიოდს თანხვდება. შესაბამისად, კირანცის მხატვრობა ქართული კედლის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

აგურით ნაშენი ტაძარი შიგნით შელესილი და სრულად მოხატული ყოფილა (ასევე მოხატული ყოფილა ტაძრის დასავლეთით მდგარი სატრაპეზო, რომლიდანაც უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი). გუმბათში ჯვრის ამაღლება და წინასწარემტყველთა შორის, ძველი აღთქმის სიუჟეტური სცენებიცაა გამოსახული. აფრებში მახარებელთა მჯდომარე ფიგურებია განთავსებული. საკურთხევლის აფსიდში სამრეგისტრიანი სქემაა წარმოდგენილი, რომლის ფარეთე ბემის ნაწილს ღვთისმშობლის ვრცელის ცხოვრების ციკლი იკავებს. ტაძრის დანარჩენ მკლავებში ფრაგმენტულად საუფლო დღესასწაულთა სცენები და ცალკეული წმინდანების გამოსახულებები შემორჩა. ფრესკულ ფრაგმენტებზე მრავლად შემორჩა ქართული

წარწერები. კირანცის მოხატულობა რამოდენიმეჯერ არის გამოცემული და საზოგადოდ, XIII საუკუნით თარიღდება.

ბიბლიოგრაფია: (თჰიერრყ, 1983, პ. 194–228; აბაშიძე, 2017, გვ. 76-122; ბულია, ჯანჯალია, 2017, გვ. 160-202).

დანართი # 16.

ლიპარიტისუბანი, იგივე ლამაზი საყდარი

(დმანისის რაიონი)

(სურ: 78).

ლიპარიტისუბნის სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები დმანისის რაიონის სოფელ დიდი გომარეთის მიდამოებში, მდინარე ქციისა და ზურტაკეტის შესართავთან, მთის ტყიან კალთაზე მდებარეობს. აღნიშნული ნამონასტრალი ქართულ სინამდვილეში თავისი ისტორიული წარწერებითაა ცნობილი. ლიპარიტისუბნის კომპლექსის თლილი ქვით მოპირკეთებული დარბაზული ტაძარი XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. `ლამაზი საყდარი~ ძეგლს მისი უხვად მორთული რელიეფური ჩუქურთმების გამო შერქმევია. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ტაძარი სრულად არ ყოფილა მოხატული. მოხატულობიდან დღეს ტაძრის ირგვლივ მიმოფანტულ ნანგრევებზე დარჩენილი ფრესკებია შემორჩენილი, რომელთაგან თაღის ქვის პირზე არსებული ანგელოზის გამოსახულება გამოირჩევა. ამ გამოსახულების მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლის მიხედვით ჩანს, რომ მოხატულობა მაღალი რანგის ოსტატის (ან ოსტატების) მიერ იყო შესრულებული.

ბიბლიოგრაფია: (ნარიმანაშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე, 2018, გვ. 217-218).

დანართი # 17.

მანგლისი

(თეთრიწყაროს რაიონი)

(სურ: 79).

მანგლისის ღვთისმშლობლის სახელობის საკათადრო ტაძარი ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში, დაბა მანგლისის ჩრდილო-დასავლეთით, განაპირას მდებარეობს. დიდი გუმბათიანი ნაგებობა რამოდენიმე სამშენებლო (VI-XIX სს.) ფენას აერთიანებს.

ტაძარში მოხატულობა მხოლოდ გუმბათშია შემორჩენილი; XIX საუკუნის განახლების დროს, ეკლესია სრულად შეილესა და მოხატულობის სხვა ფენები, როგორც ჩანს, გადადგურდა. სფეროში გამოსახულია ჯვრის ამაღლება. გუმბათის ყელზე განთავსებულია ვედრება და მის ირგვლივ განაწილებულია მგომარე წინასწარმეტყველთა ფიგურები გაშლილი გრაგნილებით ხელში. მხატვრობა მაღალი რანგის ოსტატობითაა შესრულებული და ქართული კედლის მხატვორბის ისტორიაში, ერთ-ერთ საეტაპო ძეგლს წარმოადგენს. მანგლისის ფრესკები XI საუკუნით თარიღდება, თუმცა მას მოგვანო ხანაში განახლების კვალიც ეტყობა. ისტორიულ შიდა ქართლში არსებული მოხატულობებიდან ის ყველაზე ადრეული ნიმუშია.

ბიბლიოგრაფია: დვალი, მ., მანგლისის ხუროთმოძღვული ძეგლი (თბილისი, 1974).

დანართი # 18.

ოზნის წმ. პეტრე-პავლეს ეკლესია

(წალკის რაიონი)

(სურ: 80).

სოფლის ჩრდილოეთით, მაღალ ფერდზე, ციკლოპური სიმაგრიდან 50 მეტრის დაცილებით, გალავანშემოვლებული პატარა დარბაზული ეკლესია დგას. ეკლესია წითელი ფერის ქვებითაა მოპირკეთებული და შემკულობით არ გამოირჩევა (სადა ჯვრები აქვს გამოკვეთილი აღმოსავლეთ სარკმლის თავსართსა და ერთადერთი სამხრეთი შესასვლელის არქიტრავული კარის თავზე). ეკლესია შიგნით შელესილი და მოხატული ყოფილა; აფსიდის ჩრდილოეთ მონაკვეთზე გაირჩეოდა მღვდელმთავრის ფრონტალური გამოსახულება წიგნით ხელში. ეკლესიის თარიღად შეცდომით გვიანი შუა საუკუნეებია დასახელებული წიგნში `თრიალეთი~ (იხ: მითითებული ბიბლიოგრაფია), მაგრამ ის ადრეული ხანისა უნდა იყოს (გვიანი გადაკეთებებით). ხოლო მოხატულობის შესრულების პერიოდი, მღვდელმთავრის დგომის მანერის გათვალისწინებით, XII-XIII საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს.

(დღეს აღნიშნული გამოსახულება ადგილზე მისულებს გადალესილი დაგვხვდა. სოფელში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის დაუდევრობის გამო, სამწუხაროდ, ეს მცირედი ფრაგმენტიც დაიღუპა. მისი არსებობა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ოზნის მოხატულობა გადარჩენილთაგან ერთადერთი ფრესკული მხატვრობის ნიმუში იყო წალკის რაიონში)

ბიბლიოგრაფია: ნარიმანაშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე, 2018, გვ. 148-149.

დანართი # 19.

პირღებული

(თეთრიწყაროს რაიონი)

(სურ: 81).

პირღებულის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში, სამშვიდის ნაქალაქარიდან 3 კილომეტრში მდებარეობს. მონასტერი კლდეში

გამოკვეთილ ქვაბთა რიგს და რამოდენიმე სხვადასხვა პერიოდის ნაგებობებს აერთიანებს. პირღებულის მთავარ ეკლესიად XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული მინაშენებიანი დარბაზული ტაძარია მიჩნეული, რომელსაც გვაინ ხანაშიც განუცდია გადაკეთება. ჩუქურთმებით შემკული ტაძრის ფასადებზე რამოდენიმე ისტორიული წარწერაცაა დაცული.

ინტერიერი სრულად ყოფილა მხატვრობით შემკული. მოხატულობიდან მცირედი ფრაგმენტებია შემონახული. საკურთხევლის აფსიდში ვედრებისა და მღვდელმავრების რიგის გარჩევა ხერხდება. დარბაზის კამარაზე ნათლისღებისა და მირქმის სცენებია შემორჩენილი. კამარის კეხში ანგელოზების მიერ ჯვრის ამაღლებაა წარმოდგენილი. დასავლეთ კედელზე სულთმოფენობისა და მეორედ მოსვლის სცენები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

მოხატულობა შესწავლილი არ ყოფილა. ფრესკების შესრულების პერიოდი, ამ ეტაპზე, მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლების მიხედვით XII საუკუნეით შეიძლება განისაზღვროს.

ბიბლიოგრაფია: (გოგოლაძე, (2013, 2014), გვ. 29-39).

დანართი # 20.

სათხე

(ბოლნისის რაიონი)

(სურ: 82).

სათხის ეკლესია ბოლნისის რაიონში დაბა კაზრეთის სამხრეთით 4 კილომეტრში, ტყის სიღრმეში მდებაორებს. სათხე ადგილის სახელია, რომელიც ეკლესიის სახელწოდებას, როგორც ჩანს, მოგვიანებით დაუკვაშირდა. X საუკუნის დაბაზული ტაძრისთვის სხვადასხვა პერიოდში ეგვტერები და სტოა-კარიბჭე მიუშენებიათ.

ტაძრის ფასადებზე ასევე მრავლადა სხვადასხვა დროს შესრულებული ლაპიდარული წარწერებიც. ეკლესიას ქონია მოჩუქრუთმებული კანკელი (კანკელი ეროვნულ მუზეუმშია დაცული), რომლის შესრულების დრო ტაძრის რეაბილიტაციის დროს, ახლახან გამოვლენილი კანკელის ქვის ფრაგმენტზე შემორჩენილი ქორონიკონით – 1171 წლით განისაზღვა. ტაძრის ინტერიერში მრავლად ჩანს ადრეული ხანის ქვის სტელების სპოლიებიც, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ეკლესია გამორჩეულ სალოცავს წარმოადგენდა და მასზე პერიოდულად განსაკუთრებით ზრუნავდნენ.

ეკლესიაში შერმოჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ყველაზე უკვეთ ფრესკები საკურთხველში შემორჩა, სადაც სამრეგისტრიანი სქემინდან მღვდელმთავართა ქვედა რიგი უკეთ განირჩევა. მოხატულობა ჩანს დასავლეთ კედელზეც, სადაც სიუჟეტური სცენები უნდა არსებულიყო. სათხეს მხატვრობა შესწავლილი არ ყოფილა. მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლებით, მღვდელმთავართა დგომის მანერით, ფერადოვანი გამით თუ პალეოგრაფიული მონაცემებით, მოხატულობა ამ ეტაპზე XII საუკუნით შეიძლება განისაზღვროს.

ბიბლიოგრაფია: (გამყრელიძე, 2013. გვ. 435)

დანართი # 21.

სამშვილდე

(თეთრიწყაროს რაიონი)

(სურ: 83).

ნაქალაქარი სამშვილდე თეთრიწყაროს რაიონული ცენტრიდან 3-4 კილომეტრის მოცილებით, მდინარე ქსიის (ხრამის) და ჭივჭავის შესართავს შორის წარმოქმნილ მაღალ ბორცვზე მდებარეობს. გეგმაში სამკუთხა მოყვანილობის მქონე ნაქალაქარი თავის ტერიტორიაზე რამოდენიმე მნიშვნელოვან ეკლესიას და ნაგებობას

აერთიანებს. ერთ-ერთი მათ შორის მნიშვნელობით ნაქალაქარის აღმოსავლეთით მდებარე, წმ. თევდორეს სახლეობის დარბაზული ეკლესია გამოირჩევა.

უხეშად გათლილი მუქი ბაზალტის ქვით ნაშენი შვერილაფსიდიანი ეკლესია IX-X საუკუნეებით თარიღდება. დარბაზული ტაძარი მაღალი ოსტატობით შესრულებული მოხატულობით სრულად ყოფილა შემკული. ფრესკების კვალი სარკმელთა თავანებსა და დასავლეთ კედლის მონაკვეთებს შემორჩა. ყველაზე უკეთ დასავლეთი კარგის განიერ თავანებზე შემორჩენილი საქტიტორო გამოსახულებები და ვრცელი ისტორიული წარწერები იხილვება. წარწერაში მოხსენიბეული ისტორიული პირების მიხედვით მოხატულობა XII საუკუნითაა დათარიღებული.

ბიბლიოგრაფია: (ბარამიძე, 1983, გვ. 21-26).

დანართი # 22.

სამსონის მონასტერი (სამსონივანქი)

(ტავუშვის რაიონი)

(სურ: 84).

მონასტერი ისტორიულ ქვემო ქართლში გაგის ტერიტორიაზე, დღეს ტავუშის პროვინციაში, დასახლებული პუნქტიდან საკმაოდ მოცილებით, ტყის სიღრმეში მდებარეობს. სამსონის მონასტრის მთავარი ტაძარი გუმბათიანი ნაგებობაა და ის XII-XIII საუკუნით თარიღდება. ჩვენი დაკვირვებით, ეკლესია შიგნით სრულად მოხატული ყოფილა. მოხატულობიდან დარჩენილ ფრაგმენტებზე გაირჩევა ცალკეულ ფიგურათა გამოსახულებები. ჩვენი აზრით, ეკლესია აშენებისთანავე უნდა მოეხატათ.

ბიბლიოგრაფია: გამოცემული არ ყოფილა. ძეგლის შესახებ მცირე ინფორმაცია აღებულია საიტიდან: ჰტტპ://ფინდარმენია.ორგ/არმ/სიგჰტს/სამსონ

დანართი # 23.

სედვი (კოშკის ეკლესია)

(ტავუშის რეგიონი)

(სურ: 85).

ტავუშის რეგიონი ისტორიული ქვემო ქართლის ერთ-ერთი პროვინციაა და ის 1921 წლიდან საზღვართა ცვლილების გამო, უკვე სომხეთის რესპუბლიკის ტერიოტრიაზეა მოხვედრილი. სედვის მონასტერი XIII საუკუნით თარიღდება. მონასტრის მთავარი ეკლესიიდან რამოდენიმე ათეული მეტრის მოშორებით დგას სედვის კოშკი, რომელშიც მცირე ეკლესიაა მოწყობილი.

ეკლესია მოხატული ყოფილა (მოხატულობა შესწავლლი არაა). დღესაც გაირჩევა წმინდა მღვდელმთავართა გამოსახულებები ქარული წარწრებით. მხატვრობა აშენების (XIII საუკუნე) თანადროული უნდა იყოს.

ბიბლიოგრაფია: (Lორი ღეგიონ, 2013, გვ. 1-4)

დანართი # 24.

უბისა (?)

(ბოლნისის რაიონი)

(სურ: 86).

ძლიერ დაზიანებული დარბაზული ეკლესია ბოლნისის რაიონში მდებარეობს. ეკლესიის შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ ხერხდება. საკურთხეველში შემოჩენილია ბათქაშის ფარგმენტები, რომელზეც მკრთალად გაირჩევა მოხატულობის კვალი. მხატვრობის შესრულების თარიღი უცნობია.

ბიბლიოგრაფია: გამოცემული არ ყოფილა.

დანართი # 25.

ფიტარეთი

(თეთრიწყაროს რაიონი)

(სურ: 87, 88).

ფიტარეთის ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსი ქვემო ქართლში, თეთრიწყაროდან სამხრეთ-დასავლეთ მიამრთულებით 12 კილომეტრის მოშორებით, მდინარე ქციის ხეობაში, მაღალთმიან ტყეში მდებარეობს. კომპლექსის მთავარ არქიტექტურულ ნაგებობას გალავნის შუაგულში აღმართული ღვთისმშობლის სახელობის გუმბათოვანი ტაძარი წარმოადგენს. გარედან ტაძარი ორნამენტებითაა მდიდარი. საფასადო დეკორის გარდა, აშენებისთანავე ტაძრის შიდა მორთვაზეც უზრუნიათ. ფიტარეთის ტაძარში მხატვრობის რამოდენიმე ფენა გაირჩევა; თავდაპირველად ტაძარი ფრესკებით სრულად იქნებოდა დაფარული. ინტერიერში ნაწილობრივ შემორჩენილი ფრესკული მხატვრობა დღესაც კარგად იხილვება. მოხატულობის პირველი ფენა XIII საუკუნეში უნდა შეესრულებინათ. ადრეული ფენიდან ფრესკები ძირითადად დასავლეთ კედლის სამრეგისტრიან ზედაპირს შემორჩა. ორ რეგისტრად წარმოდგენილია `განკითხვის დღის~ განვრცობილი კომპოზიცია. ამავე კედლის ზედა რეგისტრში ქრისტეს სასწაულთა სცენებია გამოსახული. XIII საუკუნის მხატვრობის ფრაგმენტები დასავლეთ მკლავის კამარას, ჩრდილოეთ კედელსა და საკურთხევლის მოხატულობის ქვედა პერიმეტრსაც უმნიშვენლოდ შემორჩა. კედლის მხატვრობით ტაძრის ძირითადი ნაწილი (გუმბათი, საკურთხეველი, ჩრდილოეთი და სამხრეთ მკლავები) ხელმეორედ მოხატვის დროს შეიმკო, რომლიდანაც საგრძნობი ნაწილი დაზიანებულია. მოხატულობაში მაცხოვრის ვნებისა და ღვთისმოშბლის ვრცელი ციკლია წარმოდგენილი. ვნების თემები ჩრდილოეთ მკლავში სამრეგოსტრადაა გაშლილი. ხოლო, ღვთისმშობლის

ციკლის სცენებიდან მოხატულობას პასტოფორიუმების შესასვლელის მიმდებარე აღმოსავლეთ კედლებზე ნაწილობრივ შემორჩა. ტაძრის მოხატულობით ხელმეორედ შემკობის პერიოდი XVII საუკუნის შუა წლებითაა განსაზღვრული.

ამავე პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს ტაძრის სადიაკვნეში არსებული, ცუდად შემონახული კედლის მხატვრობაც და ტაძრის სამხრეთი კარიბჭის შეისრულთაღოვანი შესასვლელიც, რომელშიც ნიშოვანი ღვთისმშობელი ორანტით გამოუსახავთ. ამასთანავე, საკურთხეველში და ტაძრის სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთ კედლის ზედაპირზე შერჩენილია გვიანდელი – მესამე ფენის მხატვრობის მცირედი ჩანართები. ფერწერის გაცხოველების კვალი მონასტრის არსებობის XVII საუკუნეების ბოლო აქტიურ წლებს უნდა უკავშირდებოდეს.

ბიბლიოგრაფია: (ჩაკვეტაძე, 2019, იბეჭდება).

დანართი # 26.

ქობაირი

(თუმანიანის რაიონი)

(სურ: 89, 90).

ქობაირის სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ ქვემო ქართლში, დღეს სომხთის ტერიტორიაზე, თუმანიანის რაიონში, დებედას ხეობაში მდებაროებს. მონასტერი დიოფიზიტური ხდება შანშე მანდატურთუხუცესი მხარგრძელის დროს. წყაროებიდან ცნობილია, რომ მართლმადიდებლურად გადაკეთების შემდეგ XIII საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში დედათა მონასტერი ფუქციონირებდა.

სამონასტრო კომპლექსი რამოდენიმე ნაგებობას აერთიანებს; მათგან ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია და მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიშენებული მცირე ეგვტერია მოხატული. შემორჩენილთაგან აღნიშნული მოხატულობები შედარებით კარგადაა შემონახული, ვიდრე, მთავარი ეკლესიის ღია კარიბჭესა და

სამრეკლო-სამარხში არსებული ფრესკული ფრაგმენტები. მთავარი ეკლესიის ფრესკებიდან მოხატულობა მხოლოდ საკურთხეველში გადარჩენილა, სადაც რამოდენიმე რეგისტრად წარმოდგენილი საკურთხევლის სქემაა განთავსებული. მთავარი ეკლესიი დარად, ეგვტერიც სრულად ყოფილა მოხატულობა, მაგრამ დღეს მოხატულობის ნაწილი დაზიანებულია. ეგვერის ფრესკული დეკორიდან გამოირჩევა მხარგრძელთა დინასტიური პორტრეტების სიმრავლე, რომელიც სამწირველოს დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლების ქვედა პერიმეტრებზე იყვნენ განთავსებულნი. აღნიშნული ისტორიული პორტრეტები იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს კედლის მხატვრობაში ქობაირის ეგვტერში დაცული საქტიტორო რიგი ერთადერთია, სადაც მხარგრძელთა გვარის წარმომადგენლები არიაინ გამოსახულნი.

მოხატულობა XIII საუკუნით თარიღდება.

ბიბლიოგრაფია: (სხირტლაძე, 1981, გვ. 85-99; სხირტლაძე, 1983, გვ. 175-198);

დანართი # 27.

ძელი ჭეშმარიტის ეკლესია (ჰნევანქი)

(ლორეს პროვინცია)

(სურ. 91).

ძელი ჭეშმარიტის დიოფიზიტური გუმბათიანი ეკლესია (სომხურად ჰნევანქი) დღეს სომხეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ ლორეს პროვინციაში მდებარეობს. გიორგი ჩუნიბაშვილის დათარიღებით VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. ტაძარზე და მის ირგვლივ მრავალდ არსებობდა ქართული ლაპიდარული თუ საფლავის წარწერები, რომელთაგან უმრავლესობა დღეს დაკარგულად მიიჩნევა. ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში ივანე მხარგრძელია მოხსენიებული, რომელიც XIII საუკუნეში ამ მხარის მართველი იყო.

ტაძრის კარიბჭესა და ინტერიერში შერმოჩენილია ფრესკული ფრაგმენტიბი. ტაძრის ფრესკებით შემკობა, ჩვენი აზრით, XIII საუკუნეს მხარგრძელების მმართველობის პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს.

ბიბლიოგრაფია: (მელიქსეთ-ბეგი, 1964, გვ. 319).

დანართი # 28.

წერაქვი

(მარნეულის რაიონი)

(სურ: 92).

წერაქვის მონასტერი სოფელ წერაქვიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2,5 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. მონასტრის მთავარი ტაძარი კლდოვან მასივზე და სამხრეთის მხრიდან ხელოვნურად აგებულ მაღალ სუბსტრუქციაზეა დაფუძნებული და პროფილირებულ ცოკოლზე შემდგარი ორნავიანი ნაგებობაა, რომელიც ჰორიზონტალური წყობის კარგად გათლილი ქვათლილებითაა ნეგაბი. შესასვლელი კარები დასავლეთ და სამხრეთ კედლებშია გაჭრილი და ჩუქურთმებითაა შემკული. ორივე შესასვლელს ორმხრივ გახსნილი თაღიანი კარიბჭეები აქვს მიდგმული. მთავარი ეკლესია XIII საუკუნის II ნახევარით თარიღდება. ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნენბოდეს მოხატულბის კვალი, რომელიც ტაძარს მთავარი ნავის დასავლეთ კედელზე (ფიგურის გრაგმენტი) და სამხრეთი მინაშენის ჭერზეა (ვარსკვლავებიანი ცა) შემორჩენილი

ბიბლიოგრაფია: (გაგოშიძე, 2011, 68-81).

დანართი # 29.

წუღრუღაშენი

(ბოლნისის რაიონი)

(სურ: 93).

XIII საუკუნის ჩუქურთმებით უხვად შემკული წუღრუღაშენის გუმბათიანი ტაძარი რაიონული ცენტრიდან 7-8 კმ. დაშორებით, მდ. ბოლნისისწყალის მარკვენა ნაპირზე, შემაღლებულ მთის ფერდზე მდებარეობს. ფასადებზე დაცული ლაპიდარული წარწრების თანახმად, ეკლესიის აღშენება ან განახლება მეფე ლაშა-გიორგის პერიოდს განეკუთვნება. მოგვანებით ტაძრისთვის ჩრდილოეთით სამარხი-ეკვდერი მიუშენებიათ.

წუღრუღაშენის ტაძრის ინტერიერში შერჩენილია მოხატულობის კვალი. შიდა სივრცე სრულად იქნებოდა მოხატული. ფერწერული დეკორიდან მხოლოდ ორნამენტული ფრაგმენტია გადარჩენილი, რომელიც მოსამზადებელი ნახატის დონეზეა შემორჩენილი. ხვეულა ორნამენტის ტიპის მიხედვით, ჩვენი აზრით, ტაძარი ფრესკებით XII-XIII საუკუნეებში უნდა შეემკოთ.

ბიბლიოგრაფია: (ზაქარაია, 1978, გვ. 153-190).

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა

აბაშიძე, 1989; აბაშიძე, ქ., ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია მიძღვნილი პროფესორ ლევან რჩეულიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, (თბილისი, 1989), გვ. 10-11;

აბაშიძე, 2009, აბაშიძე, ქ., ჰუჯაბის ივერიის ღვთისმშობლის მონასტერი, ლევან რჩეულიშვილი, 100, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, (თბილისი, 2009), გვ. 70-83.

აბაშიძე, 2010; აბაშიძე, ქ., ჰუჯაბის ტაძრის ეროვნული სახის ძიებისათვის, Aცადემია, #1 (2010), გვ. 103-114.

აბაშიძე, 2017, აბაშიძე, ქ., ჰუჯაბის ტაძრის არქიტექტურული დეკორი, ქართული საეკლესიო მმკვიდრეობა ჩრდილოეთ სომხეთში (თბილისი, 2017), გვ. 76-121.

აბდალაძე, 1988; აბდალაძე, ა., ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში (თბილისი, 1988);

აბდალაძე, 2005; აბდალაძე, ა., სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ (თბილისი, 2005).

აბულაძე, 1944; აბულაძე, ი., ქართულ-სომხური ლიტერატურის ურთიერთობა IX-X საუკუნეებში, გამოკვლევა და ტექსტები (თბილისი, 1944);

ალექსიძე, 2011; 2016; ალექსიძე, ზ., ქრისტიანული კავკასია, ტ. 1, 2, 3 (თბილისი, 2011, 2016).

ბარამიძე, 1983; ბარამიძე, ა., სამშვილდის წარწერის დარეჯანი, მრავალთავი, #10 (1983), გვ. 21-26.

ბატონიშვილი, 1941; ბატონიშვილი, ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოÁსა (თბილისი, 1941).

ბერიძე, 1974; ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება (თბილისი, 1974).

ბერძენიშვილი, 1968; ბერძენიშვილი, დ., ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, #6, (1968), გვ. 94-108.

ბერძენიშვილი, 1979; ბერძენიშვილი, დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), ნაკვეთი I (თბილისი, 1979).

ბერძენიშვილი, 1988; ბერძენიშვილი დ., ჰუჯაბი, ძეგლის მეგობარი, #3 (1988), გვ. 5-8.

ბერძენიშვილი, 2015; ბერძენიშვილი, დ., ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან (თბილისი, 2015).

ბულია, 1990; ბულია, მ., მერე დემეტრე თავდადებულის გამოსახულება უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში, საბჭოთა ხელოვნება, #5 (1990), გვ. 2-7.

ბულია, 1993; ბულია, მ., დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობა, (XIII საუკუნის II ნახევრის ქართული კედლის მხატვრობის ისტორიიდან), ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ავტორეფერატი (თბილისი, 1993);

ბულია, 2009; ბულია, მ., საკრებულო ტაძრების ჩრდილოეთ სადგომთა მოხატვის ტრადიცია დავითგარეჯის მონასტრებში, ლევან რჩეულიშვილი, 100, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, (თბილისი, 2009), გვ. 57-69;

ბულია, 2010; ბულია, მ., გარეჯის სამარტომყოფელოთა მოხატულობების შინაარსის შესახებ, Aცადემია, #1 (2010), გვ. 95-97.

ბულია, 2015; ბულია, მ., დოდორქის მონასტრის ახლადაღმოჩენილი სამლოცველოს მოხატულობა, (პირველადი მონაცემები), ძველი ხელოვნება დღეს, #6 (2015), გვ. 52-71.

ბულია, ჯანჯალია, 2017; ბულია, მ., ჯანჯალია, მ., შუა საუკუნეების ხელოვნება და თანამედროვე კვლევები – ახტალის მოხატულობა, ქართული საეკლესიო მემკვიდრეობა ჩრდილოეთ სომხეთში (თბილისი, 2017), გვ. 124-158

ბულია, ჯანჯალია, 2017; ბულია, მ., ჯანჯალია, მ., კირანცის მოხატულობა და XIII საუკუნის მეორე ნახევრის მხატვრული ტენდენციები, ქართული საეკლესიო მემკვიდრეობა ჩრდილოეთ სომხეთში (თბილისი, 2017), გვ. 160-202.

გაბიძაშვილი, 1978; გაბიძაშვილი, ე., რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, (თბილისი, 1978).

გაგოშიძე, ჩანტლაძე, 2009; გაგოშიძე, გ., ჩანტლაძე, ნ., მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში, თბილისი (2009).

გაგოშიძე, 2017; გაგოშიძე, გ., ჩრდილოეთი სომხეთის XIII საუკუნის ქალკედონური (ქართული) ტაძრების ხუროთმოძღვრება) ახტალა, აქორი, ქობაირი, ქართული საეკლესიო მემკვიდრეობა ჩრდილოეთ სომხეთში (თბილისი, 2017), გვ. 10-56.

გაგოშიძე, ჯოჯუა, ბულია, ჯანჯალია, აბაშიძე, 2017; ქართული საეკლესიო მემკვიდრეობა ჩრდილოეთ სომხეთში (თბილისი, 2017).

გაგოშიძე, 2011; გაგოშიძე, ს., ქვემო წერაქვის XIII საუკუნის II ნახევრის ორნავიანი ეკლესია, (დამატება) Aცადემია Dებუტ, #11 (2011), გვ. 68-81.

გამყრელიძე, 2013; გამყრელიძე, გ., ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი (თბილისი, 2013).

გედევანიშვილი, 2004; გედევანიშვილი ე., კვლავ ერთი ადგილობრივი იკონოგრაფიული ტრადიციის შესახებ, საქართველოს სიძველენი, #4 (2004), გვ. 105-115;

გედევანიშვილი, 2012; გედევანიშვილი, ე., ქართულ მოხატულობათა ერთი იკონოგრაფიული თავისებურება, საქართველოს სიძველენი, #15 (2012), გვ. 186-198.

გოგოლაძე, (2013, 2014); გოგოლაძე, თ., მასალები პირღებულის მონასტრისა და მისი წინამძღვრების შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, XV-XVI, (2013, 2014), გვ. 29-39.

გორდაძე, გუჯაბიძე, 1989; გორდაძე, გ., გუჯაბიძე, გ., ჰუჯაბის ისტორიისათვის, ძეგლის მეგობარი, #1 (1989), გვ. 5-11.

გრიგოლია, 2012; გრიგოლია, თ., ღვთისმშობელი ქართველ ჰიმნოგრაფთა სახეობრივ მეტყველებაში (დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად) (თბილისი, 2012).

გურჯიძე, ჩაკვეტაძე, ხაბულიანი, 2015ა; გურჯიძე, ზ., ჩაკვეტაძე, ნ., ხაბულიანი, გ., ჰუჯაბის მონასტერი, მინაშენებიანი დარბაზული ეკლესია, ძეგლის სააღრიცხვო ბარათლი, # 65 (2015).

გურჯიძე, ჩაკვეტაძე, ხაბულიანი, 2015ბ; გურჯიძე, ზ., ჩაკვეტაძე, ნ., ხაბულიანი, გ., ჰუჯაბის მონასტერი, მინაშენებიანი დარბაზული ეკლესია, ძეგლის სააღრიცხვო ბარათლი, # 64 (2015).

გურჯიძე, ჩაკვეტაძე, ხაბულიანი, 2015გ; გურჯიძე, ზ., ჩაკვეტაძე, ნ., ხაბულიანი, გ., აღქერფის სასაფლაოს წმ. გიორგის ეკლესია, ძეგლის სააღრიცხვო ბარათი, # 37, (2015).

გურჯიძე, ჩაკვეტაძე, ხაბულიანი, 2015დ; გურჯიძე, ზ., ჩაკვეტაძე, ნ., ხაბულიანი, გ., ბინაძორის დარბაზული (ქართული) ეკლესია ტყის ფერდზე, ძეგლის სააღრიცხვო ბარათი, # 63, (2015).

გუჯაბიძე, 1989; გუჯაბიძე, გ., ჰუჯაბის ტაძარი, ძეგლის მეგობარი, #1 (1989), გვ. 12-23.

დიდებულიძე, 2004; დიდებულიძე, მ., საღვთისმეტყველო პოლემიკის ასახვის საკითხისათვის ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობაში, საქართველოს სიძველენი, #4 (2004), გვ. 116-146;

დიდებულიძე, 2014; დიდებულიძე, მ., ღმრთისმშობლის გამოსახვის ტრადიცია შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, ლოგოსი, 2014, #8, გვ. 224-231.

ვარაზაშვილი, 1988; ვარაზაშვილი, მ., მეტი ყურადღება ჰუჯაბის სამონასტო კომპლექსს, ძეგლის მეგობარი, #3 (1988), გვ. 9-12.

ზაქარაია, 1978; ზაქარაია, პ., ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა (XI-XIII სს.) ტ. 2 (თბილისი, 1978).

თაყაიშვილი, 2018; თაყაიშვილი, ე., თხზულებანი, ტ. 5 (თბილისი, 2018).

თაყაიშვილი, #553; თაყაიშვილი, ე., პირადი საარქივო მასალები, #553.

კახიანი, ჭანიშვილი, კოპალიანი, მაჩაბელი, ალექსიძე, ღლიღვაშვილი, პატარიძე, 2012; კახიანი, კ., ჭანიშვილი, გ., კოპალიანი, ჯ., მაჩაბელი, კ., ალექსიძე, ზ., ღლიღვაშვილი, ე., პატარიძე, ნ., ადრექსისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან (თბილისი, 2012).

კლდიაშვილი, 1994; კლდიაშვილი, ა., ვარძიის ანანაურის ეკლესიის მოხატულობანი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ავტორეფერატი (თბილისი, 1994).

ლორთქიფანიძე, 1982; ლორთქიფანიძე, ი., ძველი ქართული ფერწერის ისტორიიდან, ქართული სახვითი ხელოვნების საკითხები (სამეცნიერო შრომების კრებული) (თბილისი, 1982), გვ. 45-78.

მეგრელიშვილი, 2011; ძველი აღთქმის საწინასწარმეტყველო წიგნთა განმარტებანი, (შემდგენელი დეკანოზი აკაკი მეგრელიშვილი) (თბილისი, 2011).

მელიქსეთ-ბეგი, 1964; მელიქსეთ-ბეგი, ლ., ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, #8, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV (1964).

მეფისაშვილი, 1971; მეფისაშვილი, რ., კიდევ ერთხელ ბოლნისისა და დმანისის ძეგლების შესახებ, ძეგლის მეგობარი, #26 (1971), გვ. 17-31.

მიქელაძე, 1999; მიქელაძე, ქ., XIII-XIV საუკუნეების საძვალეთა მოხატულობის ზოგიერთი თავისებურება, ძეგლის მეგობარი, #3 (106) (1999), გვ. 28-35.

მიქელაძე, 2005; მიქელაძე, ქ., დმანისის სიონის მოხატულობა, საქართველოს სიძველენი, #7-8 (2005), გვ. 239-255.

მუსხელიშვილი, 1938ა; მუსხელიშვილი, ლ., დმანისი, შოთა რუსთაველის მატერიალური კულტურა, (თბილისი, 1938), გვ. 317-448.

მუსხელიშვილი, 1938ბ; მუსხელიშვილი, ლ., ბოლნისი, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის (ენიმკის) მოამბე, ტ. 3 (1938), გვ. 311-382.

მუსხელიშვილი, 1941; მუსხელიშვილი, ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში (თბილისი, 1941).

ოთხმეზური, 1981

მუსხელიშვილი, 1979; მუსხელიშვილი, ლ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4 (1979), გვ. 460-461.

მჭედლიძე, 1986; მჭედლიძე, გ. გუდარეხის მონასტრის ისტორიისათვის, მრავალთავი, #13 (1986), გვ. 53-63.

ნარიმანაშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე, 2018; ნარიმანაშვილი, გ., შანშიაშვილი, ნ., კვაჭაძე, მ., თრიალეთი, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, უძველესი წყაროები და კვლევის პერსპექტივები (თბილისი, 2018).

ოთხმეზური, 1981; ოთხმეზური, გ., XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო (თბილისი, 1981).

პაპუაშვილი, 1985; პაპუაშვილი, ნ., ერთი არქიტექტურული ტერმინისათვის (ეგვტერი), საბჭოთა ხელოვნება, #3 (1985), გვ. 89-94

რაფავა, 2012; რაფავა, მ., სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ პოლემიკა ძველქართულ მწერლობაში, კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, მიძღვნილი ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავისადმი) (2012), გვ. 365-379.

სამღვდელო კონდაკი; სამღვდელო კონდაკი, წესი სამღვდელოისა წირვისა (ხუცურად).

სხირტლაძე, 1981ა; სხირტლაძე, ზ., საკურთხევლის მოხატულობის სქემის ზოგი თავისებურება XIII საუკუნის ქართულ კედლის მხატვრობაში, მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვენბის ისტორიის სერია), #4 (1981), გვ. 85-99.

სხირტლაძე, 1981ბ; სხირტლაძე, ზ., XIII საუკუნის ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის (ქობაირის სამონასტრო კომპლექსისი ეკვდერის მოხატულობა), გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია, თეზისები, (თბილისი, 1981), გვ. 31-33;

სხირტლაძე, 1983; სხირტლაძე, ზ., გამოკვლევა ქობაირის ტაძრის მოხატულობის შესახებ, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თ.ს.უ. შრომები, ტ. 243 (1983), გვ. 175-198.

სხირტლაძე, 1985; სხირტლაძე, ზ., საბერეების ფრესკული წარწერები, (თბილისი, 1985).

სხირტლაძე, 2009; სხირტლაძე, ზ., ოთხთა ეკლესიის ფრესკები, (თბილისი, 2009).

სხირტლაძე, 2012; სხირტლაძე, ზ., მეფეთა მეფის ფრესკა გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერში, ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, #2 (2012), გვ. 223-255).

სხირტლაძე, 2019; სხირტლაძე, ზ., ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა, (თბილისი, 2019). (იბეჭდება)).

ყაუხჩიშვილი, 2009; ყაუხჩიშვილი, თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი (თბილისი, 2009).

ჩაკვეტაძე, 2019; ჩაკვეტაძე, ნ., ფიტარეთის მოხატულობა, Православная Энциклопедия (2019). (იბეჭდება).

ჩოფიკაშვილი, 1964; ჩოფიკაშვილი,ნ., ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.) (თბილისი, 1964).

ძქმმ, 1980; უძველესი იადიგარი, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, ტ. II, (თბილისი, 1980).

ჭეიშვილი, 2013; ჭეიშვილი, გ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები სომხეთში, ლოგოსი, #7, 2013, გვ. 246-255.

ჭიჭილეიშვილი, 2010; ჭიჭილეიშვილი, მ., სხალთის ეკლესიის მოხატულობა, (თბილისი, 2010).

ხალიფე, 2014; ბერი ხალიფე, ღვთისმშობელი და ევქარისტია: მართლმადიდებლური პერსპექტივა, ლოგოსი, #8 (2014), გვ. 35-39.

ხარაძე, 2012; ხარაძე, კ., ჰუჯაბი XX საუკუნის ტრაგედია, (თბილისი, 2012).

ხუსკივაძე, 2003; ხუსკივაძე, ი., ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების `ხალხური~ მოხატულობანი (თბილისი, 2003).

Andguladze, Devdariani; Andguladze, N., Devdariani, F., *Hujabi,* pp. 1-7. (xelnaweri).

Bornovali, 2008; Bornovali S., *The place of the Annunciation scene in Byzantine Architecture* (Subat, 2008). (Turqul enaze).

Donabédian, 2019; Donabédian, P., Ani's Multicultural Milieu, and New Trends in Armenian Architecture During Queen Tamar's Period, *Ani at the Crossroads* (2019), p. 121-152.

Lori Region, 2013; A Map-Guide of Historical Monuments*, Lori Region* (Yerevan, 2013), (gzamkvlevi).

Maguire, 2012; Maguire, H.*, Nectar and Illusion: nature in Byzantine art and literature (*Oxford, 2012).

Maguire, 1994; Maguire, H., *Art and Eloquence in Byzantium* (Princeton, 1994).

Parani, 2003; *Parani*, *M.*, *Reconstructing the Reality of Images: Byzantine Material Culture and Religious Iconography* (11th–15th Centuries) (Leiden, 2003).

Peltomaa, 2001; Peltomaa, L., *The Image of the Virgin Mary in the Akathistos Hymn (Bril, 2001).*

Peppard, 2016; Peppard, M., *The World's Oldest Church:* Bible, Art, and Ritual at Dura-Europos, Syria (Synkrisis) (New Haven, London, 2016).

Schiller, 1971; Schiller, G., *Iconography of Christian art*, Vol. 1 (New York, 1971).

Teteriatnikov, 2006; Teteriatnikov N., *The relic of the tpue Crosse and Jerusalem loca sancta: The case of the making of sacred spaces in the St. Neophytos´ Encleistra, Paphos* (2006), p. 409-433.

Baltrusaitis, 1929; Baltrusaitis, J., *Etudes sur l'art médiéval en Arménie et Géorgie,* (Paris,1929).

Jolivet-Lévy, 1991; Jolivet-Lévy, C., *Les églises Byzantines de Cappadoce,* (Le programme iconographique de l`abside et de ses abords) (Paris, 1991).

Thierry, 1983; *Thierry,* N., A *propos de l'église* de. *Kiranc*: Rapport préliminare, *Bedi Kartlisa*, Revue de Kartvélologie, v. 41 (*1983)*, p. 194–228.

Sureda, 1995; Sureda, J., *La Pintura Romanica en Cataluna (Madrid, 1995).*

Алибегашвили, 1979; Алибегашвили, Г., *Светский портрет в Грузинской средневековой монументальной живописи* (Тбилиси, 1979).

Акопян, 2009; Акопян, З., Особенности иконографии армяно-халкидонитских памятников (X-XIII вв.), *Պատմա-բանասիրական հանդես*, № 2-3 (2009) с. 167-185.

Вирсаладзе, 1959; Вирсаладзе, Т., Фрагменты фресковой росписи главного Гелатского храма, *Ars Georgica,* 5 (1959), с. 163-204;

Дурново, 1957; Дурново, Л., *Краткая история древнеармянской живописи* (Ереван, 1957).

Дурново, 1979; Дурново, Л., *Очерки изобразительного искусства средневековой Армении* (Москва, 1979).

Кирион, 2005; Ерископ Кирион, *Ахтальский монастырь,* (Подготовка к изданию, введение и комментарии Э. Бубулашвили и З. Схиртладзе) (Тбилиси, 2005).

Лидов, 1990; Лидов, А., Искусство армян-халкедонитов, *Историко-филологический журнал,* № 1 (1990), с. 75-87.

Лидов, 2014; Лидов, А., *Росписи монастыря Ахтала (*История, иконография, мастера) (Москва, 2014).

Пигаревъ, 1913; Пигаревъ, В., Худжабский монастирь на Кавказе, ежемесячник для любителей искусства и старины, *Старые годы,* июнь (1913), с. 54-56.

Преображенский, 2010; Преображенский, А., *Ктиторские портреты средневековой Руси* (XI–Начало XVI Века) (Москва, 2010).

Шервашидзе, 1980; Шервашидзе Л., Роспись в Пицундском купольном храме, *Средневековая Монументальная живопись в Абхазии* (Тбилиси, 1980).

Βαραλής, 1996-1997; *Βαραλής*, Ι., Παρατηρήσεις για τη θέση του Ευαγγελισμού στη μνημειακή ζωγραφική κατά τη μεσοβυζαντινή περίοδο, *Δελτίον ΧΑΕ* 19 (1996-1997), Περίοδος Δ', Σελ. 201-220.

Մուրադյան, 1977; *Մուրադյան, Պ., Հայաստանի վրացերեն արձանագրությունները (Երևան, 1977).*

ელექტრონული რესურსები:

http://www.nplg.gov.ge/publishers/monument/index.php?do=search.

https://fr.wikipedia.org/wiki/Khuchap).

http://patriarchate.ge/geo/eparqiebi/marneulisa-da-xujabis-eparqia/

Сирин; Преподобный Ефрем Сирин, Книга пророка Иезекииля, *Толкования на священное Писание* http://azbyka.ru/otechnik/Efrem–Sirin/tolkovanie-na-knigu-proroka-iezekiilja/1

Кирский; Блаженный Феодорит Кирский, *Толкование на пророка Иезекииля*, http://azbyka.ru/otechnik/Efrem–Sirin/tolkovanie-na-knigu-proroka-iezekiilja/1.

Стридонский; Блаженный Иероним Стридонский, *Четырнадцать книг толкований на пророка Иезекииля* http://azbyka.ru/otechnik/Efrem–Sirin/tolkovanie-na-knigu-proroka-iezekiilja/1.

Лопухин; Лопухин, А., Толкование на пророка Иезекииля, *Толковая Библия*, http://azbyka.ru/otechnik/Efrem–Sirin/tolkovanie-na-knigu-proroka-iezekiilja/1.

http://www.saunje.ge/index.php?option=com–content&view=article&id=1052%3A2011-09-04-00-18-52&catid=1%3A2010-01-24-19-54-07&Itemid=1&lang=ka

ფოტოებისა და ნახაზების ნუსხა

1. ხუჯაბი, მთავარი ტაძარი, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, 1910-იანი წლების ფოტო.
2. ხუჯაბი, მთავარი ტაძარი, ხედი სამხრეთიდან.
3. ხუჯაბი, დარბაზული ეკლესია.
4. ხუჯაბი, მთავარი ტაძარი, სამხრეთი ფასადი. სარკმლის მორთულობა.
5. ხუჯაბი, მთავარი ტაძარი, გუმბათის მორთულობა, ხედი აღმოსავლეთიდან.
6. ხუჯაბი, მთავარი ტაძარი, აღმოსავლეთ ფასადი, სარკმლის მორთულობა.
7. ხუჯაბი, მთავარი ტაძარი, ინტერიერის საერთო ხედი.
8. ხუჯაბი, მთავარი ტაძარი, ინტერიერის საერთო ხედი.
9. ხუჯაბი, მთავარი ტაძარი, ინტერიერი, სადიაკვნეს შესასვლელი.

10. ხუჯაბი, სამონასტრო კომპლექსის გენ-გეგმა. ა. შავერდაშვილის ნახ.

11. ხუჯაბი, მთავარი ტაძარი, გეგმა. ა. შავერდაშვილის ნახ.

12. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, საერთო ხედი.

13. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, საკურთხევლის აფსიდი.

14. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, საკურთხევლის აფსიდი, მღვდელმთავრების რიგი.

15. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, საკურთხევლის სარკმლის ჩრდილოეთ წირთხლი, ხარების სცენა, დეტალი.

16. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კამარის ფერდი, ფერისცვალება. სქემა.

17. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, ჩრდილო-დასავლეთ კამარის ფერდი, ნათლისღება.

18. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, ჩრდილოეთ კედელი, ჯვარცმა

19. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, ჩრდილოეთ კედელი, ჯვარცმა და ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა. სქემა.

20. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, ჩრდილოეთ კედელი, ქტიტორი.

21. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, ჩრდილოეთ კედელი, ქტიტორი, სქემა.

22. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, სამხრეთი კედელი, ხარება, სქემა.

23. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, სამხრეთი კედელი, შობა, სქემა.

24. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, დასავლეთ კედელი, საერთო ხედი.

25. დეირ ალ-სურიანის მონასტერი, დასავლეთი კედლის კონქი, ხარება (ეგვიპტე) (ფოტო: ინტერნეტ/რესურსი).

26. Aაბუნა აბრაამის (წმ. Aაბრაამის) ეკლესია, ცრუ გუმბათის სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრა (ეთიოპია) (ფოტო: ინტერნეტ/რესურსი).

27. დიდი ნოვგოროდი, საკურთხევლის მიმდებარე კედლები, ხარება (რუსეთი).

28. ბალი ქილისე, საკურთხევლის საკურთხევლის მიმდებარე კედლები, ხარება აფსიდი, ხარება (კაპადოკია) (ფოტო: ჟოლივეტ-Lézy, 1991, PI. 172)

29. ოთხთა ეკლესია, საკურთხევლის აფსიდი, ჩრდილოეთ მონაკვეთი, ხარება.

30. ზემო კრიხი, საკურთხევლის შუბლი, ხარება, დეტალი (ფოტო: ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია).

31. წალენჯიხა, საკურთხევლის მიმდებარე კედლები, ხარება.

32. გარეჯა. უდაბნოს მონასტერი, ხარების ეკლესია, კამარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდი, ხარება.

33. ზენობანი. კამარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდი, ხარება.

34. ქორეთი, სამხრეთი კედელი, ხარება.

35. ბუგეული, ჩრდილოეთ კედელი, ხარება (ფოტო: ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია).

36. ოთხთა ეკლესია, საკურთხევლის სარკმელი, საერთO ხედი.

37. სამშვილდე, წმ. თევდორეს დარბაზული ეკლესია, სამხრეთი სარკმლის დასავლეთ წირთხლი, ლაზარეს აღდგინება, დეტალი.

38. ბეთანია, ჩრდილოეთ მკლავის ჩრდილოეთ კედლის სარკმლის აღმოსავლეთ წირთხლი, ფერხთბანვა.

39. ტიმოთესუბანი, სამხრეთი კედლის სარკმლის აღმოსავლეთ წირთხლი, ჯვარცმა, მწუხარე დედები, დეტალი.

40. ოთხთა ეკლესია, საკურთხევლის აფსიდი, სცენები.

41. ბოჭორმა, საკურთხევლის აფსიდი, სამხრეთი მონაკვეთი, დეტალი.

42. ბიეთი, საკურთხევლის აფსიდი, საერთო ხედი.

43. ახპატი, საკურთხევლის აფსიდი, საერთო ხედი (სომხეთი).

44. ჩავუშინი. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (კაპადოკია, XI ს.)

45. სან ჯუსტოს ეკლესია (ესპანეთი XII ს.);

46. ბერზე-ლა-ვილის ტაძარი (საფრანგეთი, XII ს.);

47. ბერთუბანი, საკურთხევლის აფსიდი, მამათა რიგი (ფოტო: ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია).

48. ქობაირი, საკურთხეველი, საერთო ხედი (სომხეთი).

49. სანტა მარია ანტიკვას თეოდორეს სამლოცველო (იტალია, VIII ს.)

50. თოქალის ეკლესია, ცენტრალური აღმოსავლეთი კონქი (კაპადოკია, 964-965 წწ.).

51. წმ. ნეოფიტეს კელია (კვიპროსი, XII ს.)

52. ეპიფანეს კრიპტა, სან ვინჩენსო, იტალია. IX საუკუნე),

53. საბერეების VI ეკლესია. ჩრდილოეთ უბის აღმოსავლეთ კედელი, ქტიტორი, IX ს.

54. ვარძია, მთავარი ტაძარი, ჩრდლიოეთ კედელი, საერთო ხედი.

55. ყინწვისი, წმ, ნიკოლოზის ტაძარი, ჩრდილოეთ კედელი, საერთო ხედი.

56. გელათი, დავით ნარინის ეგვტერი, საერთო ხედი.

57. ბიჭვინთა, სამხრეთ დასავლეთ ეკვდერი, საერთო ხედი.

58. გარეჯა, უდაბნოს ხარების ეკლესია, საერთო ხედი.

59. ვარძია, ანანაური, დასავლეთ სათავსის აღმოსავლეთ კედელი, საერთო ხედი.

60. ხუჯაბი, მთავარი ტაძრის სადიაკვნე, ჩრდილოეთ კედელი, ქტიტორი.

61. ბერთუბანი, ჩრდილოეთ კედელი, ლაშა-გიორგის პორტრეტი (ფოტო: ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია)

62. ქვემო ქართლის დღევანდელი ადმინისტრაციული საზღვრები, ხუჯაბის მონასტირს ადგილმდებარეობის მითითებით.

63. არაქელოცვანქის (მოციქულთა) ეკლესია, საკურთხევლის კონქი (სომხეთი).

64. აღქერფის სასაფლაოს წმ. გიორგის ეკლესია, საერთო ხედი.

65. ახტალა, საკურთხევლის აფსიდი, ზიარების სცენა, დეტალი (სომხეთი).

66. ბინაძორის ქართული ეკლესია, საკურთხევლის აფსიდის სარკმელი, დიაკონი, დეტალი.

67. ბოლნისის სიონი, საკურთხევლის აფსიდი, ზოგადი ხედი.

68. ბოსლების სამება, საკურთხეველი, კონქი, ქერუბინი, დეტალი.

69. გომარეთის (დიდი გომარეთის) ღვთისმშობლის (კუხის) ეკლესია, საკურთხევლის აფსიდი, საერთო ხედი (ფოტოს წყარო: ჰტტპ://საუნჯე.გე/ინდეხ.პჰპ?იდ=1131&ლანგ=კა)

70. გუდარეხის მონასტერი, ჩრდილოეთ კედელი, წმინდა მხედრები (ფოტოს წყარო ჰტტპ://მარტლმადიდებლობა.გე/გუდარეხი/იბ–ჰომე–0–7.ჯპგ).

71. დარბაზის წმ. გიორგის ეკლესია გეტისხევში, საკურთხევლის კონქი, მაცხორვის გამოსახულება.

72. დარბაზის უცნობი ეკლესია მთაზე, საკურთხევლის აფსიდი, საერთო ხედი.

73. დმანისის სიონი, საკურთხეველი, მამათი რიგი, დეტალი.

74. თევდორეწმინდა, საკურთხეველი, მამათი რიგი, დეტალი (ფოტო: ნ. ჩიტიშვილი).

75. იმერხევის ცამეტი ასურელი მამის ეკლესია, საკურთხეველი, მამათი რიგი, დეტალი.

76. კაზრეთის სამება, საკურთხეველი, მამათი რიგი, დეტალი.

77. კირანცის მონასტერი, საკურთხეველი, მამათი რიგი, დეტალი.

78. ლიპარიტისუბანი, იგივე ლამაზი საყდარი, თაღის პირი, მთავარანგელოზის გამოსახულება, დეტალი (ფოტო: ნ. ჟრენტი).

79. მანგლისის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი, გუმბათი, ჯვრის ამაღლება, ანგელოზი, დეტალი.

80. ოზნის წმ. პეტრე-პავლეს ეკლესია, საკურთხეველი, მღვდელმთავარი, დეტალი (ფოტოს წყარო: ნარიმანაშვილი, შანშიაშვილი, კვაჭაძე, 2018, გვ. 651, # ჩXI).

81. პირღებულის მონასტერი, სამხრეთი კედელი, ნათლისღება, დეტალი (ფოტო: თ. ჭანტურია).

82. სათხის ეკლესია, საკურთხეველი, მამათი რიგი, საერთო ხედი.

83. სამშვილდე. წმ. თევდორეს დარბაზული ეკლესია, დასავლეთ კარის ჩრდილოეთ წირთხლი, ქტიტორი.

84. სამსონის მონასტერი (სამსონივანქი), საერთო ხედი, (სომხეთი) (ფოტოს წყარო: ჰტტპ://ფინდარმენია.ორგ/არმ/სიგჰტს/სამსონ).

85. სედვი, კოშკის ეკლესია, წმ. მღვდელმთავარი, დეტალი (სომხეთი) (ფოტოს წყარო: Lორი ღეგიონ, 2013, გვ. 2).

86. უბისა . საკურთხევლის აფსიდი, საერთო ხედი.

87. ფიტარეთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. დასავლეთ მკლავის დასავლეთ კედელი, განკითხვის სცენა, დეტალი, I ფენა.

88. ფიტარეთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. ჩრდილოეთ მკლავის ჩრდილოეთ კედელი, მაცხოვრის შეპყრობა, დეტალი, II ფენა.

89. ქობაირის სამონასტრო კომპლექსი, მთავარი ტაძარი, საკურთხევლის აფსიდი, დეტალი.

90. ქობაირის სამონასტრო კომპლექსი, ჩრდილოეთ ეკვდერი, საკურთხევლის აფსიდი. მამათა რიგი.

91. ძელი ჭეშმარიტის ეკლესია (ჰნევანქი), კარიბჭის სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრა (ფოტო: ნ. ჩიტიშვილი).

92. წერაქვის მონასტერი, მთავარი ტაძარი, დასავლეთ კედელი, განკითხვის დღე, დეტალი.

93. წუღრუღაშენი, ორნამენტული ფრაგმენტი.

ილუსტრაციები